# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 9 დეკემბერი, 2008 წელი.

№ 230 (6087)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.





სოსო ცისკარიშვილი:

## მორიგი საკადრო ცვლილებები იმ გზის შენიღბვის მცდელობაა, რომლისგანაც ხელისუფლება გადახვევას არ აპირებს



3



რამაზ საყვარელიძე: 

## ამჯერად ხელისუფლებამ მინისტრები პროფესიული ნიშნით შეარჩია

## საკადრო ცვლილებები დარტყმის გადასაფარად

2

## ნიუ-იორკმა მიხეილ სააკაშვილის ოპოზიცია წამოაყენა

10



## რუსეთის პატრიარქის პანაშვიდი უწმინდესმა ქართულად აღავლინა

2



## რა გახდა ახალი ქართულ-სომხური დავისა და დაპირისპირების საბაბი?

4

## ეს კანონი არც ბიზნესს წაადგება და არც კრიმინალთან ბრძოლას

7

## მთვრალმა პოლიციელებმა ადამიანი დაასახიჩრეს, პასუხს კი არ აგებინებენ

14

ჩვენო ერთგულო მკითხველო!

## თქვენი აზრი ჩვენი საქმიანობის ორიენტირი იქნება!

ახალი წლის დადგომამდე დიდი დრო აღარ რჩება, გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენი აზრი: აკმაყოფილებს თუ არა „საქართველოს რესპუბლიკა" თქვენს გემოვნებას და რა სახის პუბლიკაციების სიმრავლეს ისურვებდით ახალ, 2009 წელს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

თქვენი აზრი ჩვენი საქმიანობის ორიენტირი იქნება!

მოგვწერეთ ან დაგვირეკეთ – კოსტავას ქ. №12, ტელ: 98-65-87.

**სამძიმარი**

# რუსეთის პატრიარქის პანაშვიდი უწმინდესმა ქართულად აღავლინა



**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს სრულიად რუსეთის პატრიარქის მოვალეობის შემსრულებელი, მიტროპოლიტი კირილი აეროპორტში დახვდა.**

**მიტროპოლიტი კირილი რუსეთის პატრიარქის პოსტზე ერთ-ერთი რეალური კანდიდატია.**

**მან მადლობა გადაუხადა ილია მეორეს და განაცხადა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ერთ-ერთია მათ შორის, ვინც კარგად იცნობდა და მეგობრობდა პატრიარქ ალექსი მეორესთან.**

**— ძალიან კარგად ვიცნობდი მის უწმინდესობას ალექსი მეორეს. დიდად განვიცდით ამ დანაკლისს. ალექსი მეორის გარდაცვალება, ესაა უდიდესი დანაკლისი მთელი მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, — განაცხადა ილია მეორემ.**

**შეგახსენებთ, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე რუსეთის პატრიარქის დაკრძალვაზე დასასწრებად იმყოფება.**

**უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ რუსეთის პატრიარქის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი მოსკოვის მაცხოვრის ტაძარში ქართულ ენაზე გადაიხადა. ალექსი II სწორედ ამ ტაძარშია დასვენებული.**

**რუსული საინფორმაციო წყაროების ცნობით, განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო რუსეთის ცენტრალურ საკათედრო ტაძარში ქართული მრავალხმიანი გალობის მოსმენა.**

**ინფორმაცია**

## აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთის გარდა ეუთოში არავინ აღიარა

**ომის პროვოცირება საქართველოს რუსეთმა გაუკეთა; აგვისტოს მოვლენებში უკვე გასაგებია, საქართველომ დიდი შეცდომა დაუშვა და პროვოკაციის ხაფანგში გაება, თუ რუსეთს სურს, უსაფრთხოების საკითხში წინ წაწევა, ეს შეუძლებელია იმ მოვალეობების შესრულების გარეშე, რომლებიც მედვედევმა აიღო თავის თავზე, — ამის შესახებ გაზეთ „კომერსანტს“ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლემა მეთიუ ბრაიზამ განუცხადა.**

მისივე თქმით, ქვეყანას არ შეუძლია, გახდეს დამოუკიდებელი იმით, რომ მსოფლიოში ორმა ქვეყანამ აღიარა. ეუთოს 56 წევრიდან აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, რუსეთის გარდა, არავინ აღიარა. ასე რომ, არც აფხაზეთი და არც სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი ქვეყნები არ არიან.

რაც შეეხება რუსეთის პრეზიდენტის მედვედევის იდეას, რომ ევროპული უსაფრთხოების ახალი შეთანხმების პროექტის განსახილველად 2009 წელს ეუთოს სამიტი ჩატარდეს, ბრაიზამ განაცხადა — არავითარ შემთხვევაში, საგარეო საქმეთა მინისტრებს ჰელსინკში ლანჩზე, სამიტის შემდეგ შესანიშნავი დისკუსია ჰქონდათ ბატონი მედვედევის წინადადებაზე, ჰოდა, გავაგრძელოთ საუბრები. რატომ არის საჭირო მაშინვე სამიტი? როგორც ჩანს, რუსეთს აქვს კიდევ რაიმე მოტივაცია. რა არის მედვედევის შეთავაზება? მე მხოლოდ ვნახე რაღაც ქაღალდი, რომელშიც საუბარია ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის მხარდაჭერის აუცილებლობაზე, საინტერესოა, როცა ამას რუსეთი ამბობს, რომელიც აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის გარეშე, — აღნიშნა ბრაიზამ.

## ლეიბორისტები „ყაზტრანსგაზელებს“ ემუქრებიან

**„ლეიბორისტები“ სემეკ-ს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ დაჯარიმებას სთხოვენ.**

**როგორც „ლეიბორისტული პარტიის“ აღმასრულებელმა მდივანმა პაატა ჯიბლაძემ განაცხადა, „ყაზტრანსგაზის“ წარმომადგენლები თბილისის მოსახლეობის თანხას უკანონოდ ახდევინებენ, ზამთრის პერიოდში ბუნებრივი აირის მილებს უჭრიან და აიძულებენ თავიანთი ხარჯებით გამოცვალონ დაზიანებული მრიცხველები, რომელიც 125 ლარი ღირს.**

„ლეიბორისტებს“ მიაჩნიათ, რომ „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ქმედება უკანონოა და ამის გამო სემეკ-მა ყაზახური კომპანია უნდა დააჯარიმოს. გარდა ამისა, სემეკ-ისგან საჯარო განცხადების გაკეთებასაც ითხოვენ, რათა მოსახლეობამ გაიგოს „ყაზტრანსგაზის“ უკანონო ქმედებების შესახებ.

თუ აღნიშნულ მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, „ლეიბორისტები“ სემეკ-ის შენობის პიკეტირებას აპირებენ.

**ინტერპრესნიუსი**

**ვარაუდი**

# საკადრო ცვლილებები დარტყმის გადასაფარად

**მთავრობა საკადრო ცვლილებების განხორციელებისთვის მზად რომ არ იყო, იქიდანაც ჩანს, რომ საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომა ორჯერ გადაიდო. მიზეზი პრეზიდენტის, პარლამენტის თამჯდომარის, პრემიერისა იმ პირთა თათბირი იყო, რომლებიც საქართველოში საკადრო-პოლიტიკურ ამინდს ქმნიან. უფრო მეტიც, ამას მიანიშნებს ის გარემოებაც, რომ გრიგოლ ვაშაძემაც და ნიკა გვარამიამაც საკუთარი დანიშვნების შესახებ პრემიერის მიერ ოფიციალურ გახმოვანებამდე ნახევარი საათით ადრე გაიგეს. „სამინისტროში ვიყავი თათბირზე და პრემიერმა კანცელარიაში მოსვლა მთხოვა“, — განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.**

მთავრობაში საკადრო ცვლილებები პაატა დავითაიას კომისიამ მიიწერა და თავად დავითაიამ განაცხადა, რომ დაახლოებით (90 პროცენტიძ ამ ცვლილებას ითვალისწინებდა კომისიის დასკვნაო.

დაე, ასე სჯეროდეს დავითაიას. თუმცა რეალობა სულ სხვა შეიძლება იყოს. ერთ-ერთი კი გაეროში საქართველოს ელჩის ირაკლი ალასანიას, ხელისუფლებას რომ ჰკითხო, „ამბიციები“ გახდა. ცხადია, ინფორმაცია, რომ ირაკლი ალასანიამ თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერა, რეალობა იყო. ამისათვის კი ხელისუფლებას უფრო მნიშვნელოვანი „რამ“ უნდა განეხორციელებინა, რომ ეს მისთვის ნამდვილად დიდი დარტყმა როგორმე გაენეიტრალებინა. ამიტომაც შეიცვალა 4 მინისტრი და არა 5. ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტი ვალდებული გახდებოდა, პარლამენტისთვის მთავრობის ახალი შემადგენლობა წარედგინა. ცხადია, ამ ცვლილებაში ყველაზე მნიშვნელოვანი გრიგოლ ვაშაძის კანდიდატურა იყო, რამაც გამოიწვია კულტურის მინისტრად ახალი კადრის დასახელების აუცილებლობა.

აქცენტი ბუნებრივია სწორად გაკეთდა. გამინისტრებიდან სამიოდ წუთში გრიგოლ ვაშაძემ ყველა ელჩსა და მინისტრის მოადგილეს თანამდებობიდან წავლის შესახებ განცხადების დაწერა დაავალა. ამასთან იქვე აღნიშნა და დააზუსტა, რომ „ასეა თუ ისე, ალასანიასაც წასვლა მოუწევს“.

მთავარი სათქმელი ეს იყო და ითქვა კიდეც. ახალმა მინისტრმა გამგებისათვის ცხადად განმარტა, რომ ეს ცვლილებები სწორედ ალასანიას გადადგომას უკავშირდებოდა. თანაც იქვე დაამატა, რომ „არავითარი კადრების დაწიოკება არ იქნება“.

ამ ნაბიჯით ხელისუფლება შეეცადა აეხსნა, რომ ალასანიას კი არ გამოუთქვამს პროტესტი, არამედ ჩვენ გავუშვითო.

„მთავრობაში განხორციელებული საკადრო ცვლილებები არის ირაკლი ალასანიას გადადგომის „პიარგადაფარვის“ მცდელობა და სხვა არაფერი“, — აცხადებს სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბარში კონსერვატორების ერთ-ერთი ლიდერი კახა კუკავა.

იგივე პოზიციას ახმოვანებს სააგენტოსთვის მიცემულ კომენტარში მემარჯვენეთა ერთ-ერთი ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე.

„ელვისებური საკადრო ცვლილებები უკავშირდება ალასანიას წასვლის გადაწყვეტილებას და სხვას არაფერს. ხელისუფლებას ახასიათებს რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის გადაფარვა ხმაურიანი მოვლენებით“, — განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ ფიქრია ჩიხრაძემ

მართალია, ხელისუფლების ქმედებას ექსპერტი კობა ლიკლიკაძე რუსეთთან საერთო ენის გამონახვის მცდელობად აფასებს და აღნიშნავს, ხელისუფლებამ გააცნობიერა, რომ უმაღლეს თანამდებობებზე საჭიროა ისეთი პირების დანიშვნაც, რომლებსაც რუსეთთან საერთო ენის გამონახვის გამოცდილება აქვთ. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამის მცდელობის ნიშანწყალი ქართულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტს რომ ჰქონოდა, უკვე ექს-საგარეო საქმეთა მინისტრი ჰელსინკიდან არ ამცნობდა სრულიად საქართველოს, რომ ის და მისი რუსი კოლეგა ერთმანეთს არც კი მისალმებიან. არადა, ეს განცხადება მთელი სიამაყით გააკეთა ქართველმა დიპლომატმა.

თუ კობა ლიკლიკაძის მსჯელობას გავყვებით, რუსეთთან ურთიერთობის დასალაგებლად ეკონომიკური განვითარების მინისტრიც უნდა შეცვლილიყო. შარაშიძე უკვე მერამდენეა, ვინც რუსეთთან, და არა მარტო მასთან, ვერანაირ კონტაქტებს ვერ ამყარებს. ასე რომ, კითხვის ნიშანი აქაც ჩნდება.

ცხადია, რომ ალასანია ხელისუფლებისთვის დღითი დღე მიუღებელი ხდებოდა. მით უფრო, რომ გამორიცხულია მათთვის უცნობი ყოფილიყო „ახალი მემარჯვენეებისა“ და ირაკლი ალასანიას კონსულტაციების შესახებ.

იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლება შეეცადა გადაეფარა ალასანიას „დემარში“, ფაქტია, „სამეფო კარზე“ პატარა სკანდალი მაინც მოეწყო.

არც ერთი ახლად დანიშნული ჩინის მიმართ, შესაძლოა, საზოგადოებას არავითარი პრეტენზია არ ჰქონდეს, მაგრამ არავის გაუვლია კონსულტაცია უდავოდ კვალიფიციურ იურისტ ნიკა გვარამიასთან იმის შესახებ, თუ რა კონცეფციით მოდის იგი განათლების მინისტრის პოსტზე.

ცხადია, რომ გვარამიას დანიშვნის ალგორითმში, თვით ექსპერტებიც ვერ გაერკვნენ.

„ნიკა გვარამიას ჩვენ, ქართული საზოგადოება, პროფესიონალ იურისტად ვიცნობთ, ამიტომაც ჩემთვის სრულიად გაუგებარია მისი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან დაკავშირება“, — განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ ექსპერტმა რამაზ საყვარელიძემ.

საკითხავია, რატომ არის საქართველოში ყველაფერი დასაშვები. თუნდაც ის, რომ დიპლომატი გახდეს კულტურის მინისტრი რამდენიმე კვირით, იმისთვის, რომ კვლავ დიპლომატიურ საქმიანობაში დააბრუნო.

ეს ყველაფერი ისევ და ისევ ალასანიას რომ უკავშირდება, იმითაც დასტურდება, რომ ექს-საგარეო საქმეთა მინისტრის გარემოცვამ, პრემიერის განცხადებიდან რამდენიმე წუთში მოსდო მთელ თბილისს, „ეკა ნიუ-იორკში მიდის ალასანიას ნაცვლადო“.

ისიც ფაქტია, რომ მინისტრი ვაშაძე, მიუხედავად მისი მოთხოვნისა, „ყველამ დაწეროს განცხადებაო“, არ და ვერ შეელევა ყოფილ კოლეგებს ბოკერიასა და კალანდაძეს.

მოკლედ, ხელისუფლება შეეცადა, რომ ერთი გასროლით რამდენიმე კურდღელი დაეჭრა — ახალი სახეები მთავრობაში, რუსეთთან ვითარების დათბობის დემონსტრირების მცდელობა, ალასანიას „დემარშის“ გადაფარვა.



„ალასანია თანამდებობის დატოვებაზე დიდი ხანია ფიქრობდა. იგი ელოდებოდა ბრიუსელის სამიტს, რათა ხელი არ შეეშალა სამიტის მუშაობისთვის და უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაეყენებინა ხელისუფლება. აქედან გამომდინარე, ჩემთვის მისი ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა. რაც შეეხება ჩვენს თანამშრომლობას, თუ ირაკლი ალასანია აქტიურ პოლიტიკაში ჩაბმას გადაწყვეტს, იგი „ახალი მემარჯვენეებისთვის“ სასურველი პარტნიორი იქნება. ჩვენ ამის შესახებ, საუბრები უკვე გვქონდა“, — განაცხადა „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას ჩიხრაძემ.

თუმცა, თუკი ალასანიას მიერ თუნდაც განცხადების დაწერა ასე უშლის ნერვებს ხელისუფლებას და ჩავთვალოთ, რომ მას გაუგებარი, მაგრამ პოზიტიური ცვლილებებისკენ უბიძგებს, ფაქტია, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იქნება. თუ „ჯი-ეიჩ-ენის“ მეორე ვარაუდიც გამართლდა და ალასანია ოპოზიციაში წავიდა, მაშინ კი ხელისუფლებას მნიშვნელოვანი თავის ტკივილი დაეწყება.

**გოჩა მირცხულავა,**
**„ჯი-ეიჩ-ენი“.**

თვალსაზრისი

**— ბატონო სოსო, რას ნიშნავს მორიგი საკადრო ცვლილებები და ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ცვლილებებით სახელისუფლებო გუნდში სერიოზული პროცესები დაიწყო?**

— ვერ გავიზიარებ მოსაზრებას, რომ სახელისუფლებო გუნდში სერიოზული პროცესები დაიწყო. ჩემი აზრით, ხელისუფლების მხრიდან მორიგი საკადრო ცვლილებები იმ გზის შენიღბვის მცდელობაა, რომლისგანაც იგი გადახვევას არ აპირებს. ამას მაფიქრებინებს გადაწყვეტილება, ქვეყნის მომავლის, ანუ განათლების ბედი ჩააბარო სახელგატეხილ პროკურორს.

რომ არა ეს დანიშვნა, შემექმნებოდა შთაბეჭდილება, რომ სახელისუფლო გუნდის მენტალობაში რაღაც ცვლილება მოხდა, მაგრამ ამ შემთხვევაში შეიძლება წარმოვიდგინო, რომ საკადრო საკითხებში გარკვეული დაპირისპირებაა. წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ ერთსა და იმავე ადამიანს მოსვლოდა თავში აზრი კულტურისა და განათლების მინისტრების კანდიდატურებზე.

**— მიუხედავად ვაშაძის განცხადებისა, რომ საქართველოს საგარეო ვექტორი არ შეიცვლება, მთავრობაში, გრიგოლ ვაშაძის გარდა, ზურაბ აბაშიძის მიწვევით ხომ არ ცდილობდა ხელისუფლება რუსეთთან დიალოგისა და რაღაც ფორმით ურთიერთობების აღდგენას? ზურაბ აბაშიძე მოსკოვთან დიალოგის აღდგენას ქართულ პრესაში აქტიურად უჭერდა მხარს...**

— შეიძლება, ასეც ვიფიქროთ, მაგრამ ჩემი აზრით, ეს უსუსური მცდელობაა, რადგან რუსეთის ინტერესები საქართველოს მიმართ არ შემოიფარგლება რაიმე ტიპის პერსონალური გადაწყვეტილებების საფუძველზე. ჩვენთვის ცნობილია, თუ ვის მიმართ აქვს მიუღებლობის განცდა რუსეთის ხელისუფლებას. მკაფიოა სახელისუფლებო ელიტის ერთი ნაწილის ნებით შეცვლიდა საკუთარი ინტერესების მიხედვით.

**— ბევრს საუბრობენ ირაკლი ალასანიას ქართულ პოლიტიკაში დაბრუნებაზე. შექმნილ ვითარებაში რამდენად სერიოზული პოლიტიკური ფიგურა შეიძლება აღმოჩნდეს გაეროში საქართველოს ყოფილი ელჩი, რომელმაც გადადგომის შესახებ განცხადება 4 დეკემბერს, ანუ მთავრობაში საკადრო ცვლილებებამდე ერთი დღით ადრე დაწერა. იმასაც კი ამბობენ, რომ საკადრო ცვლილებები ალასანიას გადადგომამ დააჩქარა და გამოიწვია...**

— ავადმყოფური რეაქცია ალასანიას გადადგომაზე დასაშვებია, მით უმეტეს დღევანდელ რეალობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში გუშინდლამდე ფავორიტ საგარეო საქმეთა მინისტრს სამშობლოში დაბრუნებას მაინც აცლიდნენ. ახლა დაიწყება ახალი ტალღა სიმართლის ძიების, ლამის ისეთივე სიმწვავით, თუ ვინ ისროლა პირველმა ცხინვალში; ახლა უნდა ვარკვიოთ, ჯერ ალასანია გადადგა, თუ ვაშაძემ დაიძახა მოხსნილიაო. ამ ნაბიჯმა ვაშაძეს საკმაოდ შეუმცირა რეიტინგი ჯერ კიდევ მინისტრის კაბინეტში შესვლამდე.

# სოსო ცისკარიშვილი:

# მორიგი საკადრო ცვლილებები იმ გზის შენიღბვის მცდელობაა, რომლისგანაც ხელისუფლება გადახვევას არ აპირებს

**საქართველოს მთავრობაში განხორციელებულ მორიგ საკადრო ცვლილებებზე „ინტერპრესნიუსი" პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილს ესაუბრა**



ვიდგინო, რომ საკადრო საკითხებში გარკვეული დაპირისპირებაა. წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ ერთსა და იმავე ადამიანს მოსვლოდა თავში აზრი კულტურისა და განათლების მინისტრების კანდიდატურებზე.

**— „მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს საქართველოში ხელისუფლების შეცვლის სამზადისად აფასებს. მისი თქმით, ხელისუფლების შეცვლა გაზაფხულისთვის ან აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი საერთაშორისო კომისიის მუშაობის დასრულების დროს, ანუ 31 ივნისამდე მოხდება. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია მოვლენათა ამგვარი სცენარით განვითარება...**

— ხელისუფლების შეცვლის პროცესი გაცნობიერებული რომ იყოს, მაშინ მზად უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ გიგა ბოკერიას პოზიცია გამოცხადდება ანტისახელმწიფოებრივად, რადგან იგი ათიოდე დღის წინათ დროებით საპარლამენტო კომისიას მოძღვრავდა, რომ ზურაბ აბაშიძის პოზიცია სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგოა.

რა მოხდა, თუ ზურაბ აბაშიძე სახელმწიფო აზროვნების მატარებელი ადამიანი არ არის, რატომ ცდილობს ხელისუფლება მთავრობის არასახელმწიფოებრივი აზროვნების ადამიანებით დაკომპლექტებას? განხორციელებული საკადრო ცვლილებები ხელისუფლებაში „თავისუფლების ინსტიტუტის" პოზიციების შესუსტებაზე მიუთითებს, მაგრამ გვარამიას ფენომენი მარწმუნებს, რომ თანამოაზრეებზე უფრო ისევ თანამზრახველთა ინსტიტუტია დაცული, რადგან გვარამია ჩახედულია ისეთ ბინძურ სამზარეულოში, რომლის შესახებაც ინფორმაციის გამავრცელებლის თავისუფალ რეჟიმში დატოვება თავად ხელისუფლებისთვის არის სახიფათო.

პოზიცია საქართველოს პრეზიდენტთან დაკავშირებით, რაც სრულიად განსხვავებულია საკმაოდ სერიოზული ძალების პოზიციისგან, თუმცა, პოზიციების განსხვავებულობის მიუხედავად, ორივე ძალას საქართველოს მიმართ ერთნაირად მზაკრული მიზნები აქვს.

არა მგონია, რომ დღევანდელ ხელისუფლებას რაიმე პოტენციალი ჰქონდეს შემორჩენილი სერიოზული ცვლილებებისთვის, მით უმეტეს — მხოლოდ საგარეო პოლიტიკაში. საგარეო პოლიტიკა საშინაოს გაგრძელება და მისი პროდუქტი გახლავთ. მცდელობა იმისა, რომ ქვეყანა საბჭოთა პერიოდის საექსპორტო საქონელივით იყოს მიმზიდველი საზღვარგარეთისთვის და მიუღებელი საკუთარი მოსახლეობისთვის, შეიძლება საკუთარ თავში ატარებდეს ორსამდღიან ეფექტს და არა მეტს.

ამიტომ ამ ხელისუფლების პიროვნებში საგარეო პოლიტიკაში რაიმე ტიპის თვალსაჩინო ცვლილების შეძლებლობას ვერ ვხედავ. თუმცა, პუტინის ნერვიული დაბნეულობა, რომელიც ვერ იმალებოდა მისი ბოლო სატელევიზიო გამოსვლისას, გარკვეული ღია კარების დატოვების ცდად მივიჩნიე, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს მარტო მისი არჩევანი არ არის. იგი იძულებულია, გაითვალისწინოს რეალობები, რომელსაც სიამოვ-

ლა დაიწყება ახალი ტალღა სიმართლის ძიების, ლამის ისეთივე სიმწვავით, თუ ვინ ისროლა პირველმა ცხინვალში; ახლა უნდა ვარკვიოთ, ჯერ ალასანია გადადგა, თუ ვაშაძემ დაიძახა მოხსნილიაო. ამ ნაბიჯმა ვაშაძეს საკმაოდ შეუმცირა რეიტინგი ჯერ კიდევ მინისტრის კაბინეტში შესვლამდე.

როდესაც ადამიანი არ დამჯდარა საკუთარ სამუშაო ოთახში და ყველა ელჩს ერთად ხსნის, ჩემი აზრით, ეს გახლავთ სრულიად არათავისუფალი მინისტრი „თავისუფლების ინსტიტუტის" გავლენის ქვეშ. ამის გათვალისწინებით, საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შესრულებისას მისი თავისუფლების ხარისხი ეჭვქვეშ თავიდანვე დადგება.

ალასანიას პოლიტიკური მომავალი საკმაოდ სერიოზული პერსპექტივის მატარებელია, რადგან პოლიტიკურ ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა ადამიანზე, რომელსაც არ ამძიმებს საკუთარი შეცდომების ან დანაშაულებათა შლეიფი. ის მოიაზრება ნიჭიერ, გაწონასწორებულ და სამართლიან ადამიანად. ალასანია არ ყოფილა დღემდე მაღალი გამჭვირვალობის ხარისხის მქონე საჯარო პირი. მისი პროფესიული საქმიანობა ითვალისწინებდა უფრო იშვიათ კონტაქტს მედიასთან, თუმცა იგი აგვისტოს მოვლენების დროს ოსტატურად უძღვებოდა პრესკონფერენციებს და დაამტკიცა, რომ უმაღლესი დონის დიპლომატია, რისი მხოლოდ სახელმძღვანელოებით სწავლა შეუძლებელია.

ცხადია, რომ ალასანია თბილისში შვებულების გასატარებლად არ ჩამოვა. ისიც ცხადია, რომ ეს ნაბიჯი არ გადაუდგამს ემოციური მუხტის გამო, იგი ამისკენ მიდიოდა ხანგრძლივად და შეგნებულად; ამდენად, მისი გადაწყვეტილება საფუძვლიანი და დამაჯერებელია.

**კობა ბენდელიანი**

პოზიცია

# რამაზ საყვარელიძე: ამჯერად ხელისუფლებამ მინისტრები პროფესიული ნიშნით შეარჩია

**მორიგ საკადრო ცვლილებებზე თავისი მოსაზრებები „ინტერპრესნიუსს" პოლიტოლოგმა რამაზ საყვარელიძემ გაუზიარა**



**— ბატონო რამაზ, რას შეიძლება უკავშირდებოდეს მთავრობაში მორიგი საკადრო ცვლილებები?**

— ეს ცვლილებები იმაზე მიუთითებს, რომ პრემიერ-მინისტრი გააქტიურდა. აშკარაა, რომ საკადრო პოლიტიკაში ჩანს სხვა სტილი. ადრინდელისაგან განსხვავებით მორიგი საკადრო ცვლილებების განხორციელებისას ხელისუფლებამ აქცენტი პროფესიონალიზმზე გააკეთა, რაც ძალიან სასიამოვნოა.

**— ამის გარდა, ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სახელისუფლებო გუნდში სერიოზული პროცესები მიმდინარეობს და საკადრო ცვლილებები სწორედ ამის დასტურია?**

— ხელისუფლების ჯგუფში რა დაჯგუფებებიც წყვეტდნენ საკადრო ცვლილებებს, მინისტრობის დასახელებული კანდიდატები ამ დაჯგუფებებს არ წარმოადგენენ და ნათელია, რომ ისინი ხელისუფლებამ პროფესიული ნიშნით შეარჩია.

**— რას შეიძლება ნიშნავდეს დავით კეზერაშვილის ნაცვლად ბათუ ქუთელიას წამოყენება, ეკა ტყეშელაშვილის გრიგოლ ვაშაძით, ნოდიას ნიკა გვარამიათი შეცვლა?**

— ბათუ ქუთელია მაშინაც მინისტრის საქმეს აკეთებდა, როცა მინისტრი სხვა იყო, შეიძლება ითქვას, ვინც საქმეს აკეთებს, მინისტრის პორტფელი მას მიეცა, თუ მიეცა ბოლომდე. საგარეოში პროფესიონალი დიპლომატი მოვიდა, რომელიც აგრეთვე არ არის ცნობილი იმით, რომ რომელიმე პოლიტიკურ გუნდში იყოს და პოლიტიკური ქულებით იყოს მოხვედრილი მინისტრის პოსტზე, რადგანაც ვიცით, რომ იგი მაღალი რანგის დიპლომატია. ასე რომ, ამჯერად ხელისუფლებამ მინისტრები პროფესიული ნიშნით შეარჩია.

**— რამდენად შეიძლება უკავშირდებოდეს მორიგი საკადრო ცვლილება გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ გაეროში საქართველოს ელჩი ირაკლი ალასანია გადადგა და თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ის აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაებმება.**

— არა მგონია, რომ ეს საკადრო ცვლილება ალასანიას გადადგომასთან ერთმნიშვნელოვნად იყოს კავშირში. ალასანია სხვა მოვლენაა და საკადრო ცვლილებას მე უფრო იმას ვუკავშირებ, რომ პრემიერი დანიშვნისას შეგვპირდა, რომ საჭიროების შემთხვევაში მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებები მოხდებოდა.

ვიდრე დაზუსტებით არ მექნება ინფორმაცია ალასანიას გადადგომის შესახებ და იმაზე, თუ რა მოტივით დატოვა მან თანამდებობა, ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება ამ თემაზე საუბარი.

**კობა ბენდელიანი**

# საქართველოს სახალხო დამცველმა პოლონეთის რესპუბლიკის ჯილდოზე უარი განაცხადა

**პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის გადაწყვეტილებით, საქართველოს სახალხო დამცველი დაჯილდოვდა პოლონეთის რესპუბლიკის „დამსახურების ოქროს ჯვრით" ადამიანის უფლებების სფეროში გაწეული ღვაწლის გამო. დაჯილდოების ცერემონია უნდა შემდგარიყო 4 დეკემბერს აუშვიც-ბირკენაუს სიკვდილის ყოფილ ბანაკში.**

3 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა წერილით მიმართა პოლონეთის პრეზიდენტს და უარი განაცხადა ამ ჯილდოს მიღებაზე. სოზარ სუბარმა ეს გადაწყვეტილება მიიღო მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ პოლონეთის მხარემ მიმართა საქართველოს პრეზიდენტს, რათა მას თანხმობა მიეცა საქართველოს სახალხო დამცველისთვის „ოქროს ჯვრის" მინიჭებაზე.

სახალხო დამცველის პოლონეთის პრეზიდენტისადმი მიმართვაში ნათქვამია: **„ჩემს მოვალეობად მიმაჩნია იმ ადამიანების დაცვა, რომელთა უფლებებიც სახელმწიფომ შელახა. განსაკუთრებით საგანგაშოა ის გარემოება, რომ ამ დარღვევებს სისტემური ხასიათი აქვს და ამის უმთავრესი მიზეზი მთლიანად ხელისუფლების და, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს პრეზიდენტის ადამიანის უფლებების დაცვისათვის პოლიტიკური ნების არაარსებობაა. ეს არაერთხელ აღმინიშნავს ჩემს მოხსენებებში.**

**ჩემთვის დიდი პატივი იქნებოდა ამ ჯილდოს მიღება და ამას აღვიქვამდი საქართველოში დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერად, და იმ ადამიანებისადმი სოლიდარობის გამოხატვად, ვისი უფლებებიც ირღვევა საქართველოში. მაგრამ, მას შემდეგ, რაც შევიტყვე, რომ პოლონეთის რესპუბლიკის ჯილდოს ჩემთვის მონიჭების საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საქართველოს პრეზიდენტმა, ჩემს ვალდებულებად მიმაჩნია, უარი განვაცხადო ამ პრემიაზე".**

**ნატა ნიბლაძე**

დავა

# რა გახდა ახალი ქართულ-სომხური დავისა და დაპირისპირების საბაბი?

## საქართველოს საპატრიარქო შეშფოთებულია



**სომხეთში 27 ნოემბერსა და 3 დეკემბერს აქციები გაიმართა, სადაც ქართველები სომხების დისკრიმინაციაში დაადანაშაულეს. ამას დაერთო სომხური ეკლესიის მკაცრი განცხადებები ქართული ეკლესიის წინააღმდეგ. საერთაშორისო მედიასაშუალებებშიც რამდენჯერმე გახმიანდა საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართული განცხადებები.**

ვითარება შემაშფოთებელია, მით უმეტეს, რუსული ინტერვენციის შემდეგ აგორებული სომხურ-ქართული დაპირისპირების შესაძლებლობის დაშვების ფონზე.

ამ ფაქტთან დაკავშირებით 8 დეკემბერს საპატრიარქოში საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელმა დეკანოზმა დავით შარაშენიძემ განცხადება გააკეთა სომხური ეკლესიის პრეტენზიასთან დაკავშირებით საქართველოს ეკლესიის მიმართ. მან აღნიშნა: „საქართველოს საპატრიარქო კვლავაც ადასტურებს პატივისცემას სომეხი ერისა და სომხური სამოციქულო ეკლესიისადმი და აღნიშნავს, რომ სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის ბრძოლის ურთულეს და ხანგრძლივ გზაზე ჩვენს ხალხებს არაერთხელ გაუწვდიათ ერთმანეთისთვის დახმარების ხელი, თუმცა ზოგჯერ, სამწუხაროდ, გაუგებრობებსაც ჰქონია ადგილი“...

როგორც დეკანოზმა დავითმა აღნიშნა, ამჯერად გაუგებრობის საგანი გახდა თბილისში, „ჯვარის მამის“ ეკლესიის გვერდით მდებარე ძეგლი (სომხური წყაროების მიხედვით „ნორაშენი“). მასთან დაკავშირებით ქართულ და სომხურ ეკლესიებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც საპატრიარქომ „ნორაშენის“ ეზოს კეთილმოწყობა დაიწყო.

ვითარების გართულების გამო, 26 ნოემბერს საპატრიარქოში ორმხრივი შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ქართული და სომხური ეკლესიის წარმომადგენლების გარდა დაესწრნენ თბილისის ვიცე-მერი მამუკა ახვლედიანი და სომხური დიასპორის წარმომადგენელი, გაზეთ „ვრასტანის“ რედაქტორი ვან ბაიბურთი. ორივე მხარე შეთანხმდა, რომ ამ ეტაპზე შეწყდებოდა ყოველგვარი სამუშაოები, პროცესში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ჩაერთვებოდა; ასევე შეიქმნებოდა ორმხრივი კომისია, რომელიც ექსპერტებითა და არქეოლოგებით დაკომპლექტდებოდა. გათხრების, მეცნიერული შესწავლისა და შედეგების შეჯერების საფუძველზე დადგინდებოდა ძეგლის კუთვნილების საკითხი.

საინტერესოა, რომ ამ შეთანხმების შემდეგ, მეორე დღესვე დაიწყო აქციების ციკლი სომხეთში, რამაც საპატრიარქო შეაშფოთა და გააკვირვა. ქართული ეკლესიის წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ დაძაბულობა განიმუხტება და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის და მისი უწმინდესობის, ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქის და კათალიკოსის გარეგინ II-ის ძმური ურთიერთობა ხელს შეუწყობს პრობლემის სამართლიანად გადაჭრას.

**სამწუხაროდ, ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, რამაც ქართველებსა და სომხებს შორის ურთიერთობა გაამწვავა. ამის შესახებ გვინდოდა კომენტარი მოგვესმინა სახალხო დამცველის აპარატში არსებული ტოლერანტობის ცენტრიდან, თუმცა კომპეტენტური პირებთან დაკავშირება რთული აღმოჩნდა.**

**იმედია, ორმხრივი კომისიის მუშაობა შედეგს გამოიღებს. ეს მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ ქართულ მხარესაც აქვს პრეტენზიები დღეს სომხეთის საზღვრებში მოქცეული კულტურული ძეგლების გამო და ადვილი სავარაუდოა, რომ დავები კვლავაც გაგრძელდეს.**

თეა მოსია

უცხოური გაზეთიდან

***ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაცია დაიწყებს ურთიერთობის აღდგენას რუსეთთან, რომელიც შეიკვეცა ერაყში ომისა და ინტერნეტის რეკლამის გამო. ბარაკ ობამას გუნდი ამზადებს ამერიკის ეკონომიკის გადარჩენის ახალ გეგმას, რომლის ყველაზე ცუდი დრო, მიაჩნია ამერიკის ახლადარჩეულ პრეზიდენტს, ჯერ არ დამდგარა. თეთრ სახლს განზრახული აქვს დაზოგვა, მათ შორის სამხედრო კამპანიებზეც, და გვპირდება, რომ უახლოეს დროში შეიმუშავებენ ერაყში ომის შეკვეცის გეგმას. პარალელურად ახალი ადმინისტრაცია გვპირდება მოაწესრიგოს ურთიერთობა რუსეთთან, თუმცა, ობამას აზრით, რუსეთი „ხდება სულ უფრო თავდაჯერებული და მოქმედებს საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგოდ“.***

# ობამამ გამოსავალი იცის

## ახალი პრეზიდენტი თავისი გეგმების შესახებ

ამერიკის შეერთებული შტატების ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ წინა დღით გაახმოვანა თავისი გეგმები თანამდებობის ოფიციალური დაკავების შემდეგ.

**„რუსეთი არის ქვეყანა, რომელმაც უკანასკნელი წლების განმავლობაში მიაღწია დიდ ეკონომიკურ პროგრესს“.** პირველ რიგში ამერიკის ახალ ლიდერს განზრახული აქვს, შეასრულოს თავისი წინასაარჩევნო დაპირება ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის შესახებ. თუმცა, როგორც ობამა აღიარებს, უარესი დრონი ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ჯერ არ დამდგარა.

ახალი გეგმა ითვალისწინებს ამერიკის ეკონომიკაში 500 მილიარდი დოლარის ჩართვას. სამაგიეროდ, ახალი ადმინისტრაცია უფლებას იტოვებს, გააძლიეროს კონტროლი მთელ საფინანსო სექტორზე. **„ეკონომიკური აღდგენის ჭრილში ჩემი ადმინისტრაცია ყურადღებას გაამახვილებს საფინანსო რეგულაციის ზუსტ განსაზღვრაზე, რომელთა წყალობითაც ბანკები, სარეიტინგო სააგენტოები, იპოთეკური სესხების გამცემები — ყველა ისინი გახდებიან უფრო გამჭვირვალე და პასუხისმგებლები თავიანთ მოქმედებებში“,** — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა. დემოკრატების ბანაკში შემუშავებული ორწლიანი პროგრამა, იტყობინება „ინტერფაქსი“, შეიცავს გადასახადების დაბრუნებას, ინფრასტრუქტურების პროექტებს, აგრეთვე, კერძოდ, ენერგო-ეკონომიკური პროექტების და ინტერნეტის პოპულარიზაციის განვითარებას.

**„ჯერ ერთი, ჩვენ ავამოქმედებთ სახელმწიფო დაწესებულებებში ენერგიის ხარჯვის შემცირების პროგრამას, ჩვენი მთავრობა ამჟამად ელექტროობაზე ხარჯავს ყველაზე მეტს მსოფლიოში“,** — განაცხადა პრეზიდენტმა.

ახალი პრეზიდენტის მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი გახდება ქვეყანაში ვრცელზოლიანი ინტერნეტის გავრცელება. **„მიუღებელია, რომ ვრცელველიან ინტერნეტში შეღწევის დონის მიხედვით ამერიკის შეერთებული შტატები მე-15 ადგილზე იმყოფება“.**

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა საყოველთაო ინტერნეტიზაცია, რომლის წყალობითაც, ობამას ჩანაფიქრით, შეიძლება შევამციროთ ბიუროკრატია და ყოველწლიურად დავზოგოთ „მილიარდობით დოლარი“. ეს შეეხება სკოლებს, ბიბლიოთეკებსა და საავადმყოფოებს.



თეთრი სახლის მომავალი მეთაური აგრეთვე გვპირდება, რომ გაჭირვებაში არ დატოვებს საავტომობილო გიგანტებს, რომლებმაც თხოვნით მიმართეს ადმინისტრაციას. მაგრამ მათგან საპასუხოდ ელოდება რესტრუქტურიზაციას. **„მოგვიწევს გადავწყვიტოთ, თუ როგორ მოვახდინოთ ასეთივე ზემოქმედება, რასაც შეიძლება ველოდოთ გაკოტრების სასამართლოებისგან, მაგრამ ეს უნდა გავაკეთოთ ისე, რომ კორპორაციებმა არ დაკეტონ თავიანთი ქარხნების კარები“,** — აღნიშნავს ობამა.

თავის ახალ საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით ახალ ადმინისტრაციას აქვს არანაკლებ გლობალური გეგმები. ჯერ ერთი, პრეზიდენტი გვპირდება, რომ ბოლოს და ბოლოს, შედგება ერაყიდან ამერიკელი სამხედროების გამოყვანის ზუსტი გეგმა.

**„ერთ-ერთი პირველი აქტი ჩემი პრეზიდენტად ყოფნის დროს, მას მერე რაც მივიღებ ფიცს, იქნება ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის ხელმძღვანელების, ეროვნული უშიშროების ჩემი „გუნდის“ მოწვევა, რათა შევიმუშაოთ ჯარების საპასუხისმგებლო შემცირების გეგმა“,** — განაცხადა ობამამ ეი-ბი-სისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ამავე დროს მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჯარების გამოყვანა არ უნდა მოხდეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ერაყის უშიშროების ინტერესების საპირისპიროდ.

პარალელურად ახალი ადმინისტრაცია პირობას იძლევა, რომ მოაწესრიგებს კონტაქტს რუსეთთან, თუმცა მისი მოქმედებით ამერიკის შეერთებულ შტატებში ძველებურად უკმაყოფილონი არიან.

**„მიმაჩნია, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამერიკა-რუსეთის ურთიერთობის აღდგენა. ჩვენ გვსურს თანამშრომლობა იქ, სადაც შესაძლებელია და სადაც არის მთელი რიგი დარგები, განსაკუთრებით იარაღის გაუვრცელებლობისა და ტერორისტთან ბრძოლის პრობლემები, და სადაც შეგვიძლია ვითანამშრომლოთ. მაგრამ ჩვენ ყოველთვის უნდა გავაგზავნოთ საჭირო სიგნალი იმის შესახებ, რომ ისინი იქცეოდნენ ისე, რომ არ აშინებდნენ თავიანთ მეზობლებს“,** — განაცხადა ობამამ.

მისი სიტყვებით, რუსეთი არის ქვეყანა, რომელმაც უკანასკნელი წლების განმავლობაში მიაღწია „უზარმაზარ ეკონომიკურ პროგრესს“.

**„ცხადია, რომ მათ დაეხმარა ნავთობზე მაღალი ფასები. ისინი ხდებიან სულ უფრო შემტევები, და როცა საქმე ეხება საქართველოს და მუქარებს მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ, მე ვფიქრობ, მათი ქცევა ეწინააღმდეგება საერთაშორისო ნორმებს“,** — აღნიშნა მან.

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის შეცვლაში უკანასკნელი როლი, ობამას სიტყვებით, არ უნდა დაიკავოს ახალი სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის ფიგურამ. მისი აზრით, მას შეუძლია აღადგინოს **„ალიანსები და გაგზავნოს გადამჭრელი სიგნალები იმის შესახებ, რომ ჩვენ სხვაგვარად წავიყვანთ საქმეს და აქცენტს გავაკეთებთ ჩვენს დიპლომატიაზე“.**

აღსანიშნავია, რომ ამ პოზიციას დაეთანხმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო პოსტიდან მიმავალი კონდოლიზა რაისი, რომელმაც ობამას არჩევანს „გასაოცარი“ უწოდა.

**„ჰილარი კლინტონი ძალიან ჭკვიანია და შესანიშნავად იმუშავებს. ამას გარდა მას აქვს ის, რაც მნიშვნელოვანია სახელმწიფო მდივნისთვის: ჩვენ უნდა გვიყვარდეს ჩვენი ქვეყანა და წარმოვადგინოთ იგი მისი ღირებულებების საფუძველზე“,** — დაახასიათა თავისი მემკვიდრე რაისმა.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

ეს ყველამ უნდა წაიკითხოს!

ზურაბ ავალიშვილი

# საქართველოს შეერთება რუსეთთან

მაგრამ, სეიმის გარდა, კურლანდიაში იყო ჰერცოგიც, ეს უკანასკნელი „უდგება“ სეიმის საჯარო აქტს და თავად სთხოვს ეკატერინე II-ს, მიიღოს საქვეშევრდომოდ კურლანდია. ამიტომ, იგი **„ნებას რთავს და ათავისუფლებს ყველა და თითოეულ მცხოვრებს“** კურლანდიისა მის წინაშე დადებული ფიცისაგან და „რუსეთის იმპერიის უავგუსტესი მონარქის ფერხთით“ საჯაროდ ამბობს უარს ყველა თავის „სახელმწიფოებრივ უპირატესობასა და მთავრის უფლებებზე“.

ამ აქტების პასუხად იმპერატრიცამ გამოთქვა რწმენა, რომ სეიმისა და მისი რწმუნებულების მიერ იმპერატორის დიდებულების წინაშე გაცხადებული სურვილი – შეერთების თაობაზე – გულწრფელია, და იგი საჯაროდ აკმაყოფილებს ასე გაცხადებულ სურვილს.

შედეგად ეკატერინე II-ის მანიფესტს იმპერიასთან კურლანდიის და ზემგალიის სამთავროების შეერთების შესახებ წინ უძღვის: აქ კურლანდიის ჰერცოგის პეტრეს აქტი, რომლითაც იგი უარს ამბობს მისი კუთვნილი სამთავროს ჰერცოგის უფლებებზე; ბქ კურლანდიის რაინდობისა და ერობის მანიფესტი პოლონეთთან წინანდელი კავშირისაგან განდგომის შესახებ; გქ იგივე რაინდობისა და ერობის აქტები მ.ი.დ. – სადმი მათი ქვემდებარების შესახებ.

ჩვენ ვხედავთ, რომ კურლანდიის მიერ გაცხადებული ნება და იმპერატრიცას საპასუხო ნების გამოვლინება ემთხვევა ერთმანეთს საგანთან დაკავშირებით. ნებათა თანხმობა აქ გამოხატულია არა ტრაქტატში – მას ცხადჰყოფს აქტების შეჯერება.

მაგრამ თუ ეძებენ არა უცილობელ, არამედ **პირობითს** ქვეშევრდომობას, მაშინ ხომ მით უმეტეს საჭიროა ფორმალური თანხმობა შეერთების პირობების თაობაზე. კულტურების, **ეპოქებისა და ადგილმდებარეობის განსხვავებას აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ეს განსხვავება აისახება შეთანხმების მუხლების შინაარსსა და ფორმაში, მაგრამ თვით შეთანხმება აუცილებელ წანამძღვრად რჩება.**

ახლა ვნახოთ, რა გზებით მოხდა გადასვლა რუსეთთან საქართველოს სახელშეკრულებო კავშირიდან საპოლიტიკო მყოფობის შეწყვეტასა და ინკორპორაციაზე.

## II.

### 1.

მფარველობის გაწევა საქართველოსათვის და მისი ტერიტორიის დაცვა გარეშე მტრისაგან – რაც კისრად იდო რუსეთმა 1783 წლის ტრაქტატით, სამწუხაროდ, იმდენად ფუჭი გამოდგა, რომ, თუ ოფიციალურ მონაცემებს ვირწმუნებთ, საქართველოს მოსახლეობა 1783 წლიდან 1801 წლამდე პერიოდში ლამის განახევრდა. 1801 წლისთვის საქართველო რომ სრული გაპარტახების სურათს წარმოადგენდა, და რომ დავიწყების ფერფლით იყო დაფარული ერეკლეს მეფობის საუკეთესო ხანა – ამაში არავის არ ეპარებოდა ეჭვი.

ასეთი შესრულება ვალდებულებებისა, რუსეთის მხრივ პროტექტორატიდან რომ გამომდინარეობდა, მათი შეუსრულებლობის სადარი იყო, და საქართველოს შეეძლო, რუსეთის მიმართ ნაკისრი ვალდებულებებისაგან თავისუფლად ჩაეთვალა თავი.

ცნობილია შემთხვევები, როცა დამოკიდებული სახელმწიფოსათვის სიუზერენის მიერ დახმარების გაუწევლობას მოჰყოლია პირველის უარი მფარველობაზე. ასე მოიქცა ნიდერლანდი გერმანიის იმპერიის მიმართ, როდესაც მან არ დაუჭირა მხარი ესპანეთთან ბრძოლაში. ზუსტად ასევე, ლუცერნი, როდესაც ავსტრიის ჰერცოგებმა მიატოვეს, შვეიცარიის კავშირში შევიდა.

ჩვენ ვახსენეთ, რომ საქართველო ერთ მომენტში მზად იყო, ასეთ გზას დასდგომოდა და უზრუნველეყო თავისი მომავალი ურუსეთოდ. მაგრამ ამჯობინა, ძველ ტრადიციებზე დარჩენილიყო, და ასულდგმულებდა სრულიად სწორი აზრი რუსეთთან **უფრო მჭიდრო ერთიანობის** აუცილებლობისა, რომლის დროსაც ტრაქტატით დათქმული რუსეთის დახმარება ნამდვილი იქნებოდა. ჯერ კიდევ ერეკლე მიხვდა, რომ ამისათვის საჭირო გახდებოდა, უფრო ღვიძლად დაეინტერესებინა რუსეთი; მან რუსეთს საკუთარ განკარგულებაში შესთავაზა მადნები, და მზად იყო, დაეთმო მისთვის თვალსაჩინო ადგილი საქართველოს შინაგან გარდაქმნაში, გარდაქმნაში, რომლის აუცილებლობა დიდი ხანია, ესმოდათ, მაგრამ რომელიც შესაძლებელი იქნებოდა, როგორც არაერთგზის გვითქვამს, მხოლოდ ქვეყნის საგარეო უვნებელყოფის პირობებში. ამ თვალსაზრისით შეჰქონდა პეტერბურგში, სწორედ ერეკლეს სიკვდილის წინ, წარდგინებები თავ. ჭავჭავაძეს, მაგრამ ამაოდ (თავ. გ. ჭავჭავაძის 1797 წ. 11 ივლისის წინადადება იმპ. პავლესადმი (ცაგარელი, ტ.II, № 120ძ. აქ ჩვენ გვაქვს უკვე, სახელდახელოდ მოხაზული, საწყისები მერმინდელი „სათხოვნელი პუნქტებისა“).

საქართველოს ხელმძღვანელ წრეებში, მეფე გიორგი XII–ის დროს, ეს იდეა საბოლოოდ მომწიფდა, და მისი განხორციელებისათვის, ისეთი კავშირის შექმნისათვის, რომელიც საქართველოს მისცემდა ჯერ კიდევ 1783 წლის ტრაქტატით აღთქმულს, – მოვლენილ იქნენ სწორედ პეტერბურგს გიორგი ავალიშვილი და ელიაზარ ფალავანდიშვილი, თავ. გარსევან ჭავჭავაძესთან ერთად, მათ შეიმუშავეს რუსეთთან საქართველოს უფრო მჭიდრო შეერთების გეგმა, რომელსაც აქ განვიხილავთ.

### 2.

საქართველოს რწმუნებულთა მოსაზრებანი ჩამოყალიბებული იყო (ეგრეთ წოდებული „სათხოვნელი პუნქტების“ძ 16 პუნქტად, და მათი შემცველი ნოტა გადაიცა გიორგი XII-ის სახელით თავად ჭავჭავაძის მიერ **1800 წლის 17 ნოემბერს.**

საქართველოს მთავრობის განზრახულებანი განიხილა საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიამ და მოიწონა ყველა პუნქტის მიხედვით; პავლემ – 19 ნოემბერს, იმავე თვის 23 რიცხვში გიორგი მეფეს გაეგზავნა უმაღლესი სიგელი შეტყობინებით, რომ მის რწმუნებულ მოციქულთა ნოტას გაეცნო ხელმწიფე.

იმავდროულად, კოლეგიის თავმჯდომარემ გრაფმა როსტოპჩინმა საქართველოს მეფეს აცნობა უმაღლესი ნება საქმის შემდგომი მსვლელობის თაობაზე. სახელდობრ, პეტერბურგიდან საქართველოში გაიგზავნენ თავადები გ. ავალიშვილი და ე. ფალავანდიშვილი, რათა მათთვის გატანებული სია საქართველოს რწმუნებულ მოციქულთა ნოტასთან დაკავშირებით, დაემტკიცებინათ საქართველოში და, შემდეგ, დასახელებული თავადების ხელით გამოეგზავნათ უკან, პეტერბურგში სამადლობელ სიგელთან ერთად, ამასთან, სამივე დესპანი უნდა წოდებულიყო მეფისა და მთელი სამეფოსაგან წარგზავნილ ელჩებად, ხოლო შემდგომ ამისა, პეტერბურგში დაიდებოდა ორმხრივი საიმპერატორო აქტი, შესაფერისი ზეიმით.

აშკარაა, რუსეთთან საქართველოს შეერთების ფორმას, რომელიც საქართველოს რწმუნებულმა მოციქულებმა შესთავაზეს და მიღებულ იქნა რუსეთისა და საქართველოს მთავრობათა წინასწარი შეთანხმებით, საბოლოო რატიფიკაცია და დადასტურება რომ ეპოვა ორმხრივ საიმპერატორო აქტში, როგორც ეს იმპერატორმა აღუთქვა, ისტორია დაინახავდა რუსეთთან საქართველოს კეთილი ნებით შეერთებას არა მარტო არსით, არამედ ფორმითაც, შეერთებას ორი ხელშემკვრელი მხარის მიერ გაზიარებული საწყისებით.

სინამდვილეში კი შეერთების ხასიათი არ გამოხატულა მკაფიოდ იურიდიულ აქტებში; ეს არ მომხდარა, იმიტომ, რომ თბილისში, აღნიშნული მიზნით, ქართველ რწმუნებულ მოციქულთა გაგზავნით ერთდროულად, ჩაფიქრებული იყო და თანდათან აღსრულდა მეორე ციკლი განკარგულებებისა, რომელთა წყარო იყო მხოლოდ და მხოლოდ ინიციატივა და ნება რუსეთის მთავრობისა. და სწორედ ეს ციკლი მთავრდება ინკორპორაციით, მაშინ როდესაც, პირველი, ერთადერთი მართლზომიერი და სწორი (თუ ფორმალურად განვსჯითძ, ხაზი ორმხრივული, ურთიერთგაზიარებული შეთანხმებისა, უეცრად წყდება, და თანდათან, მაგრამ ძალიან მალე, უთმობს ადგილს გარემოებათა ახალ წესსა და რიგს.




### 3.

ქართველ რწმუნებულ მოციქულთა მიერ შეთავაზებული და, როგორც ვნახეთ, იმპ. პავლეს მიერ მოწონებული საწყისები რუსეთთან საქართველოს შეერთებისა, წარმოადგენენ არა ნაბიჯს, არამედ ათასობით ნაბიჯს, წინგადადგმულს შეკავშირებისა და ერთიანობის გზით. იმპერიის ინტერესები და საჭიროებანი იმდენად არის დაცული, რომ ავტონომიის ფარგლები, რომლებსაც საქართველო იტოვებს, ნულის ტოლია.

ეს პროექტი თვით თავისი არსით, მკვდრადშობილი იყო, და ამიტომ ჩვენ მას მხოლოდ ძალზე ზოგადად გავაშუქებთ. მისი ძირითადი საწყისია – რომ ამიერიდან საქართველო გადმოდის რუსეთის **სრულ** დამოკიდებულებასა და ქვეშევრდომობაში და **ყველა ნაწილში** დარჩება იმპერატორის მორჩილებაში.

ბაგრატიონთა დინასტია რჩება და მის წარმომადგენლებს კვლავინდებურად ეკუთვნით აღმასრულებელი ხელისუფლება საქართველოს სამეფოში, მაგრამ **საკანონმდებლო ხელისუფლება მთლიანად გადაეცემა იმპერიას**; (ეს ორი პრინციპი: საქართველოზე საერთო-იმპერიული კანონების



ძალის გავრცელება და ბაგრატიონთა მემკვიდრეობითი მეფობის შენარჩუნება, მკაფიოდ არის გამოხატული რწმუნებულებებში, მეფე გიორგიმ რომ მიანიჭა თავის დესპანებს, რომლებიც ს.-პეტერბურგს წარგზავნა.

ცაგარელი, II, № 175, იხ. დანართი D. სწორედ ეს საწყისები დაედო საფუძვლად 1800-ში „სათხოვნელ პუნქტებს“, აგრეთვე უფრო გვიანდელ ნოტას, საქართველოს ელჩებმა რომ შეიტანეს 1801 წლის აპრილში, უკვე შეერთების პირველი მანიფესტის შესახებძ. ასე რომ, მეფენი ქვეყანას მართავენ იმპერატორის კანონების მიხედვით – და ამ კანონების სახელმძღვანელოდ მიღებით. ზუსტად ასევე საქართველოს შემოსავალი უნდა იყოს რუსეთის ხელმწიფის განკარგულებაში: ხოლო საქართველოს მეფეს უზრუნველყოფილი ექნება შენახვა. რუსეთის ჯარები დაიკავებენ საქართველოს ტერიტორიას და ციხე–სიმაგრეებს. და, ბოლოს, უზრუნველყოფილ იქნება თანასწორობა უფლებებში და კანონის წინაშე ქართველ ქვეშევრდომთა ცალკე ძონებით „რუსეთელებთან“ ერთად.

უეჭველია, რომ იმპერიას აქ ეთმობა ლომის წილი, და რომ ქართველი კონტრაგენტების წვლილი ძალზე მოკრძალებულია; ბოლოს და ბოლოს, საქართველოს მეფე იქნებოდა მხოლოდ ერისმთავარი და, პრაქტიკულად რომ ვილაპარაკოთ, საქართველო ხდებოდა არა უმეტეს პრივილეგირებული პროვინცია იმპერიისა, რომლის ინტერესები ამრიგად იქნებოდა შეთანხმებული საქართველოს ეროვნულ მისწრაფებებთან. როგორც ჩანს, პროექტის ავტორებს ეჩვენებოდათ, რომ რაოდენ მოკრძალებული ჩარჩოებითაც უნდა შემოფარგლულიყო საქართველოს მეფეთა ძალაუფლება და დამოუკიდებლობა ამ პროექტის მიხედვით, მაინც, ინარჩუნებდა რა ეროვნულ დინასტიას, ადმინისტრაციას და სხვ., საქართველო ინარჩუნებდა საპოლიტიკო მყოფობის აჩრდილს; იმპერიის ყოველმხრივი უზენაესობის აღიარებით, იგი ამ უკანასკნელს უფრო მეტს აძლევდა, ვიდრე მოსალოდნელი იქნებოდა ნებისმიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოსაგან. **მაგრამ ის მცირედიც, რასაც თავად იტოვებდა, სურდა დაეტოვებინა საიმპერატორო ორთავემხრითი აქტის გარანტიით.** საქართველოში, ეტყობა, მიაჩნდათ, რომ მხოლოდ ასეთი გარანტიაა რამდენადმე სერიოზული; და, მართლაც, იქამდე, სანამ რუსეთთან საქართველოს კავშირი მტკიცდებოდა და რთულდებოდა შეთანხმების, ხელშეკრულების გზით, – საქართველოს სამეფო, პრინციპულად, ინარჩუნებდა თავის დამოუკიდებლობას; იგი არც პროექტის მიხედვით არ გადაიქცეოდა იმპერიის წარმონაქმნად; არა, იგი მხოლოდ გადასცემდა იმპერიას კანონმდებლობის, ბეგარის აკრეფის უფლებას, რომელიც მას ეკუთვნოდა, და სხვ. თავისი სრული უფლებებიდან იძლეოდნენ ძალიან ბევრს, მაგრამ იძლეოდნენ კეთილი ნებით. ყოველგვარი შემდგომი ცვლილება შეიძლებოდა მომხდარიყო, ისევ და ისევ, შეთანხმების გზით.

უნდა ვაღიაროთ, რომ „სათხოვნელი პუნქტები“ საქართველოს მონარქიის მხრივ იყო ცნობა თავისი საკუთარი უძლურებისა. სრულიად ბუნებრივია, რომ მეფეებს არ ეყოთ ვაჟკაცობა, ბოლომდე აეღოთ ხელი თავიანთ პრეროგატივებზე; ყველაფერზე, რაც კი რამ იყო არსებითი, აიღეს ხელი, მარამ სურდათ კიდევ პრივილეგიები თავისთვის; ისინი მზად იყვნენ, გამხდარიყვნენ, მეფეების ნაცვლად, საქართველოს მემკვიდრეობითი განმგენი, მაგრამ ასეთი, წმიდა წყლის შუასაუკუნეობრივი წესი, შეუწყნარებელი იქნებოდა XIX საუკუნეში. რაკი თვით ძალაუფლების ყველა მთავარი უფლება რუსეთის ხელში გადადიოდა, სამეფო ძალაუფლება იქცეოდა უკვე უშიგთავსო, გამოცარიელებულ ფორმად, ერთგვარ გულგამოწოვილ კვერცხის ნაჭუჭად. ეს ნაჭუჭი გადასაგდები იყო; მაგრამ მას ვერ მოისროდნენ თვით დინასტიის წარმომადგენლები; ვერ მოისროდნენ ვერც ქართველები, რომლებსაც საამისოდ ინიციატივა არ ეყოფოდათ; ეს უნდა ექნა,– და ვალდებულიც იყო, ექნა – მხოლოდ რუსეთის მთავრობას; და სწორედ მან შეასრულა ეს ამოცანა, – უმადური ამოცანა ამ დინასტიის თავიდან მოცილებისა, რომელმაც მოჭამა თავისი დრო.

## III.

ახლა ვნახოთ, როგორ მივიდა რუსეთის მთავრობა 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტამდე.

ორი დღით ადრე, სანამ საქართველოს ელჩები განხილულ ნოტას შეიტანდნენ – და ოთხი დღით ადრე იმპ.პავლეს მიერ მათს გაცნობამდე, გამოვიდა უმაღლესი რესკრიპტი გენერალ კნორინგისადმი (1800 წლის 15 ნოემბერსძ. ამ რესკრიპტში ლაპარაკია საქართველოს ელჩობის შუამდგომლობაზე ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებ; ხაზგასმით არის აღნიშნული ამ საქმის დიდი მნიშვნელობა, როგორც თავისთავად იმ მხარის მიმართ, ისე რუსეთის საზღვრების სიმშვიდის თვალსაზრისით; ამიტომ, ნაბრძანებია, დაუყოვნებლივ წარედგინოს იმპერატორს გენერალ კნორინგის მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რა რაოდენობის გამოყოფა შეიძლება მისთვის ჩაბარებული ჯარებიდან საქართველოს დასაკავებლად და იქ დასატოვებლად...“ შემდეგ გიორგი XII–ის უკვე მაშინ მოსალოდნელი გარდაცვალების გათვალისწინებით, გაიცა ასეთი ინსტრუქცია: დაუყოვნებლივ გაგზავნეს, რაკილა (მისიძ გარდაცვალება მოახლოებულია, იქ განცხადება ჩვენი სახელით, რათა ჩვენს უნებართვოდ არც კი დაიწყოს საქართველოს მეფის მემკვიდრის დასანიშნად მზადება...

თარგმნა
**არჩილ მანჯგალაძემ**

(გაგრძელება იქნება)

**იბეჭდება შემოკლებით**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 203-219.**

მწარე რეალობა

# ისევ სცილასა და ქარიბდას შორის?!

***წინამდებარე წერილი 2001 წელს გამოვაქვეყნე, ანუ ზუსტად 2 საუკუნის შემდეგ, რაც საქართველო „ნებაყოფლობით“ შეუერთდა რუსეთს. დღეს რატომ ვთვლი საჭიროდ იგივე წერილის მცირე შესწორებით, მაგრამ მაინც დაბეჭდვას? ამის რამდენიმე მიზეზი მაქვს. მაგრამ ვიდრე ამაზე მოგახსენებდეთ, ჯერ იმას აღვნიშნავ, რომ მცირე შესწორებებში წერილის შესავალსა და ბოლოთქმას ვგულისხმობ.***

***ახლა რაც შეეხება მიზეზებს: პირველი ის არის, რომ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის მომხრეებს, ურაპატრიოტთაგან არცთუ იშვიათად დაგვიმსახურებია „კრემლის აგენტის“ იარლიყი. მეორე მიზეზზე საუბრისას ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ რაკი ჩვენთვის ისედაც მუდამ ცხადი იყო რუსეთის ორსახოვანი ბუნება, დღეს მისთვის ე. წ. ნიღბის ჩამოხსნა, რითიც ყელყელაობენ მავანნი, სულაც არ იყო საჭირო. მითუმეტეს ამხელა მსხვერპლისა და ტერიტორიების დაკარგვის ფასად. და მესამე — კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ისტორია იმისთვის არსებობს, მისი გაკვეთილებიდან არავინ არაფერი ისწავლოს.***

***რაც ორი საუკუნის წინათ მოგვიტანა რუსეთისკენ და მხოლოდ მისკენ სწრაფვამ, იგივე დაგვმართა, თუ უარესი არა, ნატო-ნატოს ისტერიულმა ყვირილმა.***

### წიგნი ფიცისა

რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობათა დასაწყისად 1561 წელი ითვლება, როდესაც კახეთის მაშინდელმა მეფემ ლევანმა, პირველი ელჩები გაგზავნა რუსეთის მეფის ივანე მრისხანეს კარზე მოსკოვში. ამ თარიღიდან ზუსტად 240 წლის შემდეგ, 1801 წელს საქართველო რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ გუბერნიად იქცა. ეს არ იყო ის, რასაც ქართული დიპლომატია თითქმის ორ საუკუნე ნახევრის განმავლობაში ელოდა ერთმორწმუნე რუსეთისაგან. ეს იყო იმის მაქსიმუმი, რისი მოცემაც რუსეთს შეეძლო. აღმოჩნდა, რომ „ერთმორწმუნე მეზობელს“ მფარველობა დაპყრობა, მეგობრობა - დამონება ჰგონია.

ივანე მრისხანეს რუსეთთან კონტაქტებმა საქართველოსთვის პირველი „სასიკეთო“ შედეგები მაშინვე გამოიღო. რუსებმა თითქოს შეასრულეს პირველი „წიგნი ფიცისას“ ვალდებულება – ჩრდილო კავკასიაში, თერგზე ციხე ააგეს, სადაც რუსული ციხიონი ჩააყენეს. კახეთის მეფე ლევან I-ს მცირე ჯარიც კი გამოუგზავნეს, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში იდგა კახეთში, მაგრამ მე-16 ს-ის მიწურულს სპარსეთმა შაჰ-აბას I-ის მეცადინეობით, მომძლავრება იწყო. რუსებმა თავადვე დაანგრიეს საკუთარი ციხე-სიმაგრე თერგზე და დიდი ხნით ამოიკვეთეს ფეხი კავკასიიდან.

მე-17 ს-ში თვითონ რუსეთის სახელმწიფოებრიობა იდგა კითხვის ნიშნის ქვეშ. ეს იყო ცრუ დიმიტრების, თუ ბოლოტნიკოვების ხანა და ვიდრე პეტრე I-მდე რუსეთს კავკასიისათვის, საქართველოსათვის აღარ ეცალა. საქართველო ისევ მარტო დარჩა სცილასა და ქარიბდას - სპარსეთ-ოსმალეთის პირისპირ. მიუხედავად ამისა, საქართველოს მეფენი არ მოეშვნენ ჩრდილოეთისაკენ ყურებას, საიდანაც ელჩებს ახალ-ახალი „წიგნი ფიცისები“ ჩამოჰქონდათ, რომელთა პირობებს ზედმიწევნით ასრულებდა საქართველო, სანაცვლოდ კი ფუჭი დაპირება მოდიოდა ჩრდილოეთიდან დახმარების შესახებ. ეს ერთგულება რუსეთის მიმართ მრავალ სისხლად და ცრემლად დაგვიჯდა ქართველებს.

პირველი ტრაგედია, კახელი ბაგრატიონების სამეფო ოჯახს დაატყდა თავს, როდესაც შაჰ-აბასის მძევლობაში გაზრდილმა კონსტანტინემ, 1605 წლის 12 მარტს ძაგემში, რუსეთის ელჩების ცხვირწინ, საკუთარ მამას ალექსანდრე I-სა და ძმას – უფლისწულ გიორგის, თავები დააყრევინა და სამეფო გვირგვინი დაიდგა. ეს ოჯახური დრამა მოკლე ხანში საქვეყნო ტრაგედიად გადაიქცა –ალექსანდრე I-ის შვილიშვილმა, მეფე პოეტმა, თეიმურაზ I-მაც გააგრძელა რუსეთთან იწილო-ბიწილო.

გამძვინვარებულმა ყაენმა, თეიმურაზისაგან მძევლად გაცემული შვილები და დედა ქეთევანი (შემდგომში ქეთევან წამებული) არ იკმარა და კახეთს ისეთი დღე აყარა, რაც არც ერთ სხვა დამპყრობელს არ უქნია - ერთი მესამედი მოსახლეობისა გაჟუჟა და ერთიც ფერეიდანში გადაასახლა. ეს ერთი მესამედი თითქმის 300 ათასი ადამიანი იყო. თვითონ კახეთი, აყვავებული ქვეყანა, უდაბნოდ აქცია.

„მეფე რომ პი-პუ-ს დაიწყებს, მისი ხალხი ვაი-ვაის იძახებსო“ – წერდა აკაკი მეფე თეიმურაზის პოეტობაზე, რომელიც პოეზიის მეფობას ეცილებოდა რუსთაველს. ჰოდა, ეს კახეთისა და პოეზიის მეფე, შაჰ-აბასის მორიგი შემოსევისას სამეფოს უპატრონოდ დააგდებდა და იმერეთში გარბოდა, საიდანაც რუსეთში გზავნიდა ელჩიონს, დამეხმარეთო. მთელი თავისი ხანგრძლივი, უბედური სიცოცხლის ბოლომდე, თეიმურაზ I, მართლაც კახური სიჯიუტით, რუსეთის ერთგული დარჩა. რუსეთის ფუჭი დაპირებების მოლოდინში დაასრულა უგემური სიცოცხლე სპარსეთში, ასტრაბადის ციხეში, ყოველგვარი მეფური პატივის გარეშე.

რუსეთისაკენ მზირალ ქართველ მეფეებს, საბოლოო ჯამში, ისევ ძველი ნაცადი გზით - სცილასა და ქარიბდას, სპარსეთ-ოსმალეთს შორის ბალანსირების პოლიტიკით უწევდათ საკუთარი ტახტის და ქვეყნის მეტ-ნაკლები კეთილდღეობის შენარჩუნება. პრორუსულობით განსაკუთრებულად გამორჩეულ მეფეებს უჭირდათ სცილა-ქარიბდას შორის ბალანსირება, რადგან მათ ეს ე.წ. ბალანსირების პოლიტიკა რუსეთისაგან გაწბილებულებს ახსენდებოდათ მხოლოდ. ამიტომაც მათი აღარც სპარსეთს სჯეროდა და აღარც ოსმალეთს, რაც ხშირად სამეფო გვირგვინის დაკარგვად, უფრო ხშირად კი უბრალო ქართველი ხალხის რბევა-აწიოკებად უჯდებოდა ქვეყანას. ამის ნათელი მაგალითია კიდევ ერთი ქართველი მეფე პოეტის – ვახტანგ მეექვსის მოღვაწეობა.

რუსეთის იმპერატორმა პეტრე I-მა მოათავა რა შვედეთთან ომი, 1722 წლის 15 ივნისს, სამხრეთული ლაშქრობის მანიფესტი გამოაცხადა და ქართლის მეფე ვახტანგ VI ელჩებიც ახლა გარუსებული ქართველის, ბორის (ბაადურ) თურქესტანიშვილის მეთაურობით. სამი თვე ელოდა ქართველთა ლაშქარი, რუსების მოსვლას შირვანში, სადაც დათქმული იყო პეტრესა და ვახტანგის პაემანი. სამი თვის შემდეგ მიიღო ქართლის მეფემ თავზარდამცემი პასუხი - პეტრე I დარუბანდიდან რუსეთს გაბრუნებულიყო. პორუჩიკ ტოლსტოის პირით ატყობინებდა პეტრე ვახტანგს კასპიისპირეთზე ლაშქრობის გადადებას მომავალი წლის გაზაფხულამდე. 2000 რუსი სალდათის გამოგზავნის პირობაც ქაღალდზე დარჩა. ასე აღმოჩნდა მალემრწმენი მეფე-პოეტი გაწბილებული, რომელიც დაუფიქრებლად, პოეტური გულის კარნახით მიენდო პეტრე I-ს, როგორც მესიას. მან უკან დასახევი გზები აღარ დაიტოვა. მისი მტრები იყვნენ როგორც ოსმალეთი, ასევე სპარსეთი. კიდევ ორი გაზაფხული ელოდებოდა ქართლის მეფე რუსთა მხედრობას. ამ ლოდინში სულ აერ-დაერია ქვეყნის საქმეები, ტახტიც დაკარგა და ქვეყანაც, თბილისი ოსმალებმა დაიკავეს.

მაინც იმედით იყურებოდა ჩრდილოეთისკენ, ცხინვალში ლტოლვილი ვახტანგ VI და აი! - 1724 წლის 12 ივლისს სტამბოლში ხელი მოაწერეს რუსეთ-თურქეთის შეთანხმებას, რომლის ძალითაც აღმოსავლეთი ამიერკავკასია, ანუ ქართლის სამეფოც – პეტრე I-მა, თურქეთის საკუთრებად ცნო. რაღა დარჩენოდა ვახტანგს, რომელიც საკუთარ თავს პეტრეს ძმას უწოდებდა? მით უმეტეს, რომ ცხინვალს მიადგა თურქთა ჯარი ვახტანგის დასაჭერად – ადგა და გაეცალა საქართველოს. „სანამ პეტრე მოვიდა პავლეს (ვახტანგს) ტყავი გააძვრესო“.

მაინც, რატომ სჯეროდა მეფე-პოეტს თავისი „ძმის“, პეტრესი ასე ფანატიკურად? ვითომ მისი პოეტური გულუბრყვილობის, ან მხოლოდ რუსეთის ერთმორწმუნეობისა გამო? ისტორიოგრაფიაში და არა მარტო ქართულში,



არსებობს ვარაუდი, რომ პეტრე დიდი რუსეთის კარზე მყოფი ქართველი უფლისწულის, ერეკლე I“-ის ნაზარალიხანის უკანონო შვილია. ამ მოსაზრების ძირითად არგუმენტად სახელდება ის, რომ პეტრეს მამას, რუსეთის მეფე ალექსის, პირველი ქორწინებიდან 13 შვილი ჰყავდა, რომელთაგან 10 ადრეულ ასაკში დაიხოცა, რადგან დაბადებიდან ავადმყოფები ყოფილან, ხოლო გადარჩენილი სამი, მამასავით ცინგიანწყალმანკიანები იყვნენ. მეორე ქორწინებიდან 20 წლის დედოფალს ავადმყოფი ქმრისგან შეეძინა სრულიად ჯანმრთელი პეტრე. უფლისწული ერეკლე ამ დროს ძალიან დაახლოებული ყოფილა მეფე-დედოფალთან. მათი ხელის მომკიდეც ბრძანდებოდა. ცნობილია, რომ ერეკლე-ნაზარალიხანი დიდი მექალთანე ყოფილა და თუკი დღეს პეტრე I-ის „ქართველობის“ დასამტკიცებელი უდავო საბუთები არ გაგვაჩნია, იმ დროს ასეთი საბუთი შეიძლება, არსებობდა კიდეც.

შეიძლება ყველაფერთან ერთად, ვახტანგ VI-ს, პეტრე I-ის „ქართველობის“ იმედიც ჰქონდა.

ასე იყო თუ ისე, მეფე ვახტანგი გაეცალა საქართველოს. ტოვებდა აწიოკებულ, არეულ-დარეულ სამშობლოს და თან მიჰყავდა 1500-მდე რჩეული ქართველი, ნაღები საზოგადოება მაშინდელი ქართლისა. პეტრე I-ს ველარ ჩაუსწრო ცოცხალს. ვერც მის მემკვიდრეებთან გაარიგა საქართველოსთვის სასიკეთო საქმენი და 13 წლის რუსული ოდისეის შემდეგ იქვე გარდაიცვალა, ასტრახანში, რუსეთის იმედით გაწბილებული, ხელმოცარული მეფე-პოეტი.

ირანში ნადირ შაჰის მომძლავრებამ რუსეთის აქტივობა კავკასიასთან მიმართებით დროებით შეანელა, რომელიც XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან ახალი ძალით განახლდა. ამ აქტივობამ მორიგი იმედგაცრუება მოუტანა საქართველოს უკანასკნელ დიდ მონარქს, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს. ყველამ ვიცით გენერალ ტოტლებენის ავანტიურა, რომელიც, რომ არა პატარა კახის მხედრული ნიჭი, უკვე 1770 წელს დაუჯდებოდა ძვირად საქართველოს ასპინძაში.

შემდეგ იყო 1783 წელი, გეორგიევსკის ტრაქტატი. ამ „სანატრელი“ დოკუმენტის შემდეგ ისე აირია ვითარება ქართლ-კახეთში, როგორც არასდროს. არნახული ინტენსივობით განახლდა ლეკთა თარეში. მეფე ერეკლეს, თვით „დოსტი“ ჩრდილო კავკასიელი ბელადებიც აუჯანყდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ ოსმალეთ-სპარსეთზე. რუსეთი ათასი უმიზეზო მიზეზით „ვერ ასრულებდა“ ტრაქტატით განსაზღვრულ პირობებს. მთავარი უბედურება ჯერ კიდევ წინ იყო.

აღა მაჰმად ხანი ერთ რამეს სთხოვდა ერეკლეს – რუსეთთან კავშირზე ხელი აეღო და ხელშეუხებლობას ჰპირდებოდა სანაცვლოდ. ამასვე ითხოვდა გეორგიევსკის ტრაქტატით გაწბილებული დარბაზის ერის უმრავლესობა, სოლომონ ლიონიძის მეთაურობით, მაგრამ ერეკლე მონუსხულივით ჩრდილოეთისკენ იყურებოდა. წერილს წერილზე აგზავნიდა პეტერბურგსა თუ აქვე, ორი დღის სავალზე – ე.წ. „კავკასიის ლინიის“ სარდალ, გენერალ გუდოვიჩთან, რომლის განკარგულებაში 50-ათასიანი კორპუსი იყო. გუდოვიჩი უმაღლესი ბრძანების არქონას იმიზეზებდა და სულ რაღაც 3000 ჯარისკაცის გამოგზავნაზე უარს ამბობდა.

აღა მაჰმადმა ააოხრა თბილისი. გენერალ გუდოვიჩთან უმაღლესი ბრძანება „დროზე ვერ ჩამოვიდა“. ეს ე.წ. „უმაღლესი ბრძანება“, „დროულად“ ჩამოვა კრწანისის ტრაღედიის, პატარა კახის სიკვდილის შემდეგ, როცა საქართველოში „ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა“. ერეკლეს მრავალრიცხოვანი შთამომავლობა (მარტო შვილები, სამი ქორწინებიდან – 21 ჰყავდა! ერთმანეთში ქიშპობით იყვნენ დაკავებულნი. სწორედ ეს იყო ის ხელსაყრელი ჟამი, რომელსაც ორი საუკუნის განმავლობაში ელოდა ჩვენი „მოკეთე“ მეზობელი, ერთმორწმუნე რუსეთი.

***არ არსებობენ მუდმივი მტრები. არსებობენ მხოლოდ მუდმივი სახელმწიფო ინტერესები. 30 საუკუნის მანძილზე საქართველოს სასწაულებრივად გადარჩენა გმირული სულისა თუ უქარქაშო ხმლების გარდა, ქართული დიპლომატიის მაღალი კლასის დამსახურებაც იყო. 3000 წლის მანძილზე, ყოველთვის ვახერხებდით ჩვენს ჩასაყლაპად გამზადებულ მტერთა სახელმწიფო ინტერესებზე თამაშს, გინდა ბალანსირებას.***

***და თუმცა რომანოვების რუსეთთან მართლაც პირნათელნი ვიყავით, რადგან ყველა პირობა-შეთანხმებას ვასრულებდით გეორგიევსკამდეც, მით უმეტეს, შემდეგაც, რუსეთმა მანამდე იმდენი „წელა და წელა“, სანამ აღა მაჰმად ხანის ხელით გატყავებული ქართველი ლომის მომაკვდავი სხეული არ იქცა რუსი დათვის ადვილ ულუფად.***

***მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით აშშ-ს და დასავლეთ ევროპის მიმართ: ნატოში, ევროპის ოჯახში შესვლა გვინდა, მათი პირობების შესრულება კი — არა.***

***იქნებ ახლა მაინც მოვეგოთ გონს, დავანებოთ თავი რუსების წინ, როგორც კორიდაზე წითელი ნაჭრის ფრიალს, ვეძებოთ მათთან დიალოგის გზები, შევასრულოთ დასავლეთის დემოკრატიული მოთხოვნები. მხოლოდ ეს გზა, ქართული დიპლომატიის გზა გადაარჩენს საქართველოს და არა მილიტარისტული რიტორიკა, ურაპატრიოტული პროპაგანდა.***

***მაგრამ რომელ დიპლომატიაზეა საუბარი იქ, სადაც ეკა ტყეშელაშვილი გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, ჩინეთში საქართველოს ელჩი კი — ზაზა ბეგაშვილია.***

***ეჰ, საცოდავო საქართველოვ! საით მიექანები, საით?***

**დავით მხეიძე.**

## დაე, პრეზიდენტმა განსაჯოს

***ჩვენი გაზეთის 11 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა მწვავე კრიტიკული მასალა სათაურით: „საქართველოს პარლამენტი უკანონობის დაკანონებას აპირებს?“, რომელშიც საუბარი იყო იმ ნაკლოვანებებსა და ლაფსუსებზე, რასაც კანონპროექტი „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ შეიცავს. საქართველოს ბიზნესის ინტერესების დაცვის კავშირის თავმჯდომარე ანზორ ბაბუხადია და თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის პრეზიდენტი ანზორ საკანდელიძე პირდაპირ მიანიშნებდნენ, რომ კანონპროექტი პრობლემის გარეგულირებას კი არ ემსახურება, არამედ გავლენიანი პიროვნებების ინტერესებს. იგი მომზადებულია სწორედ ამ პიროვნებათა ზეწოლით, რათა შინაგან საქმეთა სამინისტროს შემცირებული ობიექტების შესავსებად გაუჩინონ დამატებითი ბერკეტები და უკანონო შემოსვლის წყაროები.***

***წერილმა საზოგადოებრიობის ფართო ინტერესი გამოიწვია. მკითხველები გვირეკავენ, გვწერენ, გამოთქვამენ შენიშვნებს, მოითხოვენ კანონში მათი აზრის გათვალისწინებას. ამ ორი დღის წინათ კი რედაქციაში პირადად გვეწვია ბატონი გრიგოლ შონია, პიროვნება, რომელმაც ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებში, აგრეთვე, კერძო დაცვის სამსახურში ხელმძღვანელ თანამდებობებზე წლების მანძილზე მუშაობის პერიოდში იმდენად დიდი გამოცდილება შეიძინა, რომ, როგორც იტყვიან, სიზმარიც დაეჯერება. ჰოდა, ასეთი დამსახურების მქონე კაცს გაზეთის ფურცლებზე ადგილს აბა როგორ დავამადლიდით.***



**ეს კანონი არც ბიზნესს წაადგება და არც კრიმინალთან ბრძოლას**

— ძალიან ცუდია, — ამბობს ბატონი გრიგოლ შონია, — საქართველოში კერძო დაცვით საქმიანობას დღემდე კანონი რომ არ არეგულირებდა. აწი მაინც თუ გვექნება კანონი, რომელიც ამ სფეროში ურთიერთობებს მოაწესრიგებს, ამას რა ჯობია, მე პირადად ასეთ კანონს მივესალმები, მაგრამ არც იმ ნაკლისა და ლაფსუსის მხილებას მოვერიდები, რასაც არსებული კანონპროექტი „იმსახურებს“.

**— მაინც რა „დამსახურებაზეა“ ლაპარაკი?**

— პირველ რიგში იმათ „დამსახურებაზე“ მინდა ვთქვა, ვინც ეს კანონპროექტი მოამზადა. ერთი გადაკითხვითაც ჩანს, რომ მის შემქმნელებს არ ესმით კრიმინალთან ბრძოლის პრინციპები და დაცვითი საქმიანობის ფუნქციონალური მნიშვნელობა. ამიტომაც არის, რომ მასში მთლიანად უგულებელყოფილია საზოგადოების როლი დანაშაულთან ბრძოლაში. არ შეიძლება, ბატონებო, დაცვითი საქმიანობა დავიყვანოთ მანიპულირებულ ბიზნესზე, მოვწყვიტოთ ფაქტობრივ მიზანს — დანაშაულთან ბრძოლის საქმეს და დავუქვემდებაროთ ანგარებას. ხმამაღლა მინდა განვაცხადო, რომ ასეთი კანონი არც ბიზნესს წაადგება და არც კრიმინალთან ბრძოლას.

**— ვითომ ბიზნესს შეავიწროებს?**

— შეავიწროებს კი არა, პირდაპირ ანადგურებს იმ ადამიანთა ბიზნესს, რომლებიც კერძო დაცვაში ძალოვანი სტრუქტურებიდან პენსიაში გასვლის შემდეგ მოვიდნენ. კურიოზულად მეჩვენება კანონპროექტის ის მოთხოვნა, რომ დაცვითი საქმიანობა ეკრძალებათ ქრონიკული სნეულებით დაავადებულ პირებს. ყოფილი ძალოვანები და სამხედროები (კერძო დაცვაში ძირითადად ესენი მუშაობენძ ხომ ათასნაირად შემოწმებული ხალხია. გამოდის, რომ კანონი შემოსავლას უსპობს ასეთ ყოველმხრივ შემოწმებულ, პროფესიონალ კადრებს, რომლებიც დამატებითი საქმიანობით თავსაც ირჩენენ, ოჯახსაც და დანაშაულსაც წარმატებით ებრძვიან. ყველას კარგად მოეხსენება, საქართველოში მცირე ბიზნესს არ აქვს იმდენი შემოსავლები, რომ ქონების დაცვაში ხელფასი უხადონ პოლიციურ უწყებებს (ამ უკანასკნელთა ანაზღაურება სამჯერ და მეტად აღემატება კერძო დაცვის მუშაკთა ხელფასსძ. ამდენად ახალი კანონი ფაქტობრივად ბიზნესს ებრძვის.

ახლა მეორე მხრიდან თუ შევხედავთ კანონპროექტს, დავინახავთ, რომ ის ასევე მიმართულია კრიმინალთან ბრძოლაში საზოგადოების ფართო ფენების მონაწილეობის წინააღმდეგ. რატომ? იმიტომ, რომ ასეთ მონაწილეობას სწორედ კერძო დაცვის სამსახურები უზრუნველყოფენ. კრიმინალურ პოლიციას სად სცალია იმისათვის, რომ ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაში მივიდეს, დანაშაულობები იძიოს და ებრძოლოს. კერძო ფირმები სწორედ ამისთვის არიან მოწოდებული.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის დეპარტამენტი კერძო დაცვის სამსახურს თავის კონკურენტად მიიჩნევს?**

— ასეთად მიაჩნიათ და უკვე ათეული წელია კერძო დაცვის სტრუქტურას აშკარად თუ ფარულად ებრძვიან, რაც არასწორია. კერძო დაცვა მათი კონკურენტი ვერ იქნება, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პოლიცია იცავს სტრატეგიულ ობიექტებს, ეს კი დანარჩენებს. სახელმწიფო დაცვის დეპარტამენტი ისედაც გადატვირთულია და არ მესმის კერძო დაცვის ფუნქციები რატომღა უნდა შეითავსოს? კრიმინალთან ბრძოლაში კერძო დაცვა არის პოლციის რეზერვი და არა მისი კონკურენტი. რაც შეეხება იმის შიშს, რომ კერძო დაცვის შეიარაღებული მასა ვინმემ სახელმწიფოს წინააღმდეგ არ გამოიყენოს, წმინდა წყლის სისულელეა და მეტი არაფერი.

**— რას იტყოდით დაცვის სამსახურის ლიცენზირების თაობაზე?**

— იმას, რომ ლიცენზიებს უნდა იძლეოდეს არა დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, არამედ იუსტიციის სამინისტრო, რათა შეიქმნას თავისუფალი კონკურენტული გარემო. უნდა გაუქმდეს კანონპროექტით შემოთავაზებული სანებართვო სისტემა და შემოვიღოთ ისეთი მექანიზმი, რომლის დროსაც დაცვის პოლიციის დეპარტამენტს არანაირი შეხება არ ექნება კერძო დაცვის განმახორციელებელ სტრუქტურებთან. კაბალურია ლიცენზიის მიღების გადასახადიც (50 000 ლარიძ, რასაც ბუნებრივია შემდეგ მოყვება დაცვითი ფირმების გაუქმება და ბაზარზე მონოპოლისტთა დამკვიდრება. თუ ხელისუფლებას სურს ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და არა მასობრივი უმუშევრობის მიღება, ეს არ უნდა გააკეთოს.

**— თქვენ რომ იმ კანონპროექტის ავტორთა შორის ყოფილიყავით, როგორ კანონს შემოგვთავაზებდით?**

— ისეთს, რომელიც სრულიად დაიცავს დაცვის სამსახურის მუშაკთა და არა ამ კანონის ლობისტთა ინიტერესებს. დაცვის მუშაკი უნდა იყოს ხელშეუხებელი თავის მოვალეობის შესრულების დროს. ყველაფერი უნდა კეთდებოდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებსა და დაცვის კერძო სტრუქტურებს შორის საქმიანი ერთიერთობების განსამტკიცებლად, ინფორმაციათა ურთიერთგაცვლის გასაუმჯობესებლად, ერთობლივი ღონისძიებების განსახორციელებლად და არა მათ საქიმპოდ და განსაცალკავებლად. არადა, ამის საშიშროება არსებობს. მაინტერესებს, ვინც ამ კანონპროექტს ქმნიდნენ, რჩევებს ვისგან იღებდნენ, ან რომელი ქვეყნის გამოცდილებას ეყრდნობოდნენ?

**— მაგას ვერ გეტყვით, ბატონო გრიგოლ, მაგრამ როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, პარლამენტს დაჩქარებული წესით უკვე მიუღია კანონი და ახლა ის ასამოქმედებლად ქვეყნის პრეზიდენტის კეთილ ნებასღა ელოდება.**

— დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტი გულდასმით თუ გაეცნობა კანონის ცალკეულ მუხლებს და პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ საზოგადოებრივ აზრს, კანონზე ხელის მოწერისგან თავს შეიკავებს და მას ხელახლა განსახილველად პარლამენტს დაუბრუნებს. ვფიქრობ, ამ ეტაპზე ეს ყველაზე საუკეთესო გამოსავალია.

**ესაუბრა**
**ოთარ ხუციშვილი.**

## მწარე რეალობა



# დღეს მნიშვნელოვანია ის, რაც არ არის მნიშვნელოვანი,

### ანუ ვინ არის შადიმანზე ათასჯერ მეტი გამყიდველი?

**თავისი პრეზიდენტობის დასაწყისში ბატონმა მიხეილმა, თუ არ ვცდები, გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალაში, ერთი მცირე საწარმოს ამუშავების ცერემონიალზე, როგორც ნაციონალებს ჩვევიათ, დიდი ზარ-ზეიმით თქვა, რომ დღეს მნიშვნელოვანია ხალხი დავასაქმოთ, მეტი სამუშაო ადგილი შევქმნათო.**

იმ საწარმომ ერთ კვირაში ჩაილურის წყალი დალია. მაშინ კი პრეზიდენტი კახურ სეტყვასავით ისე დაატყდა თავს, რაღაც ორ ათეულ თანამშრომლიან კოლექტივს ორასი კაცი ისე დაასია, თითქოს რაღაც გრანდიოზული პრობლემა გადაიჭრებოდა იმ პატარა საწარმოს ამუშავებით. ბოლოს აღმოჩნდა, რომ კრახის მიზეზი ფინანსური კრიზისი გამხდარა. სამაგიეროდ, სიტყვა „მნიშვნელოვანია“ პრეზიდენტის გუნდელთათვის ისეთ საჯილდაო ქვად იქცა (უფრო სწორად, პიარაძ და იმდენი იძახეს, სანამ მას საბოლოოდ არ დაუკარგეს თავისი პირვანდელი მნიშვნელობა. გაუფასურდა კი არა, ლამის შეგვაძულეს მარცვალთა ეს ერთი შეხედვით უწყინარი კომბინაცია.

ქვეყნის საჭეთმპყრობელნი, დიდმოხელენი შადრევნებს აჩუხჩუხებენ, ფასადებს ფერადფერადად ღებავენ, დამარცხებულ ომს გამარჯვებულად შემოგვასაღებენ და კიდევ ვინ იცის, რამდენ სხვა რამეს ისიაფანდებენ. თავიანთ თანამოქალაქე ტელეჟურნალისტებთან ინტერვიუს ისე იწყებენ, თითქოს დღეს მნიშვნელოვანია სწორედ ისა და ის, რაც მათ თავიანთ თანაპარტიელებთან ერთად უკეთებიათ. ასე აიტაცა სიტყვა „მნიშვნელოვანი“ ყოფილმა სპიკერმა ქალბატონმა, ხოლო მისი მემკვიდრე ისე უემოციოდ იყენებს ამ სიტყვას, გეგონება ბრინჯაოს ბიუსტი მეტყველებსო. ყოფილი პრემიერები ხომ ისედაც უბადლოდ დიდოსტატობდნენ ამ სიტყვის გაბუქებაში, მაგრამ მთავრობის ახალმა მეთაურმა მართლაც შესაშური ოსტატობით მოიქნია „მნიშვნელოვანი“ და დინჯად, თავდაჯერებით გვიხსნის, რომ მნიშვნელოვანია, ლტოლვილები სულ სხვაგან, თავიანთი სამკვიდრებლიდან, მამა-პაპათა საფლავებიდან შორს, კეთილმოწყობილ ბინებში შესახლდნენ, ისიც ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მათ ხელისუფლება 200-200 ლარს ჩამოურიგებს, რასაც იქვე ბეჯითად უმოწმებს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი, მანქანაზე მაკქეინის ნომრიანი სუბელიანი.

მინდა ვკითხო პრემიერსაც და მინისტრსაც, უბრალოდ, წასახემსებლად რომ შედიან რესტორანში, ეს თანხა თუ ყოფნით? მაგრამ დავუბრუნდეთ სათქმელს, ანუ „მნიშვნელოვანს“, რასაც „რუსთავი-2“-ის ტრიბუნებიდან ასე უშურველად გვახლიან ბოკერიები, ტყეშელაშვილები, თარგამაძეები, კუბლაშვილები, მაჭავარიანები, იაკობაშვილები, ვიცე-სპიკერები თუ მინისტრები, დიდმოხელენი და ცოტა უფრო დაბლა მდგომნიც ჩინით.

იხ. 8 გვ.

◎ მწარე რეალობა

# დღეს მნიშვნელოვანია ის, რაც არ არის მნიშვნელოვანი



(მეშვიდე გვერდიდან)

მთავარია, საზაზი ოდნავ მაინც მოიხელთონ, რომ ენა ორლესულივით გვიქნიონ და თვალები გვიჟუჟუნონ.

მაგრამ ის, რომ ამ ავბედითი ომის შემდეგ ერთბაშად გაჩერდნენ საწარმოები და სამუშაო დაკარგა ქვეყნის ასობით ძლივძლივობით მფეთქავმა საწარმომ, ბიზნესმენები შავ დღეში ჩავარდნენ, დოლარის კურსის გამყარებამ ათასობით მეანაბრე გაალარიბა, რომ კორუფცია, რომელიც ჩვენთან თითქოს მავანთა მტკიცებით აღარ არის, სინამდვილეში ისე ყვავის, როგორც არასდროს, ცეცხლივით მხურვალე და მწველია და თივაში რა დამალავს?. უმუშევრად დარჩენილი ათასები საზღვარგარეთ გასაქცევად, გადასახვეწად ყველა საშუალებას ეძებენ და ვინ მოთვლის, კიდევ რა უბედურება გვჭირს. ეს სულაც არაა თურმე მნიშვნელოვანი და ხელისუფლების თავსატეხიც არ ყოფილა, როგორც ჩანს.

მინდა შევახსენო სახელისუფლებო ელიტას, მართალია, მრავალი მათგანი კი ბაქიბუქობს, განათლება უცხოეთში მივიღეო, მაგრამ ხომ აქ დაიბადნენ, ამ ღვთივკურთხეულ მიწა-წყალზე, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეულთაგანია და, თუ ჭკუით უპატრონებ, ხვავითა და ბარაქით აგავსებს და სამათხოვროც არაფერი გექნება, მით უმეტეს, პესტიციდებით გაჯერებული თუ გენური ინჟინერიით გამოყვანილი, მრავალი დაავადების გამომწვევი უცხოური სურსათ-სანოვაგე.

და თუ ქართული ჯიგარი მცირედით მაინც შემოგრჩათ, თქვენს ხალხს დაუდექით გვერდში, გააკეთებინეთ ის, რაც მართლა მნიშვნელოვანია, დაუბრუნეთ მეცნიერებას თავისი ეროვნული აკადემია, დედაუნივერსიტეტი, პრესას – გამომცემლობა „სამშობლო“, მწერლებს – თავისი კუთვნილი სახლი, სპორტსმენებს – სპორტის აკადემია და ბენდუქიძეების გაყიდული ქონება, მიწა-წყალი, ტყეები, ფაბრიკა-ქარხნები, სულიერება და რწმენა იმისა, რომ ისინი თავიანთ მამულში ცხოვრობენ და არა გარეულსა თუ შინაურთაგან ძალადობით წართმეულ ქვეყანაში.

კაცს რომ შვილი შეეძინება, ის არ უნდა ადარდებდეს, გაიზრდება, აქ ვერაგზას ვერ დაადგება და უცხოეთში ნებაყოფლობით მონად მოუწევს ყოფნაო.

მნიშვნელოვანია, ქართველი კაცი საკუთარ ქვეყანაში სხვათა თანასწორად მაინც გრძნობდეს თავს და გამორჩეულად არ იჩაგრებოდეს.

რად მოგიძულებიათ საკუთარი ხალხი, თქვენი სისხლი და ხორცი, ნუთუ მათ შემხედვარეს შიგადაშიგ მაინც არ გეწვებათ გული?!

რატომ გვყიდით, დედაწულიანად საზღვარგარეთ მონებად ქცეული თვისტომი ანუგეშეთ მაინც, დაგაბრუნებთ, სამშობლოს ჰაერს გაღირსებთო.

გამყიდველები კი, იცოცხლე...

ამას წინათ ერთმა ნაცნობმა მითხრა, საწყალი შაღიმანი მალე დავიწყებას მიეცემა. ეს ბენდუქიძეები და უამრავნი ძმანი მისნი ათასჯერ უფრო გამყიდველები არიანო. გამყიდველების მომავალი რომ არავისთვის შესაშური არ იქნება, წყალი არ გაუვა, ოღონდ...

საქართველო თუ გადარჩა.

საქართველოს მიწა-წყალი აკი შაგრენის ტყავივით პატარავდება წლიდან წლამდე.

ჰოდა, გვაღირსეთ სიტყვა მნიშვნელოვანი, თავისი ქვეყნისთვის სასიკეთო მნიშვნელობით. პოლიტიკოსები არ ხართ, ამ ქვეყნის რჩეულნი არ ხართ?

თუკი პრეზიდენტს ამისი სურვილი აქვს და თავისი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გამარჯვება სურს, ყველა გზა და ხერხი უნდა სცადოს.

ისე, რუსეთის ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა ჯერ კიდევ ინაუგურაციამდე აითვისა პუტინისეული გრაცია, რწევარწევით სიარული. მერე გადააჭარბა კიდევაც და დაგვაქცია.

გადამდებია მეფეთა ჩვევა.

**გივი ჯახუა.**

***P. S. თუკი** ხელისუფალთა ნაოქროპირალი „მნიშვნელოვანია“ ხალხისთვის შებოლება არა არის, მაშინ რატომ ხდება, რომ:*

*ქვეყნის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდის პირობებში, რასაც შიგადაშიგ უცხოელებიც კი გვიჩიჩინებენ, მეტალურგიული კომბინატიდან, რუსთაველთა და არა მარტო მათი საამაყო წარმოებებიდან ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურე დაითხოვეს, ხოლო საამქროებში საყარაულოდ დარჩენილ თითო-ოროლას ხელფასები გაუნახევრეს. უფრო მეტიც, საეჭვო ხმები დადის, ბენდუქიძე თუ ვიღაც მისიანები მეტალურგიუ;ლ კომბინატს კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ უპირებენ გაყიდვას და ეს იქნება საბოლოო განადგურებაო.*

*დიდი ქიმიის ფლაგმანი, სააქციო საზოგადოება „აზოტიც“ გაჩერებულია, საზამთრო არდადეგებზეა. არადა, ამ კოლექტივში 3 ათასი კაცი მუშაობს.*

*ქვეყნის პრეზიდენტის მიერ გასულ გაზაფხულზე წინასაარჩევნოდ გაპრიალებულ-ამუშავებული ყოფილი ამწემშენებელი წარმოება ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესშია. ინდოელი ინვესტორები რატომღაც უფულობას უჩივიან და სინამდვილეში რას როდის აამუშავებენ, ღმერთმა უწყის.*

*და კიდევ რამდენი ასე ოსტატურად მიჩქმალული „მნიშვნელოვანი“ ითხოვს სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი, ზუსტი და შეუმცდარი პასუხის გაცემას.*

***გ. ჯ.***

◎ აი, მზრუნველი ხელისუფლება!..

# 44 ლარი... 12 470-ის ნაცვლად

## ზუგდიდელი „ტერორისტი“ პედაგოგები სამართალს ეძებენ

***ზუგდიდელი** პედაგოგები, სკოლების დირექტორები არისტო თოლორაია, ანზორ გვაჯაია, თამაზ ესებუა და სხვები ზუგდიდის რაიონული გამგეობის 1994 წლის 11 იანვრის № 18 განკარგულებით განთავისუფლდნენ „დაკავებული თანამდებობებიდან განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო“. ამ განკარგულებით ისინი დადანაშაულებულნი იქნენ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში, ტერორისტული აქტების მოწყობაში, რაც სინამდვილეში არ მომხდარა.*

ზუგდიდელი „ტერორისტი“ პედაგოგები 14 წელია სამართალს ეძებენ. „ჩვენ პირველი დღიდანვე არ დაგვიტოვებია ხელისუფლების არც ერთი ორგანო, გამგებლიდან დაწყებული პრეზიდენტით დამთავრებული, მაგრამ ყველგან ყრუ კედელს, ჩინოვნიკთა უვიცობას და უზნეობას ვაწყდებოდით. ჩვენ მოვითხოვდით: თუ წაყენებული ბრალდებები რეალურია, დაგვსაჯეთ სისხლის სამართლის კანონის მთელი სიმკაცრით, ხოლო თუ მართლები ვართ, აღგვადგინეთ ჩვენს კანონიერ უფლებებში“, – აცხადებს ზუგდიდის მე-7 საშუალო სკოლის დირექტორი არისტო თოლორაია.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 2006 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით, ბათილად ცნო ზუგდიდის რაიონის გამგეობის 1994 წლის 11 იანვრის № 18 განკარგულება და „დამნაშავე“ პედაგოგები პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარა. ისინი აღადგინა სამუშაოზე, მაგრამ.. განათლების სამინისტრომ მათ უარი განუცხადა.

„ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ეს პედაგოგები ცნო რეპრესიის მსხვერპლად და მიიღო გადაწყვეტილება მათი რეაბილიტაციის შესახებ. თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ხანდაზმულობის ვადის ათვლა სწორედ ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან იწყება. ასე რომ, მათ აღდგენაზე უარის თქმა უკანონოა, მით უმეტეს, რომ ისინი სასამართლომ აღადგინა თანამდებობებზე. მიღებული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და იგი იქცა კანონად, რომლია აღსრულება სავალდებულოა ყველასათვის. კანონიერ ძალაში შესულის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებებზე უარის თქმა ნებისმიერი მოტივით სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულია“, – თქვა ადვოკატმა მებრძოლ ჭკადუამ.

რეპრესირებულმა პედაგოგმა, ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის საშუალო სკოლის ყოფილმა დირექტორმა ანზორ გვაჯაიამ სარჩელით მიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა, მისთვის მიყენებული ზარალი, 12740 ლარის ოდენობით (მიუღებელი ხელფასის სახით), გადაეხადა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას. მოპასუხემ – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელმა ი. მელუამ არ სცნო სარჩელი იმ საფუძვლით, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა არ არის ზუგდიდის რაიონის გამგეობის სამართალმემკვიდრე და, სკოლები ცენტრალური ბიუჯეტიდან სპეცტრანსფერით ფინანსდებოდნენო.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ განიხილა მოსარჩელე ანზორ გვაჯაიას სარჩელი და „ნაწილობრივ“ დააკმაყოფილა: „ანზორ გვაჯაია სკოლის დირექტორის თანამდებობაზე დანიშნული იყო უვადოდ და ზუგდიდის რაიონის გამგებლის უკანონო ქმედების შედეგად არასასურველი პოლიტიკური შეხედულების გამო თანამდებობიდან დათხოვნას არც ერთი სამართლის პრინციპი არ სცნობს, პირიქით, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი. ანზორ გვაჯაიამ ვერ მიიღო შემოსავალი მიუღებელი ხელფასის სახით, ამასთან, არც მისი აღდგენა მომხდარა ადრე დაკავებულ თანამდებობაზე. ამდენად, ა. გვაჯაიას უნდა აუნაზღაურდეს მიუღებელი შემოსავალი სარჩელის შემოტანის დღიდან წინა სამი წლის განმავლობაში, იმ ხელფასის გათვალისწინებით, რაც მას გააჩნდა სამსახურიდან დათხოვნის მომენტში. დათხოვნა მოხდა 1994 წლის იანვარში, როცა სკოლის დირექტორის ხელფასი შეადგენდა 5800 კუპონს, დღევანდელი კურსით 1 ლარსა და 28 თეთრს“ – აღნიშნულია ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში. სწორედ ამ „ბრძნული“ გადაწყვეტილებათ მოსარჩელე ანზორ გვაჯაიას სასარგებლოდ ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა უნდა გადაიხადოს 44 ლარი და 28 თეთრი, ე.ი. 12740 ლარის სანაცვლოდ ა. გვაჯაიას უწყალობებს 44 ლარი და 28 თეთრი.

ასე „იზრუნა“ ჩვენმა ხელისუფლებამ რეპრესირებულ პედაგოგებზე...

**ლადო ქირია,**
ზუგდიდიდან

◎ ინფორმაცია

### ცეკვა-ცეკვით კულტურის მინისტრად

**კულტურის** მინისტრად, შესაძლოა, ნინო სუხიშვილი დაინიშნოს. ამის შესახებ ტელეკომპანია „იმედი“ იუწყება.

მათივე ცნობით, ამ კულუარული ინფორმაციის გადამოწმება ჯერ ვერ ხერხდება, რადგან ნინო სუხიშვილი ანსამბლთან ერთად საგასტროლოდ ბალტიისპირეთში იმყოფება.

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის პოსტზე „ნაციონალური ბალეტის“ დირექტორის ნინო სუხიშვილის კანდიდატურის განხილვა მას შემდეგ დაიწყო, რაც აღნიშნულ თანამდებობაზე რუსეთში საქართველოს ყოფილმა ელჩმა ზურაბ აბაშიძემ უარი განაცხადა.

### გამგეობის თანამშრომლებს ათავისუფლებენ

**გურჯაანის** მუნიციპალიტეტის ახალი გამგებლის გიორგი ჩივიაშვილის დავალებით, გამგეობის ყველა თანამშრომელმა სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერა. ამის შესახებ ინფორმაციას კახეთის საინფორმაციო ცენტრი ავრცელებს.

გამგეობის თანამშრომელთა განცხადებები კანცელარიაში ამ დროისთვის ოფიციალურად რეგისტრირებული არ არის და დაზუსტებული ინფორმაციით, ისინი გამგებლის მაგიდაზე დევს.

თანამშრომლების მიერ სამსახურიდან წასვლის თაობაზე განცხადებების დაწერის ფაქტს გამგეობაში ადასტურებენ.

ინტერპრესნიუსი და ХИ-ЕИВ-ЕНИ

**საინფორმაციო ომი**

***მოსკოვის ვეტერანთა სასახლის სხდომათა დარბაზი გადაჭედილია დსთ-ს ქვეყნების (ყოფილი საბჭოეთის) ორმოცდათხუთმეტ მილიონიანი (55 მილიონი!) სხვადასხვა ეროვნების ვეტერანთა არმიის ღირსეული წარმომადგენლებით.***

***2008 წლის 26 ნოემბერია.***

***დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საერთაშორისო კავშირის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, ფლოტის ადმირალი ალექსი სოროკინი კითხულობს მოხსენებას დსთ-ს ვეტერანთა ორგანიზაციების ერთიანობისა და შეკავშირების მიზნით ბოლო ხანს გაწეული მუშაობის შესახებ...***

# მოსკოვი ვეტერანი ადმირალებითაც გვიტევს!



ფლოტის ადმირალი ალექსი სოროკინი განრისხებულ გიორგი ხაზარაძეს აშოშმინებს...

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, – ადმირალმა სოროკინმა თავისი მოხსენების დიდი ნაწილი დაუთმო აგვისტოში ცხინვალის რეგიონში განვითარებულ მოვლენებს და რუსეთისგან ისედაც დამარცხებული, დაქუცმაცებული და გაუბედურებული საქართველო მთლად მიწასთან გაასწორა: **„როგორც ცნობილია, 8 აგვისტოს, ქართული არმია, პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანებით, სამშვიდობო შეთანხმების უხეში დარღვევით შეიჭრა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და მისი დედაქალაქი ცხინვალი, აგრეთვე მრავალი სოფელი მიწასთან გაასწორა (!)... ათასობით ადამიანმა თავი შეაფარა რუსეთის ტერიტორიას. სერიოზული დანაკარგები ჰქონდათ რუს მშვიდობისმყოფელებს, რომლებიც გაეროს ეგიდით იმყოფებოდნენ კონფლიქტის რაიონში“...**

შემდეგ ფლოტის ადმირალი თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს იმ სიყალბეს, რასაც ვლადიმერ პუტინი და დიმიტრი მედვედევი ჩაციკლულივით დღემდე გაიძახიან: საკუთარი მოქალაქეებისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დასაცავად (!ძ, ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად რუსეთი იძულებული გახდა გადამწყვეტი ზომები მიეღო ქართული აგრესიის წინააღმდეგ და... რამდენიმე დღის განმავლობაში გაათავისუფლა კიდეც სამხრეთ ოსეთი ქართველი აგრესორებისგან!.. ამერიკის შეერთებული შტატების და ნატოს ხელმძღვანელობისგან შეგულიანებული საქართველოს ხელისუფლება დსთ-ს ქვეყნებიდანაც ერთსულოვან მხარდაჭერას მოელოდა, მაგრამ მწარედ მოტყუვდა, მხოლოდ უკრაინის პრეზიდენტმა იუშჩენკომ აუბამხარი სააკაშვილის ავანტიურას და უახლესი სამხედრო ტექნიკითაც (!ძ ამარაგებდა ქართულ არმიას.

ფლოტის ადმირალმა სოროკინმა ერთმნიშვნელოვნად დაგმო საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის 11 აგვისტოს მიმართვები რუსი კოლეგებისადმი და განსაკუთრებით გააკრიტიკა გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ 6 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული ვეტერანთა მართალი და პრინციპული მიმართვა-წერილი, რომელსაც ხელს აწერდნენ ბატონები **ელვერ კუპატაძე რევაზ ნაცარიშვილი, კარლო გარდაფხაძე, გიორგი ხაზარაძე, მოსე მდინარაძე, ბიძინა კარტოზია, გურამ გვეტაძე, იოსებ ხაზარაძე, თორნიკე პაპავა.**

ალექსი სოროკინი განსაკუთრებით იმ ფრაზას განურისხებია, სადაც წერია:

**„სწორედ რუსეთმა და არა საქართველომ განახორციელა აგრესია თავისი სამხრეთელი მეზობლის მიმართ და სწორედ რუსეთის შეიარაღებული ძალები და ქვეყნის ხელმძღვანელობა არცხვენს დიდ რუს ხალხს მსოფლიოს თვალში, ჯვარს უსვამს რუსი და ქართველი ხალხების საუკუნოვან მეგობრობას“...**

როგორ, რუსეთია აგრესორი და საქართველო მსხვერპლი? – ეს ხომ წმინდა წყლის სიცრუეა, – ასკვნის სოროკინი და... საქართველოს გამათრახების შემდეგ, პლენუმზე შეკრებილ ვეტერანებს საკოორდინაციო საბჭოს კიდევ ერთ უსამართლო გადაწყვეტილებას ამცნობს: ახლა, როცა აფხაზეთი დე ფაქტოდ და დე იურედ დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოა, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ აფხაზეთის ვეტერანთა საბჭო გავაერთიანოთ ჩვენს საერთაშორისო კავშირში...

კოდორის ხეობის დაპყრობაზე, ქართული ქალაქების და სოფლების უმოწყალოდ დაბომბვაზე, ათასობით ქართველ დევნილზე ფლოტის რუს ადმირალს არაფერი უთქვამს.

რას წარმოიდგენდა პლენუმზე საქართველოს ვეტერანთა დელეგაციის სახელით მიწვეული საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, გადამდგარი გენერალ-მაიორი გიორგი ხაზარაძე თუ იმპერიული ამბიციებით შეპყრობილი რუსეთის ხელისუფლების დარად, თვით ვეტერანთა საკოორდინაციო საბჭოც, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების (და არა მარტო ხელისუფლების!ძ პუტინისეული სიძულვილით იქნებოდა შეპყრობილი...

ამაგდარ პიროვნებას ლამის მიწა გაუსკდა, ელდანაცემივით იჯდა დარბაზში... შემდეგ, ძალა მოიკრიბა, პლენუმის სხდომებს შორის შესვენების გამოცხადებისთანავე „ოლიმპიური სიმშვიდით“ მივიდა მიკროფონთან და ერთმნიშვნელოვნად თქვა:

**„ფრიად სამწუხაროა, რომ ვეტერანთა წრეებში ერთობ დამსახურებული ადამიანი, ჩვენი სამართლიანი და პრინციპული მეგობარი ალექსი სოროკინი, ვეტერანთა საერთაშორისო კავშირის მთელი საკოორდინაციო საბჭოს სახელით, აბსოლუტურად ყალბ, ცალმხრივ, გაუანალიზებელ ინფორმაციას აწვდის დსთ-ს ქვეყნების ვეტერანთა წარმომადგენლებს, არ ითვალისწინებს ისტორიულ სინამდვილეს, რუსული მუნდირის დამცველი ქართველი გენერლების, ოფიცრებისა და ჯარისკაცების უდიდეს დამსახურებას რუსული სახელმწიფოს წინაშე და აშკარად სეპარატისტების მხარეზე დგას... მე პროტესტის ნიშნად ვტოვებ ვეტერანთა დღევანდელ თავყრილობას და ჩემს მოსაზრებებს ოფიციალური წერილით მოგაწვდით...“**

დავა და კამათი ფოიეშიც გაგრძელდა. გაბრაზებული გიორგი ხაზარაძე ბოლომდე უმტკიცებდა ფლოტის ადმირლს, რომ საქართველოში რუსეთის ხელდასხმით გაჩაღებული კონფლიქტები 15 წელიწადზე მეტია გრძელდება და ის ფრიად ფაქიზი, უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემაა. მთელი ამ წლების განმავლობაში რუსი „მშვიდობისმყოფელები“ ხელს უწყობდნენ კონფლიქტურ რეგიონებში რუსული პასპორტების დარიგებას და გულმოდგინედ, ე. წ. „მცოცავი ანექსიით“ მიისწრაფვოდნენ „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის „სახელმწიფოების“ ასალიარებლად... განა სამართლიანია აფხაზეთის ვეტერანთა საბჭოს ჩვენს საერთაშორისო კავშირში დამოუკიდებლად მიღება? ის ხომ დღემდე საქართველოს ვეტერანთა საბჭოს განუყოფელი ნაწილი იყო? არაფერს გვეკითხებით? ამით ხომ თქვენ კიდევ უფრო უწყობთ ხელს ორი მოძმე ერის – აფხაზებისა და ქართველების გათიშვას და არაფრად აგდებთ კონფლიქტის ზონიდან დევნილი ათასობით ადამიანის ბედს, რომელთა შორის მრავალი დამსახურებული ვეტერანია... რაც შეეხება 2008 წლის აგვისტოში რუსული არმიის სუვერენული საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრას და პატარა, ერთმორწმუნე საქართველოსთან ფართომასშტაბიანი ომის გაჩაღებას, არავითარი გამართლება არა აქვს... რუსეთს საქართველოს დაქუცმაცება, დანგრევა და განადგურება რომ სურდა, ყოველივე ეს გორის, ფოთის, სენაკის, ონის, კასპის და სხვა დასახლებული პუნქტების დაუნდობელი დაბომბვითაც დასტურდება. ევროკავშირის ქვეყნების და ამერიკის უდიდესი ძალისხმევის მიუხედავად, რუსები არ გადიან ახალგორიდან, პერევიდან, კოდორის ხეობიდან. **ასე რომ, ბატონო ადმირალო, რუსეთის ცბიერმა ხელისუფლებამ საქართველოს პრეზიდენტი დიდი ხნის წინათ დაგეგმილ პროვოკაციაზე წამოაგო და ახლა საკუთარი აგრესიული ქმედებების, აშკარა დანაშაულის გამართლებას ცდილობს...**

ცოტა ხნის შემდეგ ბატონმა გიორგი ხაზარაძემ საკუთარი პოზიცია საპროტესტო წერილში ჩამოაყალიბა და პლენუმის პრეზიდიუმში ადმირალ სოროკინს შეუგზავნა... ადმირალს სხვა რა გზა ჰქონდა, წერილი პლენუმის მონაწილეებს გააცნო.

**– ეს იყო ბატონ გიორგი ხაზარაძის ზნეობრივი გმირობა, – მითხრა საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის თავმჯდომარემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ელვერ კუპატაძემ.**

დასტურ რომ ასეა, ვინც გიორგი ხაზარაძის ქარიშხლიან ცხოვრების გზას იცნობს, მას არ გაუკვირდება ამ უშიშარი და რაინდი კაცის ასეთი საქციელი.

ფლოტის ადმირალს, ბოლოს და ბოლოს, მოუბოდიშებია კიდეც გიორგი ხაზარაძისთვის – თქვენთან ერთად განვიცდი საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას, რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლება ორივე დამნაშავეა, ჩვენი ხალხების ასე დაპირისპირება და ერთმანეთზე გადაკიდება როგორ შეიძლებოდაო, მაგრამ... ლამის მთელი რუსეთი დღესაც საქართველოს დაკნინება-გაცამტვერების „პიარზე“ მუშაობს და ერთი ხანდაზმული ადმირალის აღიარება უშველის საქმეს?

გიორგი ხაზარაძის მსგავსი, ბოლომდე მებრძოლი, ხმალხასრი მამულიშვილებიც ხომ ძალიან ცოტა გვყავს.

**სპარტაკ ქოზულია.**

**მეზობლებთან**




# სკინჰედიზმი – XXI საუკუნის რუსეთის შარავანდი

**აჩრდილი რომ დაძრწოდა რუსეთში, აჩრდილი სკინჰედიზმისა – ეს ამ ასწლეულის დასაწყისში იყო, სულ დასაწყისში. ახლა აჩრდილი იგი ხორცშესხმულია, მომძლავრდა და თავზარდამცემ ურჩხულად იქცა.**

კი, დიდი ჩრდილოელი მეზობელი სწრაფი ტემპით ვითარდება ეკონომიკური, სამხედრო, ფინანსური მიმართულებით (თუ მიმდინარე „ბუშის მსოფლიო კრიზისით“ არ შეფერხდაძ, „სამყაროს“ სულ უფრო მეტად აიძულებს მისთვის ანგარიშის გაწევას. სამწუხაროდ – და ძალიან სამწუხაროდაც – სკინჰედიზმმა ფეხი აუწყო ასეთ განვითარებას, მძიმებათინკებიანი ფეხი და ქვეყანაში დიდ უბედურებად იქცა.

სკინჰედები არიან ულტრანაციონალისტები, რადიკალური ნაციონალისტები, ფაქტობრივად – თანამედროვე ნეოფაშისტები, ქსენოფობიის მწვავე ფორმით დაავადებულნი (გავიხსენოთ – ეს ბერძნული სიტყვა უცხოელების სიძულვილს ნიშნავსძ: რუსეთი მხოლოდ რუსთათვის! ვრცელია მათი ასაკობრივი „დიაპაზონი“ – მთლად ლაწირაკებიდან 35-40-წლისანებამდე. სტანდარტულია სკინჰედების იერი – წმინდად გადახოტრილი თავები, მუქი ტყავის ქურთუკები, მძიმე ბათინკები.

იხ. 11 გვ.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# პუტინის ბლეფი

**ვლადიმერ პუტინის სწორხაზოვანი კამპანია ახლადარჩეული პრეზიდენტის ბარაკ ობამას დასაშინებლად ბრუნვას არ ანელებს.** რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ხუთშაბათს გამართულ „პირდაპირ ხაზზე“ განაცხადა, რომ დაიჭირა რამდენიმე პოზიტიური სიგნალი ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტისგან. მაგალითად, მან თქვა: ჩვენ უკვე გვესმის ექსპერტების დონეზე იმ ხალხისგან, რომლებიც ახლოს არიან ახლადარჩეულ პრეზიდენტთან,... იმის შესახებ, რომ... არ უნდა ვიჩქაროთ ნატოში უკრაინისა და საქართველოს მიღება, ვინაიდან „არ არის საჭირო რუსეთთან ურთიერთობის გაუარესება“. და კიდევ — ჩვენ უკვე გვესმის იმის შესახებ, რომ ობამამ კიდევ ერთხელ უნდა აწონდაწონოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების „განთავსების მიზანშეწონილება“.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, პუტინი, როგორც თავად აცხადებს, მიიჩნევს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უკან დაიხევს ორ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით, რომლებსაც მოსკოვი იყენებს ევროპაში თავისი იმპერიული გავლენის აღდგენისთვის და ამერიკის შეერთებული შტატების საპირისპიროდ. მას მიაჩნია, რომ ობამა უარს იტყვის ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაზე ნატოში ორი ქვეყნის პოტენციურ მიღებაზე, რომლებიც განლაგებული არიან რუსეთის საზღვარზე და ცდილობენ იყვნენ ლიბერალური დემოკრატები, და აგრეთვე დაარღვევს ბუშის ადმინისტრაციის ხელშეკრულებას პოლონეთისა და ჩეხეთის მთავრობებთან გადამტაცი რაკეტებისა და რადარების განთავსების შესახებ, რომლებიც მიმართული არიან ირანისკენ.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ობამას ჰქონდეს თუნდაც მცირე განზრახვა, უკან დაიხიოს ამგვარი შეტევის წინაშე. მაგრამ პუტინის რიტორიკა ავლენს ორ ნაადრევ რთულ საკითხს, რომელთა გადაწყვეტაც მოუწევს ადმინისტრაციას და არა მხოლოდ რუსეთთან, არამედ ევროპელ მეკავშირეებთან ერთად, რომლებიც, თავის მხრივ, შეეცდებიან გადაქაჩონ ახალი პრეზიდენტი სხვადასხვა მიმართულებით.

ბუშის ადმინისტრაციისთვის უკანასკნელ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ნატოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები, ადმინისტრაციამ მოახერხა მოეხდინა მანევრები საქართველოს და უკრაინის საკითხთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ნატომ თავის ზაფხულის სამიტზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს ორი ქვეყანა გარკვეული დროის შემდეგ გახდებიან ალიანსის წევრები, გერმანია და იტალია ახლა უკვე სათავეში უდგანან იმ ქვეყნების ჯგუფს, რომლებსაც სურთ ამ საკითხისთვის წერტილის დასმა. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ყოფილი ქვეყნები, ისეთები, როგორებიცაა პოლონეთი და ლიტვა, პირიქით, ამტკიცებენ, რომ ნატოს მხოლოდ მყარმა მხარდაჭერამ უკრაინასა და საქართველოსთვის შეძლებს შეაჩეროს რუსეთის შემდგომი აგრესია.

არსებობს კანონზომიერი ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ იქნებოდა უფრო გონივრული ნაბიჯი მიმავალი ადმინისტრაციის მხრიდან ეჩქარა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის პროექტის გადაწყვეტა, აგრეთვე ხელი შეეწყო საქართველოსა და უკრაინის მთავრობებისთვის იმედების გამყარების საქმეში.

მაგრამ პუტინის სიტყვები სხვა რეალობას გვახსენებენ: ამ საკითხებში ახალი ადმინისტრაციის პოზიციის ნებისმიერი დათმობა კრემლის მიერ აღქმული იქნება, როგორც მისი ახალიმპერიული პოლიტიკის გამარჯვება და ობამას სისუსტის ნიშანი.

The Washington Post

# „აქ ომისგან არავის მოუგია, გარდა კოკოითის რეჟიმისა“

***გასულ პარასკევს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი გახდა რუსეთის ფედერაციის მოქალაქე გრიგოლ ვაშაძე. ვიდრე შეუდგებოდა თავისი მოვალეობის შესრულებას, იგი ესაუბრა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს ვლადიმერ სოლოვიევს იმის შესახებ, რომ თბილისი მზადაა აღადგინოს დიპლომატიური ურთიერთობა მოსკოვთან.***



**— რამდენადაც ვიცი, თქვენ ბრძანდებით რუსეთის პირველი მოქალაქე, რომელიც სათავეში ჩაუდგა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს?**

— მე რუსეთის მოქალაქეობა მივიღე სსრ კავშირის დაშლის შემდეგ და დღემდე ვარ რუსეთის მოქალაქე. საქართველოს მოქალაქეობა კი სპეციალური ბრძანებულებით მომანიჭა საქართველოს პრეზიდენტმა 2007 წელს.

**— ხომ არ გქონიათ სურვილი, უარი გეთქვათ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობაზე აგვისტოს ომის შემდეგ?**

— არა. მე ხომ რუსეთის მთავრობის მოქალაქეობა არა მაქვს. მთავრობა წავა, რუსეთი და რუსი ხალხი კი დარჩებიან და გააკეთებენ შესაბამის დასკვნას იქიდან, თუ რა მოხდა აგვისტოში.

**— ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ თქვენ არ აპირებდით დიპლომატიაში დაბრუნებას, გასულ კვირას კი არა თუ დაბრუნდით, არამედ სათავეშიც კი ჩაუდექით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს. რა მოხდა?**

— ამის შესახებ უნდა ჰკითხოთ ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებას. მე დამისვეს მხოლოდ ერთი შეკითხვა: თუ მიყვარს ჩემი სამშობლო. მე ვუპასუხე: მიყვარს. მაშინ მითხრეს: ამიტომ შემდგომ ნულარ განსჯი. თუმცა მთელი ძალით ვცდილობდი, დავრჩენილიყავი კულტურის სამინისტროში.

**— თუ გქონდათ ურთიერთობა რუს დიპლომატებთან, რაც საქართველომ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობანი რუსეთთან, და ვისთან, თუ ეს საიდუმლოება არაა?**

— მქონდა და ახლაც მაქვს. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს რამდენიმე ხელმძღვანელი ჩემი მეგობარია. მაგრამ მათ დასახელებისგან, მაპატიეთ, თავს შევიკავებ.

**— თქვენს დანიშვნას ნიშნულს უწოდებენ. ამბობენ, რომ ეს შეიძლება იყოს მოსკოვთან ურთიერთობაში თბილისის პოლიტიკის შეცვლის ნიშნად. შეიცვლება რაიმე? რას ნიშნავს პოლიტიკის შეცვლა მოსკოვთან ურთიერთობაში?**

— ჩვენ არასოდეს არ მოვითხოვდით იმას, რაც არ გვეკუთვნოდა. 2003 წლიდან საქართველო იმეორებდა ერთსა და იმავეს: ყველა პრობლემა შეიძლება გადაიჭრას, ყველა სასიცოცხლო ინტერესი გათვალისწინებული უნდა იქნეს. არ განიხილება მხოლოდ სამი ფუძემდებლური პრინციპი — დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ყველა დანარჩენი შეიძლება გადაწყდეს მოლაპარაკების მაგიდასთან. მიმდინარე წლის 22 ივნისს ჩავიტანე მოსკოვში სამშვიდობო გეგმა. და მრჩება შთაბეჭდილება, რომ სწორედ ამ გეგმამ შეაშფოთა ბანდიტური რეჟიმი ცხინვალში და მისი მოსკოველი მფარველები. სამხრეთ ოსეთში ომისგან არავის მოუგია, გარდა კოკოითის რეჟიმისა. „ჰამასის“ კომპანია, ნიკარაგუა და „ჰესბოლა“, რომელშიც რუსეთი აღმოჩნდა, ბევრ რამეზე მეტყველებს.

**— საქართველო მზადაა რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკებისთვის?**

— ჯერ კიდევ არ ყოფილა ისეთი ომი, რომელიც მოლაპარაკებით არ დამთავრებულიყოს. ბევრი ომის დროს მოლაპარაკებანი მიმდინარეობდა საბრძოლო მოქმედებათა პარალელურად. ჩვენ მზად ვართ მოლაპარაკებისთვის, მაგრამ არ გვაქვს განზრახული განვიხილოთ მხოლოდ ის სამი საკითხი, რის შესახებაც უკვე მოგახსენეთ.

**— თუ არის შესაძლებელი მოსკოვსა და თბილისს შორის დიპლომატიურ ურთიერთობათა აღდგენა და საქართველოს ელჩის დაბრუნება რუსეთში?**

— შესაძლებელია. მხოლოდ აი, რუსეთის სამი საელჩო საქართველოს ტერიტორიაზე არ იქნება არასოდეს. რუსეთმა თავად შეიქმნა თავისთვის ეს ჩიხი, მაგრამ ჩვენ მზად ვართ, ხელიხელჩაკიდებულნი, შევეცადოთ იქიდან გამოსვლას.

**— როგორ? მოსკოვს არაერთგზის აღუნიშნავს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ გადაწყვეტილება არასოდეს არ იქნება გადასინჯული.**

— დიპლომატებისა და პოლიტიკოსების ლექსიკონში სიტყვა „არასოდეს“ ხშირად ნიშნავს „სავსებით, ძალიანაც შესაძლებელია“. ის, რაც ჩემთვის ზუსტად არის ცნობილი, ესაა რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, და მომავალიც, არასოდეს არ დაიხევს უკან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის იდეიდან. ჩვენ არასოდეს გვეყოლება მთავრობა, რომელიც დათანხმდება იმას, რომ ნახევარ მილიონზე მეტი კაცი „იზგოი“ იყოს თავის ქვეყანაში.

**— შორია ვაშაძე-ლავროვის პირდაპირ მოლაპარაკებამდე?**

— ჯერჯერობით უკომენტაროდ.

Коммерсантъ

# ნიუ-იორკმა მიხეილ სააკაშვილის ოპოზიცია წამოაყენა

**უახლოეს პერიოდში საქართველოში წარმოიქმნება ოპოზიციური ძალა, რომელსაც განზრახული ექნება გაუგზავნოს გამოწვევა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს და მმართველ პარტიას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.** ოპოზიციურ რესპუბლიკურ პარტიას და პარტიას „ახალი მემარჯვენეები“ განზრახული აქვთ, გამოაცხადონ ერთიანი ბლოკის შექმნა, რომელიც მოითხოვს ვადამდელ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს. ბლოკს შეიძლება სათავეში ჩაუდგეს ამ დღეებში გაეროსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის პოსტიდან გათავისუფლებული ირაკლი ალასანია — ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსი.

პარასკევს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის ეკა ტყეშელაშვილის, თავდაცვის მინისტრის დავით კეზერაშვილისა და უშიშროების საბჭოს მდივნის ალექსანდრე ლომაიას გადაყენების შესახებ განცხადებას თბილისში ბევრი აღიქვამს, როგორც იმის ოპერაციას, რომ ყურადღება გაეროსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის ირაკლი ალასანიას ნებაყოფლობითი გადადგომიდან გადაიტანონ სხვა საკითხებზე. „პრეზიდენტ სააკაშვილის გადაწყვეტილება მინისტრების თავიანთი პოსტებიდან მოხსნის შესახებ არავითარ ლოგიკას არ ემორჩილება, — განაცხადა დამოუკიდებელმა ექსპერტმა გიორგი ხუხაშვილმა. — საბაბი არ შეიძლება გამხდარიყო ისეთი სისტემური მიზეზიც კი, როგორიცაა წაგებული ომი. ყველაფერი ეს წმინდა სუბიექტური მომენტებია, რომლებიც დაკავშირებულია ალასანიას გადაწყვეტილებასთან, გადავიდეს ოპოზიციაში და მის პოპულარობასთან საზოგადოებაში.



ახალი პოლიტიკური ძალის შექმნის გეგმაზე საუბრობს „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი დავით გამყრელიძე. „უახლოეს დღეებში ჩვენ რესპუბლიკურ პარტიასთან ერთად შევქმნით ერთიან პოლიტიკურ ბლოკს. რასაკვირველია, ბლოკს ეყოლება ერთიანი ლიდერი. ჩვენ მოვითხოვთ ხელისუფლებისგან რიგგარეშე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს და გვეყოლება პრეზიდენტის ერთიანი კანდიდატი. ქვეყნის ინტერესებისთვის დღევანდელი ხელისუფლება უნდა შეიცვალოს რაც შეიძლება სწრაფად“.

„ახალი მემარჯვენეებისა“ და რესპუბლიკელების გადაწყვეტილება, მოითხოვონ ვადამდელი არჩევნები, ნიშნავს მიხეილ სააკაშვილის რეჟიმისადმი ოპოზიციის ურთიერთობის რადიკალურ ცვლილებას. თუ ომის დროს და მისი დამთავრებისთანავე ოპოზიცია უპირატესობას ანიჭებდა ოფიციალურ თბილისს, რათა მათთვის ბრალი არ დაედოთ ეროვნული ინტერესების ღალატში, ამჟამად ოპოზიციის ლიდერები, როგორც ეტყობა, კურსს იღებენ რეჟიმის შეცვლაზე. ერთ-ერთმა პირველმა ეს გააკეთა პარლამენტის ექს-სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ, რომელმაც გამოაქვეყნა იმ შეკითხვების სია, რომელსაც უგზავნიდა პრეზიდენტს სამხრეთ ოსეთში ომთან დაკავშირებით. ამის შემდეგ თბილისში საუბრობდნენ იმაზე, რომ სწორედ ქალბატონი ბურჯანაძე იქნებოდა ყველაზე უფრო სავარაუდო კანდიდატი მომავალი პრეზიდენტის პოსტზე.

ჩვენი გაზეთის ინფორმაციით, მორიგი სამშვიდობო მისიით ირაკლი ალასანია ჯერ კიდევ ზაფხულში ჩავიდა სოხუმში. „ირაკლი ალასანიას წინადადებები რომ ყოფილიყო მიღებული აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით, რის შესახებაც მოილაპარაკა აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი შამბასთან, აგვისტოს ტრაგედია არ იქნებოდა, — აღნიშნავს ირაკლი ალასანიას ერთ-ერთი დაახლოებული პიროვნება. — სწორედ ამით იყო განპირობებული მისი გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ, რომელიც მან მიიღო ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ — აგვისტოს ომის დამთავრებისთანავე“.

გიორგი დვალი

Коммерсантъ

## ქართულ-ებრაული მეგობრობის ხიდი



დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი

# იუბილე თელ-ავივში იზეიმეს

### დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი 75 წლისაა

**ქართულ-ებრაულ ურთიერთობებს შესაძლოა, მსოფლიოს ისტორიაში ბადალი არც კი მოეძებნებოდეს. საქართველოს ისტორიამ ამ ორი უძველესი ერის მრავალსაუკუნოვანი მშვიდობიანი ურთიერთობის მრავალი მაგალითი შემოგვინახა, რასაც დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმიც ადასტურებს.**

მუზეუმი 75 წლისაა და ებრაელთა საქართველოში ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განძთსაცავია.

ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ჩამოყალიბდა საქართველოს ღარიბკომის გამგეობის 1932 წლის 30 ნოემბრის დადგენილებით, როგორც საუწყებო ორგანიზაცია, მშრომელ ებრაელთა კულტბაზის ფარგლებში, ოფიციალურად კი დაარსდა 1933 წლის 23 ნოემბერს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებით.

საბჭოთა კავშირში მიმდინარე „ანტიკოსმოპოლიტიზმის" წინააღმდეგ გაშლილი მოძრაობის ტალღაზე მუზეუმი 1951 წელს დაიხურა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის წარდგენის საფუძველზე, აღდგა საქართველოს მთავრობის 1992 წლის 30 ნოემბრის დადგენილებით და მიენიჭა ცნობილი რაბინისა და საზოგადო მოღვაწის დავით ბააზოვის სახელი. მუზეუმი შევიდა საქართველოს კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას დაევალა სამეცნიერო ხელმძღვანელობა; 2000-2004 წლებში იგი კულტურის სამინისტროსა და თბილისის მერიის დაქვემდებარებაშია.

უმწვავეს ავარიულ მდგომარეობაში არსებული ისტორიული ნაგებობებისა და ეროვნულ-საერთაშორისო მნიშვნელობის სამუზეუმო დანესებულების გადარჩენისათვის, მეზეუმისა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის მიმართვის საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 25 ივლისის განკარგულებით, დაისახა მუზეუმის, როგორც ებრაელთა საქართველოში ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განძთსაცავისა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა შემსწავლელი უნიკალური სამეცნიერო ცენტრის ფუნქციონირებისა და რეკონსტრუქციის ღონისძიებები.

პრეზიდენტის 2006 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულებით, განისაზღვრა მუზეუმის ახალი სამართლებრივი სტატუსი და სახელწოდება – დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაევალა მასზე სახელმწიფოებრივი ზედამხედველობა.

ქართულ-ებრაული ურთიერთობის შემსწავლელი უნიკალური სამეცნიერო ცენტრი მრავალი ექსპონატისა და რარიტეტის მფლობელია, იქნება ეს ეპიგრაფიკული ხელნაწერი, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ისტორიული, მხატვრული არქივები...

გამოიცა ებრაისტიკა – ქართველოლოგიისათვის მნიშვნელოვანი სამეცნიერო „შრომების" ხუთი ტომი.

და აი, ახლახან, თელ-ავივში, ისრაელის მწერალთა სახლში ისრაელის მწერალთა კავშირების ფედერაციამ, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესმა და დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმმა აღნიშნეს მუზეუმის დაარსებიდან 75-ე წლისთავი და მუზეუმის სამეცნიერო „შრომების" IV და V ტომების გამოცემა.

კონფერენციას ხელმძღვანელობდა ისრაელის მწერალთა კავშირის ფედერაციის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს საპატიო მოქალაქე, ქალბატონი თამარ მამისთვალოვი-კეზერაშვილი.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი, ბატონი მიხეილ მირილაშვილი, ისრაელის მწერალთა კავშირების ფედერაციის თავმჯდომარე, ბატონი ეფრაიმ ბაუხი, ისრაელში საქართველოს საელჩოს მთავარი მრჩეველი, ბატონი ჯემალ აჯიაშვილი, მუზეუმის ძველი თანამშრომელი, ბატონი აბრამ პაპისმეღოვი...

ვრცელი მოხსენებით გამოვიდნენ: მუზეუმის ყოფილი დირექტორი, ბატონი შალვა წიწუაშვილი და მუზეუმის ამჟამინდელი დირექტორი, ბატონი გივი ღამბაშიძე. მათ მიმოიხილეს მუზეუმის წარსული, აწმყო, პერსპექტივები, იმსჯელეს სამეცნიერო „შრომების" IV-V ტომებისა და დაგეგმილი VI ტომის საგამომცემლო საკითხებზე.

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი, ბატონი მიხეილ მირილაშვილი კონფერენციის მონაწილეებს მთელი მსოფლიოს ქართველ ებრაელთა სახელით მიესალმა, მათ საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის 75 წლისთავის იუბილე და მუზეუმის „შრომების" მე-5 ტომის გამოსვლა მიულოცა.

„მუზეუმმა დიდი როლი შეასრულა, როგორც საქართველოს ებრაელთა ისტორიის კვლევის, ასევე მათი საზოგადოებრივ-კულტურული წინსვლისა და ეროვნული თვითშეგნების გაღვივების საქმეში.

მუზეუმის ნამოღვაწარმა, მისი ხელმძღვანელობის თავდადებული მცდელობის შედეგად, ზოგიერთი ავბედითი პერიოდის სუსხიან პოლიტიკურ ვითარებას გაუძლო და, ცხადად თუ მალულად, ჩვენამდე მოაღწია.

ხოლო ამ ოცი წლის წინათ, როცა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ჯერ კიდევ მძლავრობდა კომუნისტური რეჟიმი, თბილისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან, დაარსდა ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაცია. ამას შეიძლება საზოგადოებრივი გმირობა ვუწოდოთ.

ასოციაციის მეშვეობით, ჩვენს ორ ქვეყანას შორის განვითარდა „სახალხო დიპლომატია" და გაიდო მეგობრული ურთიერთობის მყარი ხიდი. ამ ხიდის კონსტრუქტორებიც და მშენებლებიც იყვნენ აწ განსვენებული აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე და პროფესორი გივი ღამბაშიძე პროფესორ შალვა წიწუაშვილთან ერთად", – განაცხადა მიხეილ მირილაშვილმა.

მან ბატონ გივი ღამბაშიძეს მადლობა გადაუხადა ორი ქვეყნისა და ორი ხალხის მეგობრობის გაღრმავებისთვის.

ბატონი გივი ამ მადლობას, მართლაც, იმსახურებს, რადგან დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის ღვაწლი ორი ხალხის ურთიერთდაახლოებაში უდიდესია, თუნდაც ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლების წარმოჩენაში „წმიდა მიწაზე", საქართველოს ებრაელთა ფონდისა და კულტურის განვითარებაში. ის, რომ საქართველოში ისტორიულად და სახელმწიფოებრივად ანტისემიტიზმი არ ყოფილა, ქართველთა თავდადებითა და თავგანწირვით აიხსნება ებრაელთა გადასარჩენად XX საუკუნის დასაწყისში რუსეთში აღზევებული ანტისემიტური „პოგრომების" დროს, ასევე, ებრაელი ტყვეების გადასარჩენად II მსოფლიო ომის დროს.

მუზეუმის ექსპოზიციაში მნიშვნელოვანი თემაა საქართველოდან ებრაელთა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების პერიოდი XIX საუკუნეში, XX საუკუნის დასაწყისში, XX საუკუნის 70-იან წლებში. ახსნილია ამ მოვლენის მეტაფიზიკური, ისტორიული, სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები; საქართველოსთან – თავიანთ „მეორე სამშობლოსთან" ქართველი ებრაელების დამოკიდებულების მნიშვნელოვანი ფაქტები, საქართველო-ისრაელის თანამედროვე სახელმწიფოებრივი, სამეცნიერო-კულტურული და საზოგადოებრივი ურთიერთობანი.

მუზეუმი გამორჩეულ ყურადღებას უთმობს საქართველოში მოღვაწე ებრაულ, ქართულ-ებრაულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

თელ-ავივში გამართული საღამოს შემდეგ, დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმს ესტუმრა ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი იცაკ გერბერი. მუზეუმის დირექტორი გივი ღამბაშიძე ბატონ ელჩს ესაუბრა საქართველოს ებრაელთა, ქართულ-ებრაულ და საქართველო-პალესტინის ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობათა საკითხებზე.

ბატონმა იცხაკ გერბერმა სურვილი გამოხატა, დაეხმაროს საერთაშორისო მნიშვნელობის მუზეუმს აღორძინების საქმეში. ქართველმა ებრაელობამ ღირსეულად განვლო საქართველოში ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი გზა და მტკიცედ დაიმკვიდრა თავი მის ისტორიაში, რაც ორივე ერის ტოლერანტობის, ბიბლიური სიბრძნის ნათელი გამოვლენაა. ყოველივე ამის გამო, საქართველოს სრული საფუძველი აქვს მსოფლიოს აუწყოს და აღნიშნოს ერთა მშვიდობიანი თანაარსებობის ისტორიული ფენომენი.

**თამარ შაიშმელაშვილი.**

## მეზობლებთან

# სკინჰედიზმი – XXI საუკუნის რუსეთის ურჩხული

(მეცხრე გვერდიდან)

ზოგადად ნადირობენ არასლავური გარეგნობის მსხვერპლზე, კონკრეტულად – ვიწროჭრილიანი თვალების მქონეებზეც. უფრო კონკრეტულად – ტაჯიკებზე, უზბეკებზე, ყირგიზებზე... თუმცა კუბოები აზერბაიჯანში, საქართველოში, სომხეთშიც მიდის (საქართველოში, ბოლო ხანს, შემოვლითი გზებით...ძ. არც აზერბაიჯანელებს, არც ქართველებს, არც სომხებს არა აქვთ ვიწრო, „მონღოლური" თვალები – სამაგიეროდ არასლავური, კავკასიური გარეგნობა აქვთ; კი მაგრამ, ასეთი გარეგნობის ხომ დაღესტნელები, ინგუშები, ჩეჩნებიც არიან! არადა, თურმე არ ყოფილა იმათზე რუსეთელ ნეოფაშისტთა თავდასხმის არც ერთი შემთხვევა. ეგ უთუოდ იმ მიზეზით, რომ დანები და პისტოლეტები ჩრდილოკავკასიელებსაც უდევთ და „ხურდის" დაბრუნება შეუძლიათ...

დიახ, სკინჰედებისაგან წამოწყებული არარუსთაგან „წმენდა" რატომღაც მიმართულია ყველაზე უწყინარებსა და უმწეოებზე, შინ რომ ბნელი ან ნახევრადბნელი ქუჩებით ბრუნდებიან, სადაც თავდასხმა თუ მიხტომა ასე მოსახერხებელია.

ყველაზე მეტად თურმე ყირგიზებს არ უმართლებთ: წლეულს 11 მოკლულია, თანაც მხოლოდ მოსკოვში. შარშან კი წლის მანძილზე 14 ყოფილა მთელს რუსეთში – აი როგორი „პროგრესია". თანაც ყველა მოკლული გახლდათ მარჩენალი და შვილები მოხუცი მშობლებისა – ეს სამწუხარო ინფორმაცია ყირგიზეთის კონსულს მიუწოდებია „კომსომოლსკაია პრავდას" ჟურნალისტისთვის.

გაზეთი იმასაც პატიოსნად იუწყება, რომ რუსეთელმა ფაშისტებმა თუ ნეოფაშისტებმა (ეს ცნებები კარგა ხანია გაჩნდაძ ბოლო ხუთ წელიწადში 300 კაცი მოჰკლეს რასისტული თუ ნაციონალისტური თუ ულტრანაციონალისტური მოტივებით, სამჯერ მეტსაც თავს დაესხნენ (იმას კი არ ამხელენ, შესრულდა თუ ვერა „ხუთწლიანი გეგმა"...ძ.

ზემოთ სკინჰედიზმთან ქსენოფობიის „ნათესაობა" ვახსენეთ. ქსენოფობიის დონე დიდ რუსეთში ყოველწლიურად მაღლდება, რასაც იქაური სამართალდამცველ ხელისუფალთა დანაშაულად მიიჩნევენ, მთელს ქვეყანაში რომ იძლევიან ეგრეთ წოდებული „რუსული მარშების" ნებას.

შეიძლება ქსენოფობიის დამარცხებაც „კომსომოლკას" შეკითხვას, სხვებთან ერთად, ორი ჩვენებურიც უპასუხებს:

**დიანა ღურწკაია, რუსეთის დამსახურებული არტისტი:**

– მე, „ეროვნულ უმცირესობაში" მყოფი, რუსეთში შეუწყნარებლობის გამოვლენას, მადლი ღმერთს, უშუალოდ არ გადავწყდომივარ; თუმცა პრობლემა არსებობს, რომლის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ ისეთი პოლიტიკოსის გამოჩენით, როგორიც ამერიკაში გახლავთ ობამა, მაშინ ჩვენთანაც ყველას ის მოეჩვენება მნიშვნელოვნად, კაცი რასაც ლაპარაკობს და არა ის, თუ როგორ გამოიყურება.

**ჭიჭიკო ხაჭაპურიძე, ვორონეჟის ოლქის ქართული დიასპორის თავმჯდომარე** (რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, ასეთი ქართული სახელ-გვარი დაუმახინჯებლადაა მოყვანილი – **თ. ე.**ძ:

– ქსენოფობიაზე გამარჯვება მოხერხდება, თუ რუსეთში არავის არ გამოარჩევთ. ეს არის მრავალეროვანი სახელმწიფო და ამიტომ არა აქვს მნიშვნელობა, ვინ რომელ ხალხს მიეკუთვნება.

...მედვედევს, პუტინს, ლავროვს, პლუს ბაღაფშ-კოკოითის არასიამურ ტყუპებს რომ ჰკითხო, ქართველები გამოუსწორებელი აგრესორები არიან. არადა საქართველოში, აგრეთვე მრავალეროვანში, ვინმე თუ შესწრებია ან თუნდაც წარმოიდგენს ფაშისტური ლოზუნგების ფრიალს ან შეძახილებს „დასცხეთ რუსებს", „ჰკა სომხებს, ოსებს, აფხაზებს, ქურთებს"!..

...დიმიტრი მედვედევს წინა პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ეკონომიკურად, სამხედრო პოტენციალით, ფინანსურად მომაგრებული რუსეთი გადააბარა, მაგრამ მომძლავრებული, შემაძრწუნებელი სკინჰედიზმ-ქსენოფობიაც გადაულოცა – დიდი ქვეყნის ეს შემაძრწუნებელი, XXI საუკუნის ურჩხული, ისეთი, იმის ისტორიას რომ არ ახსოვს. ჯერჯერობით ამ უბედურებას იქ ვერცრას უხერხებენ, ან რას მოუხერხებენ, როცა ძალოვანები ასეთ ჭირს თვალს უხუჭავენ, ყურს უყრუებენ და, მგონი, კიდევაც აქეზებენ, „გაგებით" ეკიდებიან და დანაშაულის გაგონებაზე ფეხზე როდი დგებიან.

საკვირველია, ღმერთმანი – რუსეთის უმაღლესი ხელისუფალნი, თვით პირველი პირით დაწყებული და მინისტრებითა და დუმელებით გაგრძელებული, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში „თავიანთი მოქალაქეების" დაცვაზე ამდენს ლაპარაკობენ, ხოლო თვით ქვეყნის ტერიტორიაზე არცთუ იშვიათად ვერ დაუცავათ მართლაც რომ საკუთარი მოქალაქენი. შემთხვევა თუ გახსოვთ, რომ მედვედევს, პუტინს, მირონოვს, გრიზლოვს, დუმელ ქორებს შეშფოთება გამოეხატათ ან გამოეთქვათ სკინჰედიზმის ზეობა-აღორძინებისა გამო – აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე სწუხან, ზრუნავენ, შფოთავენ!..

„რუსეთს ვერ გაუგებ გონებით, ვერც გულით, ვერცა რამ არშინით გაზომავ ვეროდეს. მას ნირი სულ სხვა აქვს, განსაკუთრებული, ისღა დაგრჩენია, რუსეთის გჯეროდეს" – აღმოხდა ფიოდორ ტიუტჩევს დიდი ხნის წინათ.

ისე ჰგავს, ახლა რუსეთისა დაჯერებაც აღარ ეგების...

**თამაზ ებანოიძე.**

№ 230. სამშაბათი, 9 დეკემბერი, 2008 წელი.

კლასიკა ეკრანზე

# ჯაყოს გამოცხადება

## „ეს უნდა იყოს ქართული ფილმი, უპირველესად, ქართველი მაყურებლისთვის" – ამბობს რეჟისორი დავით ჯანელიძე

*ერთ დროს ტელეეკრანსა და სცენაზე გაცოცხლებული ჯაყო ცოტა ხანში კვლავ გამოეცხადება ქართველ საზოგადოებას. მიხეილ ჯავახიშვილის ამ, ჭეშმარიტად, უკვდავი ნაწარმოების ეკრანიზაციაზე უკვე ორი წელია მუშაობს კინორეჟისორი დავით ჯანელიძე და, როგორც იგი ამბობს, ფილმი „ჯაყოს ხიზნები", სადღაც, ახალი წლის დასაწყისისთვის უნდა იყოს მზად.*



**– რამ გაფიქრებინათ „ჯაყოს ხიზნების" ეკრანიზაცია?** – ვეკითხები დავით ჯანელიძეს.

– კარგა ხანია მინდოდა... ბატონი თემურ ჩხეიძის ვიდეოფილმმა და მარჯანიშვილის თეატრში მისივე სპექტაკლის შთაბეჭდილებამ, კიდევ უფრო გააძლიერა ეს სურვილი.

**– უფრო წინასწარმეტყველური, უფრო საგანგაშო ზარების დამრისხებელი მხატვრული ნაწარმოები ძნელად თუ მოიძებნება ქართულ მწერლობაში, „ჯაყოიზმი" დღესაც აქტუალურია ჩვენთვის, თუმცა, ჭკუა მაინც ვერ ვისწავლეთ, პირიქით... თქვენ რა თემა წამოსწიეთ წინა პლანზე?**

– საერთოდ, მე რამდენადაც ვიცი, ამ გენიალურ ბელეტრისტულ ნაწარმოებში მიხეილ ჯავახიშვილს უფრო აინტერესებს დრამატიზმი ადამიანებისა, რომლებისთვისაც ახალ დროსთან შეგუება უძნელესი პროცესი გამხდარა (ასე არ არის დღესაც?), ზნეობა ფეხქვეშ გათელილია, ზოგი გამხეცებულია და არაფერს ერიდება, ზოგი უმწეოდ შესცქერის ცხოვრების რია-რიას, მისი სინდის-ნამუსი, ოჯახიშვილობა, არავის სჭირდება... რა გასაკვირია, ეს ჯაყოების, „ჯაყოიზმის" დროა... ჩვენც, საერთოდ, ადამიანების, და, კონკრეტულად, „სამკუთხედის" – **ჯაყო-თეიმურაზი-მარგო** – დრამატიზმი წამოვწიეთ წინა პლანზე. ჯაყოს სამეტყველო ენაც კი სხვაგვარია, სპეციფიკური დიალექტი არასწორად წარმოთქმულმა ქართულმა შეცვალა...



**– სცენარი ვის ეკუთვნის?**

– ბატონმა ვაჟა გიგაშვილმა დაწერა და, რა გასაკვირია, დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა იგი მიხეილ ჯავახიშვილის პროზის კინოენაზე ამეტყველებას.

**– მთავარ როლებში ვინ არიან?**

– ჯაყოს სახეს ქმნის მსახიობი **გიორგი ნაკაშიძე**, თეიმურაზს ასახიერებს მწერალი **ზაზა ბურჭულაძე,** მარგო – მსახიობი **ნატო მურვანიძეა...**

**– კეთილი და პატიოსანი... ამ მსახიობების ნიჭიერებაში ეჭვი ვის შეეპარება, მაგრამ სკანდალური მწერალი ზაზა ბურჭულაძე თუ ართმევს თავს თეიმურაზის უბედურებას?..**

– სხვათა შორის, ზაზა, შინაგანად ძალზე კარგი ადამიანია, ერუდირებულია, მე, მაგალითად, ასეთი წარმოდგენა თეიმურაზზე ხევისთავი...

**– მგონი, ცოტათი, მიხეილ ჯავახიშვილსაც კი მიამგვანეთ...**

– ალბათ... განა ჯაყოებმა და უწმინდურებმა არ იმსხვერპლეს დიდი მწერალი?..

**– ივანეს როლს ვინ ასრულებს?**

– თელავის თეატრის მსახიობი ორბი აღნიაშვილი.. ისე, რომ იცოდეთ, ფილმში არ იქნება არც ერთი დადებითი გმირი...

**– ვითომ რათაო?**

– ასე მოითხოვა ჩვენმა ჩანაფიქრმა... აქვე გეტყვით, რომ ფილმის მთავარი ოპერატორია გია გერსამია, მთავარი მხატვარი – ჯემალ მირზაშვილი, კოსტიუმების მხატვარი – ეკა მაღალაშვილი, კომპოზიტორი – დათო ევგენიძე...

**– ახლა დღევანდელი ქართული კინოს მთავარ პრობლემაზე – დაფინანსებაზეც გვითხარით ერთი-ორი სიტყვა...**

– ჩვენმა ჯგუფმა გაიმარჯვა ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოცხადებული სცენარების კონკურსში, მივიღეთ გრანტი, მთავარი დამფინანსებელიც კინოცენტრია, „ტელეიმედი" შემოვიდა თავისი თანხით, პროდიუსერის, ქალბატონ ქეთევან გალდავაძის გარჯის წყალობით სხვა თანხებიც მოვიზიდეთ და, 500 ათასი ევრო დაჯდება... ეს ჩვენი პირობებისთვის მაღალი ბიუჯეტია...

**– ეტყობა, აინაზღაურებთ... წესით, „საკასო" ფილმი უნდა იყოს...**

– ეს არის, ჩემო ბატონო, ქართული პროექტი და, ვცდილობთ, გამოგვივიდეს ქართული ფილმი, უპირველესად, ქართველი მაყურებლისთვის... თემა ისეთია, რომ, ჩემი აზრით, ყველა ქართველმა უნდა ნახოს...

**– დათო ბატონო, წლევანდელი აგვისტოს მოვლენები, რუსეთ-საქართველოს ომის ექო თუ გახმიანდა ფილმში რაღაც დოზით?**

– ჩვენ მოვიპოვეთ კინოქრონიკა, რომელშიც ასახულია, როგორ შემოდის საქართველოში 1921 წელს რუსთა არმია... ასე არ მოხდა ახლაც?.. ამ ფაქტმა დიდი როლი ითამაშა ფილმის ზოგადი ფონის შექმნაში.

* * *

**დავით ჯანელიძე ახალთაობის ქართველ კინორეჟისორთა ღირსეული წარმომადგენელია. მისი ფილმები – „მდგმურები", „დედუნა", „ციხე-სიმაგრე" და ა. შ. დათოს წარმოაჩენენ, როგორც ღრმად მოაზროვნე ხელოვანს, რომელიც უმდიდრესი ქართული კინოს ტრადიციებს დაყრდნობია და, ჩემი აზრით, სწორედ ეს არის მისი ფილმების წარმატების ერთ-ერთი მთავარი საიდუმლო. „ჯაყოს ხიზნების" კინოეკრანზე გაცოცხლება არ არის იოლი საქმე. იმედია, რომ ჯანელიძის ნიჭი აქაც გაიელვებს.**

*სურათებზე:რეჟისორი დავით ჯანელიძე; კადრი ფილმიდან: ნატო მურვანიძე – მარგო, ზაზა ბურჭულაძე – თეიმურაზი; ზაზა ბურჭულაძე; გიორგი ნაკაშიძე – ჯაყო.*





ძვირფასი სილუეტები

**წესრიგსა და მილაგებულ სიტუაციას რომელი მხატვრის სახელოსნოში ნახავთ, მაგრამ ზურაბ ნიჟარაძესთან ნამეტანია ამ დღეებში. შევაღე სახელოსნოს რკინის კარი და უცებ მტვრის ბუღში აღმოვჩნდი.**

ყურისწამღებად ღრჭიალებს ხერხი, რომლითაც კედლის ძირში უსწორმასწოროდ გამოშვერილ აგურებს ჭრიან ხელოსნები (მოგვიანებით გავიგე, გათბობის მილი კოხტად უნდა გააყოლონ მთელ სახელოსნოს). ირონიული ღიმილით მხვდება მასპინძელი, არ შეგეშინდესო, ციცინომ დამაძალა (მეუღლეს, ქალბატონ ციცინო ციციშვილს გულისხმობს) და გათბობა გამყავს სახელოსნოშიო, აღარ მორჩა ეგ ოხერიო...

კედლებზე გამოფენილი უძვირფასესი ფერწერული ნახატები ერთიანად დამტვერილა, ხოლო, რაც იატაკზე აწყვია, ცელოფანი აქვს გადაფარებული...

ამათ, რა ეშველება-მეთქი – გულწრფელად ვწუხვარ. არა უშავს, ან სპირტით, ან სპეციალური ხსნარით გაიწმინდებაო... წამო, წამო, ნაღდი ღვინო დაგალევინოო...

ფანჯარასთან ორი კაცი დგას და „ტუმბოჩკაზე" (მაგიდა და სკამები ხარახურითაა დატვირთული), პურ-მარილს შეექცევიან. ბატონი ზურაბი ერთ-ერთს ეუბნება, მიდი, უთხარი, გააჩეროს ის ხერხი თენგიზმა და შემოგვიერთდეს, ისადილოსო... შემოგვიერთდა თენგიზიც, დაისვენეს ყურებმა, გაიფანტა მტვერი...ჩვენი მასპინძელი, – მაღალი, თხელი, ინტელიგენტური, პირღიმილიანი, 80 წელი სულაც რომ არ ეტყობა, მხრების შნოიანი რხევით, ხან ჩვენთან მოვა, სადღეგრძელოს უერთდება, რაღაცას გემრიელად გაიხუმრებს, ხან მოლბერტთან დგება და ესკიზზე რომელიმე ფერს აათამაშებს.... სახელოსნოში შინაურულად შემოდის და პირდაპირ გვიერთდება შესანიშნავი მხატვარი, „პლეხანოვზე" სამხატვრო სალონის დირექტორი ნოდარ რურუა. ეტყობა, ნოდარი უკვე იყო აქ, რადგან სუფრას რამე-რუმეები შემოამატა. შემეხუმრა, რას შვრები, როგორ ხარ, შე სამშობლოგაყიდულოო (ნოდარი, გამომცემლობა „სამშობლოს" შენობიდან რომ გამოგვყარა სააკაშვილის ხელისუფლებამ, იმას გულისხმობს), მერე ჭიქა ასწია: „დღეს დიდი ქართველი მხატვრის დაბადების წინა დღეა, მეგობრებო!.. ხვალ 80 წლისა ხდება ბატონი ზურაბ ნიჟარაძე – გამორჩეული, მსოფლიოში ცნობილი ფერმწერი, რომლის ხელოვნებას აღტაცებაში მოჰყავს დამთვალიერებელი არა მარტო ჩვენთან, არამედ ევროპისა და ამერიკის უდიდესი ქალაქების უდიდეს საგამოფენო დარბაზებში!.. ლადო გუდიაშვილს ეამაყებოდა, რომ იცნობდა ნიკო ფიროსმანს, მე მეამაყება, რომ სურათი მაქვს გადაღებული ზურა ნიჟარაძესთან და მას სიამოვნებით ვუჩვენებ ხოლმე ჩემ შვილიშვილებს. ჩვენი „პიკო", პიკასოს სიყვარულის გამო რომ შეარქვეს მეგობრებმა, დღეს თავისი დიდი შემოქმედების ნაყოფს იმკის, ხალხის სიყვარულს იმკის!.. გაუმარჯოს ზურას! – მიჭახუნებს ჭიქას ნოდარ რურუა.

– ზურაბ ნიჟარაძე, – ვამბობ მე, – ერთ-ერთი დიდი მეოცესაუკუნელია, ღირსეული „სამოციანელია", რომელმაც განუმეორებელი კვალი დააჩნია ეროვნულ კულტურას!.. მის შემოქმედებაზე, მე ბედნიერება მქონდა, ერთ-ორჯერ დამეწერა, აქ, ამ სახელოსნოში თვალმოუცილებლად მეცქირა ამ „ფერადი სიზმრებისთვის" (ასე დავარქვი მის ნახატებს), მესაუბრა მათ ავტორთან – საოცრად განათლებულ და ნიჭიერ კაცთან. ზურაბ ნიჟარაძემ ფრანგული „იმპრესიონიზმი" ქართული მხატვრობის ტრადიციებს დაამყნო და განუმეორებელი ფერადოვნება შემოგვთავაზა!.. იცოცხლეთ, ბატონო ზურაბ!..

ზურაბ ნიჟარაძე მოლბერტს მოსცილდა და ახლა ჩვენთან დგას – ოდნავ სასმელმოკიდებული... ჭიქას სწევს: – გაგვიმარჯოს!.. თენგიზი და კარლო დიდ საქმეს მიკეთებენ (ხელოსნებზე გვეუბნება), ამ ზამთარში სითბო გვექნება... დავლაგდები და მერე ერთი მაგრად ვიქეიფოთ!.. ჩვენ ყველანი ამ მშვენიერი ქვეყნის შვილები ვართ, განსხვავებული ხასიათების ხალხი ვართ. საქართველოს მთელი ისტორია ხასიათების ჭიდილია... ეს ხასიათები ქმნიან ჰარმონიას... „კრიმანჭულის" ხმები ცალცალკე, არაფერი არ არის, ერთად ჰარმონიულია... ამ ჰარმონიას გაუმარჯოს!..

ისევ ნოდარ რურუა ამბობს სადღეგრძელოს:

– მე ვიცი, რომ ბატონი ზურაბი მშვენიერების ტრფიალია... შეხედეთ ამ კედლებზე რამდენი ქალის ფიგურაა, ჩვენი იუბილარი ლამაზი ქალის თაყვანისმცემელია, მაგრამ, მისთვის განსაკუთრებულია ქალბატონი ციცინო – ციციშვილის ქალი – მეუღლე, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა, რომ ზურაბს თავისი შემოქმედებითი მწვერვალისთვის მიეღწია! ერთ კაცს ვიცნობდი, სხვათა შორის, კარგ მხატვარს... ცოლს არ თხოულობდა. წუხდნენ ახლობლები, ცოლის შერთვას აძალებდნენ... რა ვქნა, ცოლი რომ შევირთო და ოჯახს მოვეკიდო, მხატვრობა უნდა დავთმოო, ორივეს როგორ შევძლებო, – უარზე იყო მხატვარი. ბატონი ზურაბის სიყვარული მეუღლისადმი, შვილებისადმი, შვილიშვილებისადმი, მაგალითია იმისა, თუ როგორ ასაზრდოებს ოჯახი შემოქმედებას!.. გაუმარჯოს!..



ნელ-ნელა ვიშლებით... როგორც ხედავთ, ვერაფერი საუბარი გაიმართა, ძვირფასო მკითხველო, მხატვარსა და ჟურნალისტს შორის... ისევ ხვალის იმედით ვარ, ხვალ ზურაბ ნიჟარაძის დაბადების დღეა... არ დააგვიანოთო, გვეუბნება.

* * *

**მეორე დღეს, ისევ იმ ადგილას – ფანჯარასთან, ისევ ფეხდგომელა, ზურაბ ნიჟარაძის ორი ახლო მეგობარი – ჩვენი შესანიშნავი პოეტი ემზარ კვიტაიშვილი და შემოქმედებითი ინტელიგენციის უსაყვარლესი პიროვნება, ძველი პარტიული მუშაკი შალვა კვინტრაძე მხვდებიან... ბატონი ზურაბი, გუშინდელივით, ხან მოლბერტთანაა, ხან ჩვენთან... ვლოცავთ მის ნიჭს, მის ქართველობას...**

მთავარია, კარგად ვიყოთ, – ამბობს იუბილარი, – დიდი აურზაური საერთოდ არ მიყვარს, ასეთი პურმარილი არ მოგვიშალოს ღმერთმაო... ბაჟბეუჰ მელიქოვი მშიერი მოკვდაო...

– ვინ-მეთქი?

– იყო ასეთი მხატვარი – მელიქოვი... საოცარი მხატვარი... თავისუფალი შემოქმედი, არავის ემორჩილებოდა...

– სულ გაზიდეს მაგის ტილოები სომხებმა ერევანში, – ამატებს ემზარ კვიტაიშვილი... როგორც სერგო ფარაჯანოვი, ისე იყო...

– კიდევ, რომელ ჩვენს მხატვარს გამოარჩევთ, ბატონო ზურაბ?

– ეკატერინე ბაღდავაძეს... ელენე ახვლედიანი დიდებულია... ერთხელ მკითხეს, ღმერთი გწამთო? ღმერთის განცდა უნდა გქონდეს!.. ღმერთი შენში უნდა იყოს!.. – და მოლბერტს უბრუნდება.

– საოცარი კაცია, – ამბობს შალვა კვინტრაძე, – სხვადასხვა ჯურის ხალხის შემკრები, მეგობრების დამხმარე... არ მერიდება ვთქვა, რომ მეც ბევრჯერ დამხმარებია... სულ არ ეტყობა, რომ 80 წლისაა. ერთი განახა, ყოველ დილით, ჩოგბურთის კორტზე რა დღეშია! ემზარ კვიტაიშვილი ამატებს: – ზურაბს მთელი სერია აქვს უმშვენიერესი პორტრეტებისა, ეს არის საოცარი ფერების ჰარმონია...ზურა, ყველა სიკეთესთან ერთად, გულუხვი კაცია, რაც მაგას ნახატები აქვს გაჩუქებული, მათი შეგროვება, ფაქტობრივად, შეუძლებელია... კიდევ რამდენიმე კაცი და პირმშვენიერი ქალბატონი გვემატება, ხალისობს სახელოსნო, ჭაბუკურად მასპინძლობს 80 წლის იუბილარი... ცოტა ხანში მე და ემზარი ბოდიშებით ვტოვებთ სახელოსნოს, სამშაბათის ნომერში მინდა დავბეჭდო-მეთქი, ვეუბნები მასპინძელს დამშვიდობისას. თუმცა, რა უნდა დავბეჭდო არ ვიცი, მე ხომ საუბარი ვერც მოვახერხე იუბილართან? მოვედი სახლში, დავჯექი საწერად და სანამ რამეს დავიწყებდი, ლექსის მუზა მოფრინდა და აი, ეს სტრიქონები მიკარნახა ზურაბ ნიჟარაძეზე:

**კი, ბატონო, ველასკესი,**
**კი, ბატონო, რენუარი,**
**თქვით, ისეთი რომელია**
**ჩვენი „პიკო" ქე რო არი?!**
**ვენაცვალე მე მის ფერებს,**
**მის ხილვებს და ფერად**
**სიზმრებს,**
**სამშობლოს მზე ურჩევნია**
**ყველა მოდას, ყველა „იზმებს!"**
**თუმცა მუდამ მოდაშია**
**და პალიტრას ვინ არ უქებს,**
**მეც დავლოცავ მის ნიჭსა და**
**ოთხმოცი წლის სიჭაბუკეს.**

მგონი, არა უშავს, ხომ?.. ხოლო რაც გადამხდა, ზემოთ ნახეთ....

**სურათებზე: საქართველოს სახალხო მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე; ჰაი, ჰაი, რომ შავ-თეთრ ფერში იკარგება ასე ბრწყინვალე ფერები „ევგილოზისტებისა".**



# ფერადი სიზმრები

## ორი დღე იუბილარ ფერმწერთან არეულ-დარეული, მტვრის ბუღში გახვეული სახელოსნოს და ფეხდგომელა შესმული სადღეგრძელოების ფონზე

ვილენ მარდალეიშვილის საავტორო გვერდი

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური



**XX ეროვნული ჩემპიონატი. XIV ტური.** „სიონი“ — „ბორჯომი“ 2:1. **გოლები:** ქემოკლიძე, კოშკაძე; კიკნაძე. „ვიტ ჯორჯია“ — „ცხინვალი“ 2:0. **გოლები:** ხაჭიპერაძე (საკუთარ კარშიძ, ბერიაშვილი. „მესხეთი“ — „ზესტაფონი“ 0:0. „მგლები“ — „გაგრა“ 1:0. **გოლი:** რეხვიაშვილი. „დინამო“ — „ლოკომოტივი“ 2:1. **გოლები:** ვაწაძე, სპასოევიჩი; ცქიტიშვილი. ისვენებდა „ოლიმპი“.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ვიტ ჯორჯია“ — 30, „დინამო“ — 28, „ზესტაფონი“ — 24, „ოლიმპი“, „სიონი“, „ლოკომოტივი“ — 18-18, „მგლები“ — 17, „მესხეთი“ — 16, „ბორჯომი“, „გაგრა“ — 11-11, „ცხინვალი“ — 3 ქულა.

**ბომბარდირი:** ვაწაძე („დინამო“ძ — 8 გოლი.



**შემდეგი ტური:** „ოლიმპი“ — „დინამო“, „გაგრა“ — „ბორჯომი“, „ცხინვალი“ — „მგლები“ (13 დეკემბერიძ, „ლოკომოტივი“ — „ვიტ ჯორჯია“, „მესხეთი“ — „სიონი“ (14 დეკემბერიძ. ისვენებს „ზესტაფონი“.

* * *

**იტალია. XV ტური.** „ლაციო“ — „ინტერი“ 0:3, „ლეჩე“ — „იუვენტუსი“ 1:2, „მილანი“ — „კატანია“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ინტერი“ — 36, „იუვენტუსი“, „მილანი“ — 30-30 ქულა.

**ბომბარდირი:** მილიტო („ჯენოა“ძ — 12 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ინტერი“ — „კიევო“, „იუვენტუსი“ — „მილანი“.

**ესპანეთი. XIV ტური.** „ბარსელონა“ — „ვალენსია“ 4:0, „ვილიარეალი“ — „ხეტაფე“ 3:3, „რეალი“ — „სევილია“ 3:4.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა“ — 35, „ვილიარეალი“ — 29, „ვალენსია“, „სევილია“ — 27-27 ქულა.

**ბომბარდირი:** ეტოო („ბარსელონა“ძ — 14 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ბარსელონა“ — „რეალი“, „სევილია“ — „ვილიარეალი“, „ვალენსია“ — „ესპანიოლი“.

**ინგლისი. XVI ტური.** „ბლექბერნი“ — „ლივერპული“ 1:3, „ბოლტონი“ — „ჩელსი“ 0:2, „მანჩესტერი“ — „სანდერლენდი“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლივერპული“ — 37, „ჩელსი“ — 36, „მანჩესტერი“ — 31 ქულა.

**ბომბარდირი:** ანელკა („ჩელსი“ძ — 13 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ლივერპული“ — „ჰალი“, „ჩელსი“ — „ვესტ ჰემი“, „ტოტენჰემი“ — „მანჩესტერი“.

**გერმანია. XVI ტური.** „ბაიერნი“ — „ჰოფენჰაიმი“ 2:1, „გლადბახი“ — „ლევერკუზენი“ 1:3.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ჰოფენჰაიმი“, „ბაიერნი“ — 34-34, „ლევერკუზენი“ — 31 ქულა.

**ბომბარდირი:** იბიშევიჩი („ჰოფენჰაიმი“ძ — 18 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ჰოფენჰაიმი“ — „შალკე“, „შტუტგარტი“ — „ბაიერნი“, „ლევერკუზენი“ — „კოტბუსი“.

**საფრანგეთი. XVII ტური.** „ნანტი“ — „ლიონი“ 2:1, „მარსელი“ — „ნიცა“ 2:1, „კაენი“ — „რენი“ 1:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლიონი“ — 34, „მარსელი“ — 31, „რენი“ — 30 ქულა.

რაგბი

# ათივე მატჩი წააგეს

**საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები (სიმონ მაისურაძე, ჯაბა ბრეგვაძე, ბიძინა სამხარაძე, გიორგი შკინინი, დავით ჩიტიძე, ლაშა ხმალაძე, სანდრო ნიჟარაძე, ვიქტორ კოლელიშვილი, ბექა წიკლაური, ალექსანდრე თოდუა, ალექსანდრე ტუჩაშვილი, გოდერძი ჯოგლიძეძ მსოფლიო თასისთვის ემზადება. ეს შეჯიბრება გაისად დუბაიში გაიმართება.** ამჯერად ბორჯღალოსნებმა მსოფლიოს სერიის ეტაპებზე იასპარეზეს. ნოემბრის მიწურულს დუბაიში ჩვენებმა ხუთივე შეხვედრა წააგეს. გასულ უქმეებზე კი ჯორჯის (სამხრეთ აფრიკაძ ტურნირზეც ყველა ორთაბრძოლა დათმეს, მათ შორის — საფრანგეთთან 15:33, შოტლანდიასთან 12:17. ჯორჯის ეტაპის (დუბაისაცძ ფინალში სამხრეთაფრიკელებმა ახალზელანდიელებს სძლიეს — 12:7.



კალათბურთი

# ზოგი მიდის, ზოგიც ბრუნდება

**XVIII ეროვნული ჩემპიონატის განვლილი კვირა დიდი კალათბურთიდან რუსთავის „ენერჯი ინვესტის“ თილისმის რამაზ გოგოზერიშვილის გაცილებითა და სუპერლიგაში ძველი გვარდიის კიდევ ერთი ღირსეული წარმომადგენლის კახა შენგელიას გამოჩენით იყო გამორჩეული, რომელიც სარბიელს სამწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა. 9 ქულა, 12 მოხსნა და 7 შედეგიანი გადაცემა — ასეთი გახლავთ შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდის ახალწვეულის სასტარტო მონაგარი, რაც, დაგვეთანხმებით, ურიგო მაჩვენებელი სრულიადაც არაა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ძალოვანთა მეტოქის — „ავიამშენის“ ჭეშმარიტ ძალას.**



**VIII ტურის შეხვედრათა შედეგები:** ენერჯი ინვესტი — მაქაბი 103:58 (24:5, 30:14, 26:21, 23:18ძ. **ყველაზე შედეგიანები:** დიდია — 30, ბაბიაშვილი — 13, მაჭავარიანი — 12 ქულა (ენერჯი ინვესტიძ; ჯანგველაძე — 23, ახმედიანი — 10 ქულა (მაქაბიძ. ბათუმი — დინამო — 78-68 (18:19, 16:21, 22:12, 22:16ძ. **ყველაზე შედეგიანები:** იმნაძე 28, ჩხატარაშვილი — 21, კეშელავა — 13 ქულა (ბათუმიძ; ხიზანიშვილი — 18, სორდია — 14, ლაფანაშვილი — 13, ქადარია — 10 ქულა (დინამოძ. ნტდ თბილისი — სსსუ 84:73 (22:16, 22:19, 14:15, 26:23ძ. **ყველაზე შედეგიანები:** ნიფტალიევი — 16, ბახშიევი — 15, ფაშაევი — 11, კოღუაშვილი — 10 ქულა (ნტდ თბილისიძ; მიხეილ ბერიშვილი — 28, წიწვიძე — 11, ათანელიშვილი, მარხვაშვილი — 10-10 ქულა (სსსუძ. ავიამშენი — შსს 81:64 (27:12, 17:9, 26:21, 11:22ძ. **ყველაზე შედეგიანები:** მათიაშვილი — 17, ნაცვლიშვილი — 12, ზერაია — 11 ქულა (ავიამშენიძ; პატარაია — 20, გოლეთიანი — 13 ქულა (შსსძ. ისვენებდა თსუ.

**სატურნირო მდგომარეობა:** ენერჯი ინვესტი — 7, ნტდ — თბილისი — 6, ავიამშენი, სსსუ — 5-5, თსუ — 4, ბათუმი — 3, დინამო, შსს — 1-1, მაქაბი — 0 მოგება.

**I წრის ფინიშზე ითამაშებენ:** ბათუმი — ენერჯი ინვესტი (12 დეკემბერიძ, დინამო — შსს, ნტდ თბილისი — თსუ, სსსუ — ავიამშენი. ისვენებს მაქაბი.

ჭადრაკი

# ჯავახიშვილი პირველია

**ხორვატეთში დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ლელა ჯავახიშვილი, სალომე მელია და სოფიო გვეტაძე მონაწილეობდნენ. ბოლო ტურში წილისყრამ ჯავახიშვილი და გვეტაძე შეახვედრა ერთმანეთს.** ისინი მალევე დაზავდნენ, მოაგროვეს 6,5-6,5 ქულა, რაც ქალთა შორის პირველი და მესამე ადგილების (ცხადია, კოეფიციენტის გათვალისწინებითძ დასაკავებლად საკმარისი აღმოჩნდა. მეორე ადგილზე ინდოელი ტანია საჩდევი გავიდა. რაც შეეხება მელიას, ბოლო ტურში იგი მასპინძელ ანდე სარიჩთან დამარცხდა და საბოლოოდ 26-ე ადგილი ხვდა.

ინტერნეტიდან

## ფედერერი — ფსიქოლოგი?



**ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი უგერგილოდ დაიწყო შვეიცარიის ნაკრებმა. მან მოულოდნელად წააგო პირველი მატჩი ლუქსემბურგის ნაკრებთან, რამაც შვეიცარიელი გულშემატკივრების დიდი გულისწყრომა გამოიწვია ნაკრების მწვრთნელის, გერმანელი ოტმარ ჰიტცფელდის მიმართ, თანაც გახმაურდა, რომ ფეხბურთელები პანიკამ მოიცვა, სულიერად დაეცნენ.**

რასაკვირველია, მწვრთნელმა დაიწყო ასეთი მდგომარეობიდან გამოსავალი გზების ძებნა. თურმე დახმარებისთვის მან მიმართა იმ დროისთვის მსოფლიოს პირველ ჩოგანოსანს, შვეიცარიელსავე როჯერ ფედერერს. სახელგანთქმულ ჩოგბურთელს, ფეხბურთზე უსაზღვროდ რომაა შეყვარებული, უარი არ უთქვამს. მომდევნო თამაშის წინ გასახდელში ფეხბურთელებთან გულახდილი საუბრით და საკუთარი გამოცდილების მაგალითებით დააინტერესა ისინი, რაც როგორც გამოირკვა, ძალზე დაეხმარა თანამემამულეთა ნაკრებს კრიზისიდან გამოსვლაში.

„მე გამაოცა როჯერის ტალანტმა ადამიანებთან ურთიერთობისას, — განაცხადა ჰიტცფელდმა, — მას თავი ისე ეჭირა, როგორც 30-წლიანი სტაჟის ფსიქოლოგს“.

## „ოქროს ბიჭუნა“ მიტყიპეს



**წონით კატეგორიების მიუხედავად მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივემ ბენი პაკიაომ გუშინწინ ლას-ვეგასში დიდი უპირატესობით დაამარცხა 6 წონით კატეგორიაში ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ოსკარ დე ლა ჰოია, ამჯერად 66,7 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში რომ იბრძოდა, ორი კატეგორიით მაღლა, ვიდრე თავის ბოლო ბრძოლაში.**

ორთაბრძოლა პრაქტიკულად „ცალ კარში“ გამოდგა. ოსკარი ვერც კი ასწრებდა ფილიპინელის ელვისებური დარტყმების მოგერიებას და მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდში მიაღწია წარმატებას.

მეშვიდე და მერვე რაუნდებში დე ლა ჰოიამ უბრალოდ „ჭამა“ მეტოქის აქცენტირებული დარტყმები, მარცხენა თვალი რომ დააჩუჭვინა, მეცხრე რაუნდის დაწყების წინ კი სამწუთიანი შესვენების დროს, მისმა სეკუნდანტებმა მიიჩნიეს, რომ ბრძოლას გაგრძელება აღარ ღირდა.

## დიდი გამარჯვება „მოკლე წყალზე“



**ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარებით დაამთავრა პარიზში გამართულ შეჯიბრებაზე 25-მეტრიან აუზში 50-მეტრზე ბატერფლაით ასპარეზობა ფრანგმა ამარი ლევომ — 22,29 წამი.**

წინა რეკორდი — 22,50, ეკუთვნოდა ავსტრალიელ ბეტი ჯოკოვიჩს.

## ოჯახი და ბავშვები — პირველ ადგილზე

**ისევ აალაპარაკა ქვეყანა ცნობილმა ამერიკელმა მსახიობმა და მოდელმა ჯინა ლი ნოლინმა: 37 წლის ლამაზმანს ქალიშვილი შეეძინა.**

ახალშობილის სტელა მონრო ჰალსის მამაა ჰოკეისტი კეილ ჰალსი. „დედაც და ბავშვიც სრულიად ჯანმრთელნი არიან, — განაცხადა მსახიობის ახლობელმა, — მთელი ოჯახი გახარებულია პატარის დაბადებით“.



ამ წყვილს 2004 წელს რომ დაქორწინდნენ, ახლა უკვე ორი შვილი ჰყავს — პირველი, ბიჭი 2006 წელს დაიბადა. თუმცა ჯინას ჰყავს კიდევ ერთი, 11 წლის ქალიშვილი სპენსერი, პირველი ქმრიდან.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჰოკეისტი ბედნიერია ცოლითაც და შვილებითაც. მისი თქმით, ოჯახი და ბავშვები ახლა მისთვის პირველ ადგილზეა, რაც შეეხება კარიერაში წარმატებებს, ის ახლა ნაკლებად აღელვებს მას.

მეცნიერება

# პირველად აკადემიის ცხოვრებაში



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს ბოლო სხდომაზე სამეცნიერო განყოფილებათა აკადემიკოს-მდივნებმა წარმოადგინეს ანგარიშები 2007 წლის (ანუ შარშანდელი წლისძ საუკეთესო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების გამოვლენის შესახებ.**

აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა განყოფილებათა სათანადო გადაწყვეტილებები და გამარჯვებულად ჩათვალა: მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებაში – **ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი;** დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებაში – **მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი;** გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილებაში – **კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი;** ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილებაში – **იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი;** ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებაში – **სერგი დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი;** ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილებაში – **ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი;** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილებაში – **მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი;** საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში – **სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი;** ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში – **შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.**

ყოველ განყოფილებაში გამარჯვებული ინსტიტუტის გამოვლენისას მთავარი მოთხოვნა პრაქტიკულად იყო ის, თუ როგორი მეცნიერული „მოსავალი" მოიწია მისმა კოლექტივმა გასული წლის სიგრძეზე. აღსანიშნავია, რომ ამგვარი კონკურსები პირველად მოეწყო სმეა-ის ისტორიაში. აკადემიური საბჭოს დადგენილება ეცნობება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და, რა თქმა უნდა, თვით წარმატებულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, რომლებსაც დაწესებული ჯილდოები გადაეცემათ.

აკადემიურმა საბჭომ აკადემიკოს ირაკლი აბაშიძის სახელობის ქართული ენციკლოპედიის მთავარ რედაქტორად დანიშნა პოლიტოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ აბაშიძე.

შეიქმნა სმეა-ის სამეცნიერო განყოფილებათა დარგობრივი კომისიები, დამტკიცდნენ მათი თავმჯდომარეები, განყოფილებათა ბიუროების შემადგენლობები და განყოფილებათა სწავლული მდივნები.

**თამაზ ებანოიძე**

ინფორმაცია

## აფხაზეთს სვერდლოვსკელები ეწვივნენ

**გუშინ სეპარატისტულ აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის სვერდლოვსკის ოლქიდან დელეგაცია გაემგზავრა. ვიზიტი სამდღიანია, რომლის დროსაც, გავრცელებული ინფორმაციით, რუსი სტუმრები აფხაზეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებაზე იმსჯელებენ.**

**სვერდლოვსკის დელეგაციის შემადგენლობაში არიან საერთაშორისო და საგარეო ურთიერთობების რეგიონალური სამინისტროს წარმომადგენლები, ასევე ურალის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის სპეციალისტები. აღსანიშნავია, რომ ამ უნივერსიტეტს სეპარატისტულ აფხაზეთში ფილიალი აქვს გახსნილი და იგი მრეწველობისა და სამოქალაქო მშენებლობის სპეცილისტებს ამზადებს.**

## დააკავეს რუსეთისა და საქართველოს მოქალაქეები

**მესაზღვრეებმა „სარფში" რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს მოქალაქეები გაყალბებული დოკუმენტებით, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტებზე დააკავეს.**

**საკონტროლო-გამტარ პუნქტზე „სარფი" მესაზღვრეებმა გაყალბებული პასპორტებით (შენგენის ყალბი ვიზები) ქვეყანაში შემოსვლისას საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს.**

**რუსეთის ფედერაციის მოქალაქე მესაზღვრეებმა, ასევე, საქართველოში შემოსვლისას გამოავლინეს. მას პასპორტში „ნიჟნი ზარამაგის გავლით" სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის თარიღ-დამღები აღმოაჩნდა.**

ინტერპრესნიუსი

მრგვალი მაგიდა

# კარგი ტრადიცია დამკვიდრდა

**დღევანდელი საქართველოსთვის აქტუალურ თემაზე „საქართველო – ნატო" ორჯერ გამართული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შედეგად შექმნილი გამოცდილებისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული უშიშროების გეოსტრატეგიული და სამხედრო-პოლიტიკური კვლევების აკადემია (რექტორი – გენერალ-ლეიტენანტი იური ნებიერიძეძ, სამხედრო მეცნიერების აკადემიასთან ერთად, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და ნატოში ინტეგრაციის მიზნით, ყოველთვიურად ატარებს „მრგვალ მაგიდას", რომელიც მრავალეროვანი სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობების შესანიშნავი მაგალითია.**



სამხედრო მეცნიერებთან მუშაობის მეთოდებს შორის სიახლეების ძებნისა და დანერგვის მიზნით პირველი ღონისძიება თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა.

მეორე – 29 ნოემბერს, მორიგი, მესამე შეხვედრა კი 2009 წლის 1 თებერვალს დავგეგმეთ.

„მრგვალი მაგიდის" მიზანია, საბოლოოდ დაადგინოს, ვისთან სჯობს თანამშრომლობა – აშშ-თან თუ რუსეთთან? იქნებ – ნეიტრალიტეტი? ჭეშმარიტება ხომ კამათში და აზრთა ურთიერთგაზიარება-შეჯერებაში იბადება. მეცნიერულად ყოველმხრივ დასაბუთებული ვარიანტები, ანუ მოსალოდნელი ისტორიული, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური შედეგები გაეცნობა სამეცნიერო აკადემიების წევრებს და, საერთოდ, საქართველოს მოსახლეობას, მოხსენდება ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურ ხელისუფლებას.

**გივი იასეშვილი,**

**საქართველოს სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი**

განუკითხაობა

***სიღნაღის პროკურატურამ ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმის გამოძიება ოფიციალურად შეწყვიტა. რეგიონში მოქმედი არასამთავრობო სექტორი იმთავითვე ირწმუნებოდა, რომ პოლიციის მაღალჩინოსანს, რომელმაც მოქალაქე დააინვალიდა, პროკურატურა მფარველობს. უფლებადამცველთა ვარაუდები ახლახან კიდევ ერთხელ დადასტურდა, როცა სიღნაღის რაიონული პროკურორის მოადგილემ იოსებ გულოშვილმა მოქალაქე გელა კუტიბაშვილის მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყვიტა.***

# მთვრალმა პოლიციელებმა ადამიანი დაასახიჩრეს, პასუხს კი არ აგებინებენ

ინციდენტი სიღნაღის რაიონის დაბა წნორში 2008 წლის 1 მარტს მოხდა. საღამოს გზაზე მიმავალ მიკროავტობუსს საპირისპირო მხრიდან მოძრავმა ავტომანქანამ მაშუქები აუნთო. მიკროავტობუსი, რომელსაც სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოში მცხოვრები გელა კუტიბაშვილი მართავდა, არ გაჩერდა, რის გამოც უცნობი მანქანა მას გამოედევნა. რამდენიმე წუთის შემდეგ ბენზინგასამართ სადგურზე შეჩერებულ კუტიბაშვილს შორიახლოს გაჩერებული მანქანიდან დაუძახეს და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა მოსთხოვეს.

**გელა კუტიბაშვილი: „მანქანასთან მივედი და ვიკითხე, ვინ იყვნენ და ჩემს დოკუმენტებს რატომ ითხოვდნენ. მძღოლის გვერდით მჯდომმა პირმა კითხვა იუკადრისა და ხელიდან საფულე გამომგლიჯა, სადაც საბუთების გარდა ფულიც მქონდა. მე მას საფულის დაბრუნება მოვთხოვე. ვუთხარი, რომ თუ საბუთები აინტერესებდა, საფულიდან ფულს ამოვიღებდი და ისე მივაწვდიდი. რამდენიმე წუთში უცნობმა გახსნილი საფულე მომაწოდა და მკითხა, აბა, ფული სად არისო და თან იცინოდა. მალევე უცენზურო სიტყვებით გინება დამიწყო, რასაც მეც გინებით ვუპასუხე. ამ დროს, მოულოდნელად, მანქანის ძარაზე თავი დამარტყმევინა. ოთხი კბილი მაშინვე ამომვარდა. რამდენიმე კი ტუჩის არესთან, ხორცში გაიჭედა. სახეც გამისკდა და ყბის ძვალი გამიტყდა".**

დაუმორჩილებლობის მიზეზით პოლიციის თანამშრომლებმა კუტიბაშვილი დააკავეს. სიღნაღის რაიონული სასამართლოს მოსამართლე თამაზ ჯალიაშვილმა ის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო და 7 დღე-ღამით პატიმრობა შეუფარდა.

**„მოსამართლე თამაზ ჯალიაშვილთან რომ მიმიყვანეს, თავპირიდან სისხლი მდიოდა. სახეზე კბილები მქონდა მიჭყლეტილი და არ უკითხავს ამ მდგომარეობაში როგორ აღმოვჩნდი. პოლიციელების ცრუ ჩვენება ირწმუნა, თითქოს დაზიანებები წაქცევის შედეგად მივიღე და პატიმრობა შემიფარდა",** – ამბობს კუტიბაშვილი.

ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, კუტიბაშვილი, რომელიც გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას საჭიროებდა, სიღნაღის რაიონული სასამართლოდან პირდაპირ შს სიღნაღის რაიონული სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს.

**„საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა კბილები ყოველგვარი გაყუჩების გარეშე ამომილო. სათანადო სამედიცინო დახმარება რომ არ გამიწია, ჭრილობაში ინფექცია შეიჭრა და ჩირქი მდის. დაზიანებების მიღებიდან მხოლოდ 18 საათის შემდეგ გადამიყვანეს წნორის საავადმყოფოში, სადაც ჩემი ხარჯით გავდიოდი მკურნალობას. მთლიანად დავკარგე ათი კბილი, ვერ ვილებ საკვებს და წყალსაც დამხმარე მილის საშუალებით ვსვამ",** – ამბობს კუტიბაშვილი, რომელსაც მკურნალობის სრული კურსის ჩასატარებლად, სამედიცინო დაწესებულებების მიერ გაცემული დოკუმენტების მიხედვით, 21 207 ლარი სჭირდება.

ოფიციალური ინფორმაციით, გელა კუტიბაშვილის სხეულის დაზიანების ფაქტზე წინასწარი გამოძიება სიღნაღის რაიონულ პროკურატურაში იმავე დღეს დაიწყო. როგორც პროკურატურის დადგენილებაშია ნათქვამი, გამოძიების დაწყებას საფუძვლად პროკურატურის პროკურორის დავით დუღაშვილის მოხსენებითი ბარათი დაედო, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ სიღნაღის შს სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორში ნანახი იქნა დაკავებული, სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოში მცხოვრები გელა კუტიბაშვილი, რომელსაც სახის არეში დაზიანებები აღენიშნებოდა. კუტიბაშვილის განმარტებით, დაზიანებები პოლიციის თანამშრომლებმა მიაყენეს.

წინასწარი გამოძიების დროს სიღნაღის პროკურატურამ დაზარალებულის და მისი ადვოკატის არც ერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

პროკურატურამ დაზარალებული არც სამოქალაქო მოსარჩელედ ცნო. ამ და სხვა ფაქტორების გამო გელა კუტიბაშვილმა და მისმა ადვოკატმა საჩივრით საქართველოს გენერალურ პროკურატურას მიმართეს და და სისხლის სამართლის საქმის სრულყოფილი და ობიექტური გამოძიებისათვის, საქმის გათხოვა მოითხოვეს.

2008 წლის 27 ივნისს დაზარალებულს და მის წარმომადგენელს საქართველოს გენერალური პროკურატურიდან აცნობეს, რომ საჩივარი, სადაც ისინი გამოძიების მიმდინარეობის ტენდენციურობაზე და იმ ფაქტობრივი გარემოებების დაუდგენლობაზე მიუთითებენ, რომელსაც სინამდვილეში ჰქონდა ადგილი, რეაგირებისათვის კახეთის საოლქო პროკურატურას გადაეგზავნა. 19 ივლისს კახეთის საოლქო პროკურორის მოადგილე ვაჟა მაღრაძე გელა კუტიბაშვილს და მის ადვოკატს ატყობინებს, რომ მათი საჩივრის საფუძველზე შეისწავლეს შს სიღნაღის რაიონული სამმართველოს წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმე და დაასკვნეს, რომ ჩატარებულია სრულყოფილი, ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიება.

ახლახან გამოცემული დადგენილებით, სიღნაღის რაიონულმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის მოტივით შეწყვიტა.

კუტიბაშვილის ადვოკატი პროკურატურის დადგენილების სასამართლოში გასაჩივრებას გეგმავს, თუმცა ამბობს, რომ საჩივრის დაკმაყოფილების იმედი არ აქვს. ადვოკატის განცხადებით, საქართველოში სავალდებულო პროცედურების ამოწურვის შემდეგ, საქმეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრებენ...

**ილია მარტყოფლიშვილი**

## ◎ წიგნი

# გამოკვლევა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის შესახებ

**ამერიკის შეერთებულ შტატებთან ქართული საზოგადოების ფართო ფენების გაცნობა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, ეროვნული ხელისუფლების ხანმოკლე მმართველობის პერიოდში დაიწყო. საბჭოთა კავშირში მყოფი, მაგრამ დამოუკიდებლობაგამოცხადებული საქართველო საინტერესო გახდა ამერიკის პოლიტიკური წრეებისათვის.** 1991 წელს საქართველოს აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ნიქსონი, ხოლო აგვისტო-სექტემბერში კონგრესის დელეგაციები სტუმრობდნენ. აშშ იმ მოწინავე სახელმწიფოთა რიცხვში იყო, რომელთაც 1991 წლის დეკემბერში, საბჭოთა კავშირის დაშლიდან რამდენიმე დღეში, მიუხედავად თბილისში მიმდინარე ომისა, აღიარეს საქართველოს დამოუკიდებლობა. 1992 წელს აღიარებას ამერიკამ საქართველოში დიპლომატიური წარმომადგენლობის გახსნაც მოაყოლა.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა ჩამოყალიბებამ გარკვეული საშუალება მისცა საქართველოს მოსახლეობას, ახლოს გაცნობოდა მანამდე მხატვრული ლიტერატურიდან ცნობილ ქვეყანას. საერთაშორისო საკითხებისადმი გაუთვითცნობიერებლობამ, მსოფლიო პოლიტიკისადმი მიამიტურმა მიდგომამ, დიდ სახელმწიფოთა ინტერესებში ჩაუხედაობამ შეერთებული შტატებისადმი დამოკიდებულებას ერთობ რომანტიკული, პოლიტიკისათვის მიუღებელი სახე შესძინა. ყოფილი „დიდი ძმის“ ფონზე ეკონომიკურად წელგამართული ამერიკა ერთობ მიმზიდველი ჩანდა.

დღეს სხვა სურათია. საქართველოში იშვიათია ადამიანი, ვინც ისევე აღფრთოვანებით უზერდეს შორეულ ამერიკას, როგორც ეს გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში იყო. ქართული საზოგადოება განსაკუთრებით დააფიქრა ამერიკელ მოხელეთა არადემოკრატიულმა მიდგომამ 2008 წელს საქართველოში ჩატარებული არჩევნებისადმი. ქართულ საზოგადოებაში




გაჩნდა ეჭვი სუპერსახელმწიფოს გულწრფელობაში. გაჩნდა კითხვაც — არის თუ არა ამერიკა ის ნანატრი, იდეალური ქვეყანა, ქართველთა წარმოდგენაში ამერიკელ პროზაიკოსთა ან ჰოლივუდის წყალობით რომ შეიქმნა?

ამ კითხვაზე პასუხი არცთუ იოლია, თუმცა უნდა ითქვას, რომ რიგითი ამერიკელისა და პოლიტიკური წრეების გაიგივება ვერ იქნება კითხვის პასუხი.

აშშ-ის პოლიტიკა, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ამ ქვეყნის მსოფლიოს უცილობელ ლიდერად გადაქცევას ემსახურება, რისთვისაც ძალას, ფინანსებს, ტყუილმართალს არ იშურებს. პოლიტიკური ამერიკის ნამდვილი მიზნებისა და სულისკვეთების შესახებ ქართულმა საზოგადოებამ ცოტა რამ იცის. ცოდნის გაღრმავებას უდავოდ შეუწყობს ხელს თბილისის წიგნის მაღაზიებში („პარნასის“ ქსელი, „წიგნის სახლი“ და სხვ.) გამოჩენილი, პოლიტოლოგიის დოქტორის გულბაათ რცხილაძის მეტად საინტერესო წიგნი — „აშშ-ის საგარეო პოლიტიკის საფუძვლები ამერიკელი და ევროპელი ავტორების მიხედვით — დასკვნები საქართველოსათვის“. ამ წიგნში თავმოყრილია ცნობილი ამერიკელი და ევროპელი ექსპერტების ბოლო 5 წლის მანძილზე გამოსული ნაშრომების დაწვრილებითი მიმოხილვა და თარგმანები, რომლებიც შეეხება შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ფორმირებისა და პრიორიტეტების აქტუალურ საკითხებს. რცხილაძის ნაშრომში წარმოდგენილ მასალათა უდიდესი ნაწილი რუსულ ენაზეც არ მოიპოვება, არა თუ ქართულად. წიგნი დიდ სამსახურს გაუწევს პოლიტოლოგიაში, საგარეო ურთიერთობებში, ჟურნალისტიკაში მომუშავე სპეციალისტებს, სტუდენტებს, ყველას, ვინც პოლიტიკით არის დაინტერესებული.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
*პოლიტოლოგი.*

---

**2008 წლის 9 დეკემბერს 13 საათზე წყალტუბოს რაიონ სოფელ ცხუნკურში ჩატარდება აუქციონი, რომელზეც გასაყიდად გამოტანილი იქნება შპს „ცხუნკური 97“-ის გაკოტრების მასაში შესული ქონება.**

**ქონების ჩამონათვალი:**

1. შენობა-ნაგებობები საერთო ფართით 206 კვ. მ. ამორტიზებული, ავარიულ მდგომარეობაში.
2. რკინის ჯართი — 3,5 ტ.
3. რკინის სასწორი — 5 ცალი
4. რკინის ორფრთიანი ჭიშკარი — 2 ცალი
5. ელექტროტრანსფორმატორი — 160 კვტ.

გასაყიდი ქონების ღირებულებაა 101 365,11 ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს. მყიდველი ვალდებულია ქონების გასაყიდი ღირებულება დაფაროს აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში საქართველოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგ. №33050001, მფო 220101757, კოდი 204856263.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელეფონზე: 893-54-70-72.**

**გაკოტრების მმართველი**

---

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**საქართველოს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით და ამავე კანონის 29-ე მუხლით გათვალისწინებული „კრედიტორთა მოთხოვნების შემწეობის“ და მე-40 მუხლით გათვალისწინებული „კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობის“ დადგენის მიზნით, 2008 წლის 12 დეკემბერს 16 საათზე დანიშნულია კავშირი (ასოციაციაძ „საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის“ (სესბძ კრედიტორთა საერთო კრება მისამართზე: ქ: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6, სხდომის დარბაზი №23.**

*სესბ-ის გაკოტრების მმართველი*
**ნ. ბაკაშვილი**

---

**შპს „ტექნო ინვესტის“ ლიკვიდატორი ზურაბ ნებიერიძე გაცნობებთ, რომ შპს „ტექნო ინვესტის“ დამფუძნებელმა მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ, რაც დააფიქსირა მ/წლის 31 ოქტომბრის შესაბამისი ოქმით.**

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესებულ პირებსა და შპს „ტექნო ინვესტის“ კრედიტორებს (ასეთების არსებობის შემთხვევაშიძ გთხოვთ, მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. №14.**

**შპს „ტექნო ინვესტის“ ლიკვიდატორი ზ. ნებიერიძე, ტელეფონი 899-569-092.**

---

**„ქართული კომპანია“ გიწვევთ სათანამშრომლოდ მენეჯერის — სარეკლამო აგენტის ვაკანსიებზე საქმის ადგილზე შესწავლით თავისუფალი სამუშაო გრაფიკით 25-დან 60 წლის ასაკის პირებს.**

**893 66-02-26, 39-30-05.**

---

## გაცხსენება

# ზეზვა ღუღუნიშვილი



**ორმოცი დღე გასრულდა, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ, რაც შენ საუკუნო სასუფეველს მიაშურე.**

**ჩვენო ზეზვა, ჩვენო სიყრმის მეგობარო, წახვედი და წაიღე ჩვენი სიცოცხლის ნაწილი. შენს წასვლასთან ერთად ჩვენთვის, ჩვენი კლასელებისთვის, ალბათ დიდი და ძალიან მნიშვნელოვანი რამ დამთავრდა.**

**დამთავრდა ჩვენი 60-წლიანი მეგობრობის ულამაზესი პერიოდი, მოგვაკლდა შენი ღიმილი, სითბო, იუმორი, თანადგომა, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე გასცემდი.**

**გულდასაწყვეტია შენი ნაადრევი წასვლა ამ ქვეყნიდან, მაგრამ შენთან გატარებული დღეები მარადჟამს დაუვიწყარ, ტკბილ მოგონებად დარჩება ყველა ჩვენგანის გულში.**

**ღმერთმა ნათელში გამყოფოს ძმაო, ამინ!**

**ბონდო მაღლაფერიძე, გურამ ახრახაძე, გურამ კიკნაძე, ჯემალ კეთილაძე, დუდა შიშნიაშვილი, თამაზ დაუშვილი, ჯემალ ქარაზანაშვილი, თემურ სებისკვერაძე, ვაჟა მაცაბერიძე, თამაზ ბაგიშვილი**

---



**მეუღლე გულიკო საყვარელიძე, შვილი ვახტანგი, ცოლისდა დარეჯან საყვარელიძე, რძლები ლიკა მამალაძე, ნინო დოიშვილი, სიძე ზიგმუნდ თურმანიძე, შვილიშვილები ანიკა, მარიამი, ქეთევანი, სანდრო, გიორგი, დაჩი მუსელიანები, დისწულები მადონა, დათო თურმანიძეები, მძახლები ცისმარა, რამაზ მამალაძეები, უახლოესი ნათესავები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ალექსანდრე (საშა) მუსელიანი**

**პანაშვიდი 8 XII, 16 სთ. გამოსვენება 9 XII, 14 სთ. მის. ქობულეთის ქ. 3/15.**

---

**საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ქალბატონი**

**ლეილა ღამბაშიძე**

**და თანაუგრძნობს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

**მერაბ ბერძენიშვილი**

---

**შპს „მგ კომპანია“ თანაუგრძნობს ბატონ ბორის იოსავას**

**მამის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**გოდერძი ბუკია ოჯახით თანაუგრძნობს ბატონ ბორის იოსავას**

**მამის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**ი. ფაღავას სახელობის პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მამუკა მაისურაძეს მამის**

**იოსებ მაისურაძის**

**გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**დალი ჭილაია, დული გველესიანი, დოდო ვახვახიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაკურსელი, ახლო მეგობარი**

**ინგა ამაშუკელი**

**და თანაგრძნობის უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**ლევან მშვილდაძე, ზურაბ ეკიზაშვილი, გივი იმედაშვილი, ნოდარ უჯმაჯურიძე, გელა გასვიანი, გია ხვადაგიანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის თემურ პირმისაშვილის სიმამრის**

**ელგუჯა ნემსიწვერიძის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**შვილი ირმა ხახანაშვილი, შვილიშვილი ქეთა ლომსაძე, ძმისწულები აზა, გულიკო, შაკო ელიავები, რძლები მალვინა ლორია, ქეთევან ტყეშელაშვილი, ქეთინო გორგოშიძე, ნინო, კოტე ხახანაშვილები, მაკა თურმანიძე, მერი ლომსაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ქეთევან შალვას ასული ელიავა**

**პანაშვიდი 9, 10 XII, 16 სთ. გამოსვენება 11 XII, 14 სთ. მის: თბილისი, თამარაშვილის ქ. №10. (ვაკე-საბურთალოს გზაძ.**

---

# განცხადება

**2009 წლის 6 თებერვალს 13 საათზე, შპს „ლაგოდეხავტოგზას“ ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქალაქი ლაგოდეხი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქ. №4ძ გაიმართება შპს „ლაგოდეხავტოგზას“ ასფალტო-ბეტონის ქარხნის მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.**

შპს „ლაგოდეხავტოგზას“ მიმდინარე საქმიანობის სფეროა ასფალტ-ბეტონის წარმოება და საგზაო სამუშაოების შესრულება.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

● შპს „ლაგოდეხავტოგზას“ ადმინისტრაციულ შენობაში — ქალაქი ლაგოდეხი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქ. №4.

● სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამას“ ოფისში — ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. №9.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 2009 წლის 2 თებერვლის 18 საათამდე.

**შპს „ლაგოდეხავტოგზას“ დირექცია**

ინფორმაცია

## ინგრევა ეპისკოპოსის თორმეტსაუკუნოვანი სასახლე

**გურჯაანის რაიონის სოფელ ჭერემში მდებარე ეპისკოპოსის სასახლე, რომელიც მე-9 საუკუნით თარიღდება და უყურადღებობის გამო ნახევრად დანგრეულია, განადგურების პირასაა. ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან იტყობინებიან.**

ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით, ეპისკოპოსის სასახლე სასწრაფო რესტავრაციას საჭიროებს. ამას გურჯაანის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის სპეციალისტი თამაზ მარკოზაშვილიც ადასტურებს. როგორც მარკოზაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, ეპისკოპოსის სასახლე უმნიშვნელოვანესი არქიტექტურული ძეგლია. მეცნიერების აზრით, პირველი ეპისკოპოსი მეფე ვახტანგ გორგასალმა სწორედ ამ საეპისკოპოსო სასახლეში დასვა, სადაც მანამდე, მე-5 საუკუნიდან, სამნავიანი ბაზილიკა მდგარა.

## ნოდია პედაგოგიურ საქმიანობას უბრუნდება, გვარამიამ მინისტრობა შეიმშვენა

**განათლების სამინისტროს უკვე ნიკა გვარამია ხელმძღვანელობს.**

განათლებისა და მეცნიერების ახლად დანიშნული მინისტრი თანამშრომლებს პრემიერ-მინისტრმა გრიგოლ მგალობლიშვილმა წარუდგინა.

მგალობლიშვილის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ განათლების სამინისტრომ დაწყებული რეფორმები გააგრძელოს.

– ამ სამინისტრომ, ისევე როგორც დანარჩენმა უწყებებმა, უნდა შესრულონ მთავრობის 18-თვიანი პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებები, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ნიკა გვარამიას თქმით კი, სამინისტროში საკადრო ცვლილებები განხორციელდება.

– საჭიროების შემთხვევაში, კადრები შეიცვლება სამართლიანად. ყველა იმ ადამიანს კი, რომელიც თავის საქმის პროფესიონალია, სამსახური დაუფასდება, – განაცხადა გვარამიამ.

გია ნოდია სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას დაუბრუნდება და მუშაობას აკადემიურ წრეებში გააგრძელებს.

**ჯი-ეიჩ-ენი, ინტერპრესნიუსი**

# ძვირფასო მკითხველო!

# ჩვენს გაზეთზე ხელმოწერა გაიაფდა!



## თქვენი თანადგომისა გვჯერა

**ფინანსური და ზნეობრივი პრობლემებით სავსე საქართველოში გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“** შეინარჩუნა თავისი აკადემიური ტონი, პრინციპულობა და მიუკერძოებლობა, სითამამე და სიმართლე. ჩვენთვის არ არსებობს ყალბი ავტორიტეტები, ტაბუდადებული თემები, აკრძალული პრობლემები.

მკითხველთა აღიარებით **„საქართველოს რესპუბლიკა“** ყველაზე სანდო, დახვეწილი, კარგი ქართულით გამორჩეული, ტრადიციული, ჭეშმარიტად ეროვნული გაზეთია.

წლეულს, გაგანია ომის წინა დღეებში, **„საქართველოს რესპუბლიკას“** 90 (ოთხმოცდაათი) წელი შეუსრულდა!

რედაქციამ გადახედა თავის ფინანსურ შესაძლებლობებს და მოსახლეობის შეჭირვებული ყოფა-ცხოვრების გათვალისწინებით, გაძვირების ნაცვლად 2009 წლის იანვრიდან აიაფებს გაზეთზე ხელმოწერის ფასს. ამიერიდან „საქართველოს რესპუბლიკა“ ერთი თვით მხოლოდ 10 ლარი ეღირება!

**ჩვენო ერთგულო მკითხველო! – შეატყობინეთ ყველას გაზეთის გაიაფების ამბავი და გამოიწერეთ ყოველდღიური, ყველაზე გაწონასწორებული, ყველაზე სანდო, ყველაზე ეროვნული „საქართველოს რესპუბლიკა“!**

შეგახსენებთ იმ ორგანიზაციებს, სადაც გაზეთზე ხელმოწერა შეგიძლიათ: მაცნე – 37.47.49; 25.33.88; საქპრესა – 93.30.40; ექსპრესი – 93.66.78; უწყებანი – 93.64.72; ინფოსერვისი – 95.48.82; რუბიკონი – 96.45.69.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ აგრეთვე უშუალოდ რედაქციაში – კოსტავას ქ. №12. დაგვიკავშირდით ტელეფონებზე – 98.65.87, 899 79.76.79; 899 56.81.86.

**ბიზნესმენებს და რეკლამის ორგანიზატორებს შევახსენებთ, რომ ჩვენთან რეკლამა ყველაზე იაფი და მომგებიანია!**

გაიაფების შემდეგ გაზეთზე ხელმოწერა სამი თვით ღირს 30 ლარი, ექვსი თვით – 60 ლარი, ერთი წლით – 120 ლარი.

ჩვენი ინდექსია – 66434

**თქვენი თანადგომა ჩვენი გაზეთის აღორძინების ერთადერთი გზაა.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ, გაზეთი, რომელსაც ჩვენი სამშობლოს სახელი ჰქვია!**

სულაც არ გვეხუმრება

## კადრობანა

სადმე თუა – ვიტყვი მართალს – ერი, ჩვენებრ ნებიერი:
წლის სიგრძეზე ყოველ კვარტალს ჰყავს თავისი პრემიერი...

* * *

ჰელსინკიდან ბრიუსელში, მიმფრინავო ქალო,
წყენა, გზად რომ დაგაწიეს, როგორ გაგიქარვო...

* * *

ეყოს ქართველს, რაც რუსთაგან ასე მწარედ უთმენია!
ახლა იმათ საკადრისად გასცემს პასუხს ქუთელია.

* * *

განათლება, როგორცა ჩანს, ბევრისათვის არამია, –
ლომაია, ნოდია და ახლა უკვე გვარამია.

**თამაზ ილმელი**

კრიმინალი

## ავტოავარია ტრაგედიით დასრულდა

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის გორის მონაკვეთზე თბილისიდან დასავლეთ საქართველოს მიმართულებით მოძრავი სამარშრუტო მიკროავტობუსი საპირისპიროდ მოძრავ მსუბუქ ავტომანქანას შეეჯახა.

მსუბუქ ავტომანქანაში მყოფი ერთი ადამიანი ადგილზევე დაიღუპა. არიან დაშავებულებიც.

## ოცდაათამდე ნარკომანი დააპატიმრეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქუთაისში ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებლები და გამსაღებლები დააკავეს.

მასშტაბური რეიდი სოდ-ის ქუთაისის განყოფილებამ განახორციელა, დაკავებულია 30-მდე პირი, მათ შორის რამდენიმე ქალია. ისინი ქუთაისის სხვადასხვა უბანში აიყვანეს.

დაკავებულთაგან უმრავლესობა რეალიზატორია.

**ინტერპრესნიუსი**

**რეკლამა** კოსტავას 12

„საქართველოს რესპუბლიკაში“

98-65-87; 899 32-85-76.

კადრი



ანეკდოტები

პრეზიდენტმა სააკაშვილმა რამდენიმე დღეში მოიარა ესპანეთი, იტალია, ბალტიისპირეთი, ჰოლანდია, გერმანია, მალე წავა ამერიკაში, ინგლისში, იაპონიაში...



უკვე ცხადია, რას გააკეთებს იგი პრეზიდენტობის ვადის გასვლის თუ გადაყენების შემდეგ – გაუძღვება „კინომოგზაურთა კლუბს“.

* * *

ქირურგი საოპერაციოდ ემზადება.

– რად იკეთებთ რეზინის ხელთათმანებს? – მძინარე ხმით ეკითხება პაციენტი...

– არ მინდა, ანაბეჭდები დავტოვო.

* * *

რით განსხვავდება იდიოტი შიზოფრენიკისგან? იდიოტს მიაჩნია, რომ ორჯერ ორი ხუთია, შიზოფრენიკი კი თვლის, რომ ორჯერ ორი ოთხია და შეუძლია, 158 მეთოდით დაამტკიცოს ეს...

* * *

– სადა ხარ? – მოსდის მესიჯი სვანს.

– აქა ვარ.

– აქა დიდია. სადა ხარ?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი 98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.